# ივერია

F 73

7–12

1885

№ VII, ივლისი

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1885

# შინაარსი:


I. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა. . . . 3

II. სახალხო ლექსები . . . . . . . . . . 35

III. ქნეინა ნექტარინა (ისტორიული მოთხრობა ქართველთ ცხოვრებიდამ) თხზ. კალ. ჩერნისა. . . 38

IV. პედაგოგიური მოსაზრებანი «ქართული ქრისტომატია» უმცროს კლასებისთვის, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 70 კაპეიკი. ტფილისი 1885 წ. 80

V. სახალხო ლექსები (შეკრებილი ს. ღონღაძისაგან). . . . . . . . . . . . . . 92

VI. ქართული ფული მ. ჯანაშვილისა . . . . . 99

VII განცხადებანი. . . . . . . .. . . . 120

VIII დამატება: მასალა ისტორიისათვის (დასასრული.)


---

## რედაქციისაგან.

ვისაც ფული არ გამოუგზავნია ჯერ, რედაქცია სთხოვს დააჩქარონ გამოგზავნა.

---

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ VII

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1885

Дозволено цензурою. Тифлисъ 28 Іюля 1885 г.

# მოძღვარი

(მოთხრობა.)

## I

გუდამაყრის ხეობას თითქოს განგებ გაუპია კავკასიის მთების უმთავრესი მარღვი და ვიწროს ხეობად შიგ შეჭედილა; ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუსრამავს, მაღლობებიდგან ჩამონადენს ქვასა და ღორღსა უშველებელის ლოდებით გაუვსია და მეტის-მეტად ძნელს გასავლელად შეუქნია. ხშირი და დაბურვილი ტყე, რომელიც ხეობას აქედ-იქით, ფერდობებზედ მიზდევს, გახლართულა სხვა-და-სხვა მხვევის მცენარეებით და ყოველი მოძრაობა უფრო მეტად გაუძნელებია. ხეობა თავდება თვალს შეუწვდენელის ფრიალოთი, რომელიც თითქოს განგებ გზის მოსასპობლად სიგანეზედ გახირებია და იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოჰყურებს. პირველისავე შეხედვით, ეს ადგილი იქამდის მკაცრად, გულის დამხურავად და სევდა მომცველად გეჩვენებათ, რომ ნება-უნებლივ გაღონებთ და ამ გვარის მდგომარეობის მიზეზი კი ვერ აგიხსნიათ. მუდამ დაბურული, დაღვრემილი და შეკუმშილი ბურსაჭირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთად ერთს ბილიკსაც ჰფარავს, რომელიც ქარსა და ავდარს გაუშველევია; მკაცრი, მედიდური, შავად და ბნელად გადმოიყურება უზარმაზარი ფრიალო და თითქოს განრისხებული ყველას ექადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს. ხშირი ბურუსი, მეტის მეტად ვიწრო ბილიკი და ნესტი

ფრიალოს წვერებს ანოტიოებს, შლის და ურიცხვს ხალხს და საქონელს იმსხვერპლებს ხოლმე. მაგრამ თუ ასეთის უსიამოვნოს შთაბეჭდილების მომხდენია ეს ფრიალო, ამის სამაგიეროდ, რა წამს გადასავალს გადასცდებით, თვალ-წინ მთელი ედემი გადაგეშლებათ. თქვენ დაინახავთ საკმაო მანძილზედ გადაჭიმულს ღელეს, ნაზისა და სურნელოვანის ბალახითა და ყვავილით შემკულს. ვაკე ტაფობა, იმ საშინელის, გულის დამნაღვლებელის გზის შემდეგ, კეკლუც პატარა-ძალსავით მორთული მიგიწვევს და მიგიზიდავს, თავ-ბრუ დამხვევის ალერსით შემოგხარით ნაზით და დამყვავებელის ჰაერით; ვერცხლის ბმელსავით მინდორზედ დაკლაკნილის მდინარის ჩუხჩუხს, ტკბილს დამამშვიდებელს ნანათ მოგასმენთ.

ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულს გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას აშორებს. ძნელად შესძლებს მგზავრის გული, როგორც უნდა მიეშურებოდეს, რომ აქ წუთს არ შესდგეს, წუთს არ გაგორდეს მწვანე მინდორზედ და მეტის სიამოვნებით დაქანცული თავი წუთს თვალის მოტყუებას არ მისცეს...

ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა, რომ სრულიად გაიგოს და იგრძნოს მთის ბუნების სიტკბოება, მისი მშვენიერება და ის წარმოუთქმელი ნეტარება, რომელსაც ადამიანს გაუღვიძებს!.. ალტაცებაში მოჰყვებხართ ხავერდოვანს მწვანეს, სურნელოვანის ყვავილების ყნოსვა გათრობსთ და ტკბილის ძილისკენ მიგიზიდავთ, მაგრამ თვით თვალებ დახუჭულსაც კი განუწყვეტლივ ედემის კეკლუცნი გეჩვენებიან, გიალერსებენ და სიცოცხლის სიტკბოებას გაგრძნობინებენ!

ამ ღელეს, თითქოს განგებ დასამშვენებლად, ორ ჯარად მიზდევს უზარმაზარი, ცამდის ამართული მთები, რომლებიც ამ

წალკოტს დარაჯად შემოსდგომია, რომ უღირსი არ მიეკაროს და უწმინდურის ფეხით არავის გააქელევინოს.

აი ასეთია საზაფხულო სადგური სნოსა და გუდამაყრის ხეობის მეცხვარეებისა, რომელთაც ლაღ ბუნებასთან ერთად თა-თავადაც გული ულაღდებათ და წმიდა ადგილების სიყვარული ძვალსა და რბილში უჯდებათ...

---

ზაფხული იყო. ბურსაჭირის ველზე ურიცხვი ცხვარი იდგა. მწყემსებს ჯალაბობა საწველად მოეყვანათ და ურიცხვს ყველსა და ერბოს ამზადებდენ. ბუნებისგან დაყვავებული და გამხიარულებული მთიელები სიცოცხლის სიტკბოებას ეძლეოდენ; ყველა მხიარულებდა, ყველა ხარობდა; ბუნების მშვენიერებით აღძრული გული მოუსვენრად ფართხალობდა; გალაღებული საქონელი თამამად დაფუნდრუკებდა. ნამით გაღვიძებული ყვავილები მზის შუქს ეკრძალებოდა; გაშმაგებული ფუთკრები მინდვრის ბაგლუცთ თავს ევლებოდენ და წუნარი ნიავი მათ ცელქად შესთამაშებდა, მზის შუქი ცას აწითლებდა და ოქროს ფერად მოჰფენოდა ურიცხვს გოლიათებს. ყვავილის კოკრებს, ახლად გამონასკვულებს, ოდნავ გადაეხსნათ მწვანე პირ-ბადე და გაღიმებული სახე მორცხვად გამოეჩინათ. აქა-იქ მთის წვერებზედ მოჩანდენ მწყემსები და ამ განთიადს მიეგებებოდენ სიმღერით, ან ჩამავალის მზის შუქს ესალმებოდენ. ქალები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდენ ხილის საკრეფად და მწყემსებს შავი ყუყუნა თვალები ისრად სხივს ესროდენ. წყალზედ წასულნი მხიარულის ლხინით ერთობოდენ და მაღლა გაჰკიოდენ:

«სიცოცხლეა გაზაფხული!»

ყველგან მოძრაობა, ყველგან გრძნობა თავისი არსებობი-

სა; ყველგან სიცოცხლის ნიშნად აღშფოთებული მოუსვენრობა და დაუცხრომელობა!... სიტკბოების მჭმუნვარება, შერეული გამოურკვეველს წადილს, ყველგან ისე აფერადებდა სიცოცხლეს, და იმდენის სიტკბოებით ავსებდა!

ყველა თვალ მოყუყუნე გოგოს გული სძგერდა გაცხოველებული, გამთბარი «შავ ბიჭაის» ალერსით, ყველა შავ ბიჭს ეგრძნო სანეტარო გულის ძგერა; ბაგენი სიმღერას წარმოსთქვამდენ, ხელები ტაშსა სცემდენ და გული დათამაშობდა; ეს ყველა უერთდებოდა ბუნების მოკაზმულობას და საერთო მეჯლიშისთვის მომართულიყო....

ამ საერთო შეხამებას, თითქოს განგებ, უფრო მეტის განსხვავების გამოსაჩენად, განშორებოდა ერთი უმაწვილი ქალი, გასაოცარის სილამაზისა და დაობლებული მარტოდ გასულიყო

იმას ვერც ქალებში გარეულს ნახავდით, ვერც რომელსამე ფარეხში, ანუ ბინაში; ვერც ამხანაგთან და ტოლებთან! განცალკევებული დღე ღორღებში იმალებოდა, რადგანაც ტანისამოსი შემოსძარცვოდა და ხალხისა რცხვენოდა, რომ არ დაენახათ. თავის სამალავიდგან, ტყის ნადირისავით მხოლოდ მაშინ გამოძვრებოდა, როდესაც სხვები, მუშაობით მოღალულნი და დღის სიტკბოებით დამტკბარ-დასუსტებულნი, განსვენებას ეძლეოდენ.

ღამის სტუმარი გამოვიდოდა მთვარის შუქზედ, მავნე სულსავით დაფათურებდა მინდვრად, წყლის პირად და, დღის შუქს მოკლებული, მთვარის სხივებით გმაყოფილდებოდა.

ქალი იქნებოდა ჩვიდმეტ, თვრამეტის წლისა, მაშასადამე იმ ხანში, როდესაც მთაში არც ერთი გული უტოლოდ არა რჩება და ეს კი მარტო, სრულიად მარტო, უგზო-უკვლოდ დადიოდა. სიყმაწვილესთან ერთად იყო ლამაზიც და ტანადიც,

სიტყვით, ერთი იმ მთის ყვავილთაგანი, რომელსაც წუთის მოარშიყე არ აკლდება და ათობით და ოცობით თავ-მომწონე ბიჭებს მის დაპატრონებისათვის დაუფიქრებლად თავს გადაადებინებდა, საცხოვრებლიდგან ხელს აღებინებდა და ათასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, სუყველას ერთად მის ყუყუნას, თუმცა სკვდიანს, თვალებს შეაწირვინებდა. მაგრამ, მისთვის არც მზრუნველი, არც პატრონი, არც გამფრთხილებელი!... ისიც კი არავინ იცოდა, რითი სცხოვრებდა, რითი იკვებებოდა და სულს რითი იბრუნებდა!

აგერ მთვარემ ამოჰყო წვერი და, როდესაც ყველა ბინებში მიიძინეს, თვით ძაღლების ყეფის ხმაც კი შესწყდა, ქვის მირიდგან მოჩვენებასავით გამოძვრა დასუსტებული და ჭმუნვარება მოცული ქალი. გაწეწილი თმა, დაფიქრებული სახე, ნაფლეთ-ნაკონკები, ტანისამოსის მაგივრად, უპატრონოს სწორედ ალს ამგზავსებდა.

გამოსვლისათანავე მიიხედ-მოიხედა, ამოიოხრა და მდინარესკენ გასწია: იქ დაჯდა, დაიბანა ხელები და პირი; დაღონებულმა გახედა მთვარის შუქით მოფენილს მთებსა და დაფიქრდა:

წუთის სოფელო! უფალმა
შეგამკო ათას გვარადა,
ერთი რო კარგად მოაწყე,
ცხოს რად არ აგდებ ფარადა!...

წარმოსთქვა მწუხარის ხმით უცნობმა და მთვარეს დააცქერდა. ვინ იცის, ამ დროს, რა ოცნებამ წაიღო უბედურის გონება; ვინ იცის, რა სურათები ეხატებოდა თვალ-წინ, ვინ იცის, რა წარსული გამოევლო და კიდევ რას მოელოდა ცრუ და მუხთალის ბედისაგან!... იმის სახეს ეტყობოდა, რომ ყოველი მოგონება, ყოველი წარმოდგენილი სურათი მძლავრს სი-

ცხეს აღუძრავდა, უწყალოდ უკუწავდა გულ-მკერდს და მდუღარე ცრემლად გადმოუღვრებოდა. ცოტა ხანსაც გაიარა და ქალმა დაიწყო მოთქმით ტირილი, მაგრამ ისეთის მოთქმით, რომელიც ქვას გასხეთქავდა და მიწას აადუღებდა.

— ბეჩავ! დაბრმები ამდენის ტირილით! მოისმა ხმა. უცნობი შეკრთა, გაჩუმდა და ზეზედ წამოდგა.

ახლოად მოსული იყო წამოსადეგის ტანისა, შუა ხნის დედა-კაცი, გაბედულის, მაგრამ კეთილის სახით. ამხანაგად ჯოხისა, ხანჯლისა და ერთის ძაღლის მეტი არა ჰყვანდა-რა.

— რაისთვი ადექ?.. იჯექი, იჯექი... მეც ბატარას დავისვენებ, თორემ გარგადაი მთა მაქვს ასასვლელი. დაჯდა ახლად მოსული და უცნობიც მოისვა გვერდით; მოიხსნა გუდა, ამოალაგა პური, ყველი და ხორცის ნაჭრები, მაგრამ მეორე ქალი ხელს არ ჰკიდებდა.

— აიღე ქალავ!... აიღე შე ბედ-შავო!... შეჭამე ბატარაი, თორემ დაილევი, მოკვდები და სულს მავნეს მისცემ.

— უფალმა გილხინას... შენგან არ ვიკვებები?... ცხო რაი მამავია? წარმოსთქვა ყმაწვილმა გოგომ და დაუმატა:— მალად კი არ მოვიკლავ თავსა, მაგრამ ჩემთვის რა ბედენაა სიკვდილ-სიცოცხლე! სიკვდილი მომასვენებდა მაინც.

— სულა, სუ! უფალს ნუ აწყენ!... აიღე და ჭამე!

— ჯერ არ მშიან.

— რაი გეშიება, რომ მთელი დღე და ღამე ტირი? უსაყვედურა დედა-კაცმა, აიღო ჯამი, ამოასხა წყალი და მისცა.— მოიბანე თვალები და ბატარაი კიდეც დალიე... გულს გიჯოვნის და მადასაც გაგიხსნის.

გოგომ რჩევა მიიღო, მოიბანა თვალები, დალია წყალი და მეორე დედა-კაცმა კი «ჯაყუოთი» ხორცის ჭრა დაიწყო.

— მეც შენთან ვივახშმებ, რადგანაც პური არ მიჭამია... როგორი მგერდის!... აიღე ქალაუ, აიღე! უთავაზებდა ხან ერთს ნაჭერს და ხან მეორეს.

დაღონებულმა ლუკმა აიღო, ჩაიდო პირში, დაღეჭა, დაღეჭა და გადმოყარა.

— ოჰ, ჰო, ოჰ! როგორი მწარეა! წარმოსთქვა იმან და ისევ წყალს დაეწაფა.

— კარგია-და, ჩე! რამ გაამწარა?... აბა მე მიყურე, როგორა ვჭამ? უთხრა მოულოდნელმა მასპინძელმა, რომელიც მართლა ისე ილუკმებოდა, თითქოს მთელი კვირა არა ეჭამა-რა. — ერთაი, ერთაი ლუკმაი შეჭამე და მერე თავად მოგინდებაის.

გოგომ გაუგონა, ძალა დაატანა თავის თავსა და, მართლა, რამდენიმე ლუკმის ჩაყლაპვის შემდეგ, მადა გაეხსნა.

ორთავ ჭამა დაიწყეს და პურის ჭამის დროს არც ერთს ხმა აღარ ამოუღია, — მასპინძელს შიშით, რომ ქალი არ შეეკრთო და სტუმარი კი, ბუნების მოთხოვნილებას თავ-დავიწყებამდის მიეყვანა.

როდესაც ორთავ საკმარისად გული იჯერეს, და შიმშილი მოიკლეს, ახლად მოსულმა უთხრა:

— მაი, ქალაუ, ჩვენს ბინაში წამოდი.

— ვერ წამოვალ. ბეჩავად უპასუხა ქალმა და ცრემლები მოერია.

— რაისთვი ვერა, რაისთვი?

— იმისთვი რომა... ქალი ჯერ შესდგა, შემდეგ საჩქაროდ დაუმატა: — რაი დაგიმალა... შენ არსად გამცემ... და მოწყალებას არ მომაკლებ... თემს მოშორებული ვარ.

— თემსა! წამოიძახა დედა-კაცმა და უკან მიაწყდა, თითქოს

უწმინდურის სისხლოვესაც კი შაემდო გაემურტდა და რამდენ-სამე ხანს დააცქერდა, სანამ სიტყვას მოახერხებდა.

— რაისთვი? ბოლოს ძლივს იკითხა იმან.

— იმისთვი, რომ... ნუ, ჩემო ყველაკ! ნუ მათქმევინებ.

დედა-კაცი გაჩუმდა, ჩაფიქრდა რამოდენსამე ხანს და ბოლოს ჰკითხა:

— ვისის გორისა ხარ?

— რად გინდა?

— არც რადა, ეგრე გკითხე... რაი გქვიან, არც მაგას მე-ტყვი?

— რად არა, თუ ღვთის ფიცს მომცემ, რომ არავის გაა-გებინებ ჩემს აქ ყოფნას.

— არა, აგრემც შვილები შემრჩებიან.

— მაყვალა.

— მაყვალაი? წამოიძახა დედა-კაცმა და გაფითრდა.—ვიცი, ვიცი, ვინცა ხარ... ღვთის ფიცს გაძლევ, ქალობამც გამქრო-ბია თუ გაგცე... მაგრამ, მაი, დედაის გულო, ჩამოდი ჩვენს ბინაში და ეგრე შეგვინახავთ, ეგრე დაგმალავთ, წმინდის გიორგის მადლმა, რომ მზის შუქმა ვერ დაგინახოს, ნიავი ვერ მოგე-კაროს.

— არა შენაი ჭირიმე... უბედურს გზას მე დავადგემ და შენც უბედურობაში ვერ გაგრევ.

— მე რაისთვი გამრევ?... წამოდი... ერთაი შვილაი მყავს და ის ჩემს უნებურს საქმეს ვერ დაიჭერს... თუ გაგვიგეს, ორანი ცხორანი გვყავანან და, ღვთის მადლმა, მაგ საქმეზედ გადავაჭებთ და შენ კი მასპინძლობას გაგიწევთ.

— გიმკელოს უფალმა! ღვთის მადლმა, შენმა სიტყვებმა გუ-ლი მოალბო, სული მოასვენა, უპასუხა მაყვალამ და დაუმატა:

—სამანი ჩამისვეს... დამწყევლეს, დამკრულეს, მეცა და ისიც ვინც, ხელს მომაწვდის... სოფლის ყბად აღება ძნელია... აჰა გატყობინებ და თუ გინდა ლუკმასაც ნუღარ მომაწვდი...

დედა-კაცი დაფიქრდა და დაღონდა; მეტად ძნელი იყო ამ სიტყვების გაგონება. მთაში აღზრდილი ადამიანი, რომელსაც წყევლისაც და ლოცვისაც სრული რწმუნება აქვს, რომელსაც სჯერა, რომ ხმა მღვთისა—ხმა ერისა არის, ძნელად იკისრებდა ამისთანა განსაცდელში ჩავარდნას. აქამდის იმან არ იცოდა ლუკმას ვის აწვდიდა; ის ხედავდა ყოვლად უსავანოს, უნუგეშო ქმნილებას, რომელსაც სულის მოსაბრუნებელი არა ჰქონდა და ლუკმას აწვდიდა; მაგრამ ესლა, რა უნდა ექნა? ესლა, რომელსაც გაიგო, რომ მისგან მიღებული თემისგან განდევნილია, მისგან გაკითხული, შეწყნარებული—ხალხისგან შეჩვენებული ყოფილა?! არამც თუ მხოლოდ დამნაშავეს სახელი იყო სამანში ჩატანებული, არამედ იმისიც, ვინც განდევნილს წყალს მიაწოდებდა, ლუკმას გაუშვერდა.

დედა-კაცს ესტყობოდა, რომ მის არსებაში ორი მოპირდაპირე გრძნობას ბრძოლა ჰქონდა და არ იცოდა, რომელს მიჰყოლებოდა. ერთის მხრით რწმუნება, რომ თემის დებულება უნდა შეესრულებინა და მას დარღვევისთვის პასუხის მგებელი უნდა შექმნილიყო კაცისაცა და ღმერთის წინაშეც; მეორე მხარეს კი უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ესწირებოდა; უამისოდ ადამიანი იღუპებოდა და ქრისტიანე სული იკარგებოდა?!.. მეტად ძნელი იყო გადაწყვეტა, მეტად ძნელი იყო უცნობისთვის არჩევა. ქვრივი ჯათია ობლის-შვილისა, მთელს გულდამყარში გულკეთილობით განთქმული იყო, მისი მოძღვარი პირველს ქრისტიანად სთვლიდა და მართლაც რომ ქრისტიანული თავგანწირულებაც საკმარისი ჰქონდა.

— რა ვუყოთ, მაყვალასისი! ბოლოს დაყვავებით უთხრა ჯათიამ.—ხალხი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთი—შეუცდომელი... ქრისტიანს ეგრე ვერ დავაგდებ, წავიდეთ.

— ბეჩაო, ჩემო თავო! და ხალხში განა თავათ-ღა გამოჰყობ თავსა? უპასუხა ქალმა და მწარედ დაუმატა: — მაყვალა მოკვდა ხალხისთვის, მაყვალა აღარ არის.

— ნადირი შეგჭამს, ცხო რომ არა იყოს-რა. ეგრე სათ იცხოვრებ. ეხლა კარგი... ცხორი აქა, სანამ აქ ვიქნები, როგორც ღმერთს ვარ ვუღალატებ ისე შენა... შენს კერძს არ მოვაკლებ, მაგრამ ზამთარს, ქალაუ! ზამთარს რაღასა იქ?... ცხორი წავა და რამ უნდა დაგარჩინოს?

— უფალმა იცის. მხრების აწევით უპასუხა ქალმა და დაუმატა:—თუ იმას უნდა—დამარჩენს, თუ არა და კაცისგან ხელი ვერ შაეფარების.

ბევრს ეცადა ჯათია, ბევრი ეწვალა, მაგრამ მაყვალა თავისას გაიძახოდა. ის ვერ მიეკარებოდა ხალხსა, ის თავს ვერ გამოჰყოფდა იმათში, ვინც საუკუნოდ თავი მოსჭრა, ვინც სამუდამოდ მანდილი მოხადა.

ასე მიდიოდა მათი ცხოვრება მთელს ზაფხულს; ჯათია თანდათან რწმუნდებოდა, რომ ქრისტიანის ამ დღეში ჩაგდება ღმერთის მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ვერც ხალხს ამტყუნებდა, რომელიც სასტიკის მაგალითებით ნამუსის და პატივის დაცვას ცდილობდა; მხოლოდ ერთი ვერ გადაეწყვიტა. მან არ იცოდა, ჰქონდა უფლება, რომ ხალხისაგან განწირულისათვის მოწყალე ხელი მიეშვირა თუ არა; და ამისთვის, როდესაც კი მაყვალასგან გაემგზავრებოდა, ყოველთვის პირჯვარს გადაიწერდა და წყნარად წარმოსთქვამდა:

— უფალო გული საშველად მერჯის და, თუ ცოდოს ჩავდი-ვარ, შენ მაპატიე!

## II

ზაფხულმა გაიარა და მშვენიერ, მწვანით მოსილს ბუნე-ბას ფერი ჰკრთომოდა. დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა, ყვავილებ-მა თავები დახარა, ბალახი მოიშუშა, მოდუნდა და დამჩვარდა; მწყერებმა, დიდი ხანია, თბილს ქვეყნებს მიმართეს და აღარც მერცხლების ჭიკჭიკი ისმოდა სადმე. მხიარული, მოღიმარე ცა ტყვიის ფრად შეიცვალა და მოჭმუხვნილ-მობუზული სატირ-ლად ემზადებოდა. გასუქებული, გათქვირებული საქონელიც გა-ჩუმებულიყო და მხიარული ბღავილი აღარსად ისმოდა. ათას-ში ერთგან ყოჩი ყოჩს თუ დაჰკრავდა სადმე, რომ შეცივებუ-ლი სხეული შაეთბო და გათოშილი სისხლი მოძრაობაში მო-ეყვანა. მწყემსებიც კი მალზედ იჭუჭყებოდენ ნაბდებში და და-ბუზულებს თავ-პირის გამოჩენა ეზარებოდათ. ღელეში ნის-ლი ჩამოწვა კუთ-კუთად და შავად ჩამოაბნელა იქაურობა; ყველაფერი დაღონდა, ყველას მგლოვიარის სახე დაედო, გული ჩაიხურა. ჰაერი დანესტიანდა, დამძიმდა და წყაროს მხიარულს ხმაურობას აყრუებდა. ღამეები გადიდდა, ნადირი ცხვარს ეტა-ნებოდა უფრო მეტად და ძაღლები აღარ ისვენებდენ. გამოდა-რებული, მოწმენდილი ჰაერი სწრაფად აიმღვრებოდა ხოლმე; აქა-იქ გაჩნდებოდა ნისლი, რომელიც თითქოს მიწიდგან იზრ-დებოდა, და ბოროტის ხელის მახვილსავით მთის წვერებზედ მიცურავდა, გამოჩნდებოდა მეორედგან და გაიძაბებოდა, მესა-მედგან მტვერსავით აღმა ავარდებოდა და ერთბაშად ტრიალს

და რეკას დაიწყებდა. ორ-პირი ქარი ერთმანეთს გრიალით შაეჯახებოდა და მედგრად ერთმანეთს მოხვედრილი ორს თავგადადებულს ფალავანსავით მოუტრიალდებოდა ერთმანეთს. ისმოდა სტვენა, ზუზუნი მოუსვენარი ქარისა და მას უერთდებოდა გახარებული ხარხარი მავნე სულისა. ძალ-დატანებული კლდე იშლებოდა და დაბლა გრიალით მოდიოდა; ავდრის წინამორბედი ჩხები და ყვავები ტრიალებდნენ და უსიამოვნო ჩხავილით, სევდით გულსა ჰბურავდენ. ტკბილი, სასიამოვნო, კაცის გულის დამყვავებელი ბუნება თითქოს სოდომათ გადაქცეულიყო, სადაც მთელის ქვეყნის მაცდურნი მოგროებულიყვნენ, გაემართათ მეჯლიში და საჯოჯოხეთო ხმაურობით დროს ატარებდნენ.

აიყარა ცხვარი და გასწია ჯერ სოფლებში ჩასასვლელად და შემდეგ, ზამთრისთვის უფრო თბილს ადგილებში გასამგზავრებლად. ყველანი ცდილობდნენ, რომ მგზავრობაში, წინ მოქცეულიყვნენ, რადგანაც ბურსაჭირის გასავლელი ვიწრო იყო, დიდი სიფრთხილე უნდოდა და გავლის დროს მეტად აგვიანებდა; ზამთარი კი ახლოვდებოდა და მუდამ ჩაკუმშული ნისლი ამ ფლატო-ფრიალოებს არა შორდებოდა, ყინჟღლავდა და ავდარს ექადებოდა. გაიკრიფა ყველას ცხვარი გარდა ჯათიასი, რომელიც როგორღაც ჭკვიანობდა, ბოლოს ისიც დაიძრა და დაცარიელდა გაცხოველებული ადგილები. მხიარული ხმაურობა შესცვალა სავაგლახო, უსიამოვნო, გულის მომწყვლელმა ხმაურობამ.

ცხვრის აყრის დროს, ჯათიამ წამოავლო ხორაგით გაჭედილს გუდას ხელი, წამოიკიდა ზურგზედ და შვილს უთხრა:

— თქვენ გასწიეთ და, სანამ ბურსაჭირის გასავალში მი-

ხვალით, მეც მოგეწევით.

— კარგიადა ჯათიაისი, წამოდი! უპასუხა მზრუნველობით შვილმა.—რაი დაგრჩენია აქა, რომ იგვიანებ?...

— სუ და, იყუჩე! შეუტია დედამ. — თავად ვიცი, რაიც დამრჩენია, შენ ცხორს მიხედე.

— მარტოკა რჩები ამ ჯოჯოხეთს ადგილსა და, ვინ იცის, რაი შეგემთხვას.

— ნუ სდარდობ.

— მაი, მეც აქ დავრჩები შენთან და მერე ერთათ წავიდეთ. არ უსვენებდა შვილი.

— შენ რაიდა უნდა გამირიგო, რო დარჩე? ამაყათ ჰკითხა დედა-კაცმა და დოინჯი შემოიყარა

— რაი ვიცი, ნადირს მაინც მოგაშორებ.

— ვაი!... ჩაიცინა დედა-კაცმა და ხანჯალს ხელი გაივლო, რომელსაც არა შორდებოდა. — შერცხვეს ჩემი ქალობა, თუ შენისთანა შვიდი არ შევკარ!

ამ სიტყვებზედ შვილსაც გაეცინა და თავისათვის წაიბუტბუტა:

— ეხლა ამზობ ეგრე, თორემ, აბა ერთი გაგეჭირვებოდა... ეგრე გამოიქცეოდი პირის მზის მადლმა, რო...

— ვინა, მე? შეუტია დედა-კაცმა, წაავლო ხელი და დასჭყივლა:—გამაგრდი, შე ლაჩარო, გამაგრდი! მიიქნ-მოიქნია, გამოჰკრა ფეხი და მიწაზედ გაშხლართა. შემდეგ წამოაყენა და შესუმრებით უთხრა:

— ბეჩაო! მაგის გული გქონდა?

— ლიჭყიაო *) და ფეხი მომისხტლა. ცოტა არ იყოს და-

*) ნესტის გამო მოლიპული.

რცხვენით უთხრა შვილმა. ჯათია მართალია, დედა იყო, მაგრამ მაინც დედა-კაცი და დედა-კაცისაგან ვაჟ-კაცის გალახვა?... ადვილი არ იყო.

— ბეჩაო, ჩემო თავო! სულ მშრალი ადგილი სად მოგინახა? სიტყვა მოუჭრა დედამ და დაუმატა უფრო მეტის მზრუნველობით: — კარგია, წადი, თორემ მეც მიგვიანდების.

შვილმა აღარა უთხრა-რა, გაბრუნდა ცხვრისაკენ და დედამ კი ღორღებიანს ადგილისკენ გასწია.

ჯათია მივიდა იმ ადგილს, სადაც ქალის სადგური იყო, მაგრამ იქ ვეღარავინ მოასყლა. ეტყობოდა, რომ ქალს ქოხისათვის თავი დაენებებინა.

— ბედ-შავი! თანა-გრძნობით წარმოსთქვა დედა-კაცმა და დაუმატა: — სიცივისთვის ვეღარ გაუძლია და წასულა სადმე.

ის იყო გამობრუნებას აპირებდა, როდესაც თავში გაუელვა აზრმა და ხმა-მაღლად წარმოსთქვა:

— იქნება არ წასულა და მე დამემალა. ეს ხორაგი მაინც იმის სახელზედ არის წამოღებული, დევ აქ იყოს; საქმელ-სანთელი თავის გზას არ დაჰკარგავს.

ამ სიტყვებით გული მოიხსნა, დააგდო იქა და თითონ კი გამოვიდა; მიიარ-მოიარა იქაურობა, მრავლისაგან მრავალი ეძება, უძახა, უყვირა, მაგრამ მაყვალა არსად გამოჩნდა.

მზე გადიწვერა და თოვლი წამოვიდა, დედა-კაცი მეტს ვეღარ დაიგვიანებდა და გულ-მხურვალედ წარმოსთქვა:

— ღმერთო, დიდებულო სამებავ! ნაღვარევისა და წმინდა გიორგი, პირის მზის მადლო, თქვენ დაიხსენით საწყალი მაყვალაი განსაცდელისაგან! თქვენ მოუმართეთ ხელი და ნუ დაღუპავთ ბეჩავსა!

ამ სიტყვებით გამობრუნდა და ბურსაჭარის ფრიალოს-კენ გასწია.

---

ის იყო ჯათის ქედს გადაეფარა, რომელსაც მოპირდაპირე ღორღებიდგან ვიღამაც ამოჰყო თავი და მომავალს ცქერა დაუწყო. ეს იყო მაყვალა, რომელიც ჯათის დამალვოდა, რომ არ გადაჰკიდებოდა და დასუსტებული, სულიერად დავარდნილი ქალი არ დაემძლია, არ დაეთანხმებინა და თან არ წაეყვანა. მაყვალას კარგად ესმოდა, რა პასუხის გებაშიაც ჩააგდებდა თავის გულ-კეთილს მასპინძელს და სიკვდილი არჩია ღვთიურის ადამიანის გაწირვასა. იმან ამოჰყო თავი და გამოაჩინა ფერ–მიხდილი, უკანასკნელს ნუგეშს მოკლებული პირის-სახე. უბედურს ტუჩები გალურჯებოდა და ძალზედ უთრთოდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, სევდიანი თვალები ჩასცეცებოდა მომავალს, და ყოველს ფეხის გადადგმაზედ ქალიც წამოიწევდა ხოლმე, თითქოს მასაც ვიღაცა ეზიდებაო; ერთი ხელი მიეტანა მკერდთან და ისე ძალზედ მოეჭირა, რომ თითები ხორცში ჩაესვა. მას თითქოს უნდოდა გაშმაგებულის გულის ბრძოლა შეეყენებინა და ნებას არ მიეცა ბუდიდგან ამომხტარიყო. თვალები ჩასცვივნოდა და თვალის ძირები ჩალურჯებოდა, ქარს თმა გაეწეწა და მთლად მომაკვდავისთვის დაემგზავსებინა.

ერთბაშად დაჰქროლა ქარმა, ნისლი წამოაყარა და მაყვალას თვალთათვის ჯათის სამუდამოდ დაჰფარა. ქალი მისწვდა ქედს, რადგანაც თითქოს რაღამაც წაუჭირაო; თმები ტურმიალით აღმა წავიდა და თავში ავარდნილმა სისხლმა გონება დაუბნელა; დაბარბაცდა, დაეცა და მდუღარე ცრემლები ნაკადულად გადმოუღდინა!

— წავიდა, განქრა!... და მასთან მოისპო ჩემი სიცოცხლის იმედიც! წარმოსთქვა წყნარად და მეტის გამწარებით ქვას თავის წყევლება დაუწყო...

გაიარა ხანმა, დაოსდა, დასუსტდა და მიილეულა. ადამიანი უბედურებას მალე ეჩვევა. გამწარებული სიცოცხლე გულს უთვისდება; რაც უწინ შეუძლებლად ეჩვენება, უბედურობაში ვეღარ ამჩნევს. მაყვალსაც ასე იყო. მეტად ბევრმა მწუხარებამ შეიპყრო, მეტად ბევრმა ცრემლმა დალახა მისი გული, მეტის-მეტად ძლიერმა ცეცხლმა ჩასწვა, ჩასთუთქა და ჩაფერფლა ისე, რომ გრძნობა სრულიად დაჩლუნგდებოდა. მეტად ძნელს მდგომარეობაში იყო მაყვალა, რადგანაც ყინვარში ტანისამოსის ნაფლეთები მაყვალას ტანს ვერა ჰფარავდა. მეტად ძნელი იყო მარტოობა ამ გულის მომწამლავს, სევდით სავსე ბუნებაში, სადაც ყოველს წუთს უნდა მოელოდნა, რომ ან დათვი გაჰფათრავდა, ან მგლები გერმად შეიქნებოდა და ან კიდევ, რაც უფრო ძნელი იყო, თოვლში გახვეული მიწასაც კი ვეღარ ეღირსებოდა სამარედ!... ასეთი იყო მაყვალას მდგომარეობა, მაგრამ იმან უკანასკნელად თვალები მოიწურა, უკანასკნელად ამოიხვნეშა და თავის ქოხისკენ გასწია, რომ ქარს მაინც არის მოჰფარებოდა და სულიერს ტკივილთან ხორცის გამწარება მაინც შეემსუბუქებინა. ამ გვარად გაატარა რამდენიმე დღე; მაგრამ ყინვა გაძლიერდა, ზამთარი გაბრაზდა და გაშმაგებული სიცივე კი ყოველის ფერს აყინულებდა. ქალი წარმოუდგენელს ტკივილებსა ჰგრძნობდა, საჭმელი შემოელია და ერთბაშად სული გაუტკბა, მასთან განშორება გაუძნელდა და დაფიქრდა თავის საშველად მოეხერხებინა რამე. ხევსა და მთიულეთს ვერ გავიდოდა, რადგანაც თემს მოშორებული იყო და არ მიიკარებდენ. მაშასადამე სულის მობრუნება მხოლოდ ქართლში-და შეე-

ძლიერ, სადაც იპოვიდა რომელსამე გულ-კეთილს ოჯახობას, თავის ჯანს და ყმაწვილ-ქალობას შეადლევდა და მოუსვენარის შრომით ლუკმა-პურს მოიპოვებდა. მოიპოვებდა იქამდის, სანამ სიკვდილი თვალებს სამუდამოდ დაუხუჭავდა და მწარე ხვედრს მოაშორებდა. როგორც იფიქრა, ისეც გადაწყვიტა: მოემზადა, ჩაიცვა რაც კი მოეპოვებოდა და გაუდგა გზასა; თოვლი საკმაოდ მოსულიყო, ქარს ნამქერის მთები აეშენებინა და დასუსტებულს სიარული უჭირდებოდა. წინ ჯოჯოხეთად მოჩანდა ბურსაჭირის ფრიალო, რომელსაც ნისლი შემოხვეოდა და შავ-ბედათ ჩამობნელებულიყო. რამდენიმე ყორანი თავზედ დასჩხაოდა, უგანასკნელად ესალმებოდენ აუცილებლად დასალუპავად განწირულს მსხვერპლს, მაგრამ, რამდენადაც ქალს გაჭირვება ხვდებოდა, იმდენად ძალა და გადარჩენის წადილი ემატებოდა, იმდენად მეტის მხნეობით ებრძოდა წინ გადალობვილს გაჭირვებას.

ქალი თუმცა დაიღალა, დასუსტდა, მაგრამ ბურსაჭირის გასავალს მშვიდობიანად მიაღწია. კიდევ ცოტაც და სამშვიდობოს გავიდოდა. მაგრამ ერთბაშად ქარმა დაჰქროლა, ბოროტად დაჰზუზუნა და ყოველის უბედურების ერთად ქადილით სველი უსიამოვნო თოვლი სახეში მიაყარა; ქალს სული შესტაცა, თვალთ დაუბნელა და პირის ამოსუნთქვის ნება აღარ მისცა. ნისლი უფრო ჩამოწვა და ჩამოიხურა; ჩამობნელდა, ჩამოცხა და მოისმა ჭექა-გრიალი. აქამდის დაჩუმებული ადგილები, ეხლა დაყრუებულის ხმაურობით გაივსო, რადგანაც ქარისაგან მიყრილი თოვლი მთას ვეღარ ეკიდებოდა და გამოსხლეტილი შურდულსავით დაბლა ხეობისკენ მიქანავდა. ქალი მოეფარა ერთს კლდეს, რომ ზვავს სადმე ქვეშ არ მოეტანა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, რადგანაც ყოველი მეცადინეობა,

რომ ფეხი გადაედგა, ამაოდა რჩებოდა, რადგანაც წამ და უწუმ თოვლს აყრიდა და შიგა ხვევდა. თბილოდა, მაგრამ ქალი ყრიანტელსა ჰგრძნობდა, ხორცი ეწოდა; დასუსტებულს თი-თქოს ძალა ელეოდა, ერთბაშად ქალს ყურებმა შხუილი დაუ-წყო, სისხლი თითქოს უფრო ჩქარა დაეძრა და რაღაცა გვარს გამტერება-გამოყრუებაში ჩავარდა. შემდეგ იგრძნო სასიამოვნო სითბო და მოუძლურება; ისე რიგად მოეშვა, თითქოს ტანი დაუშალაო და მოდუნებულს თვალები დაუხუჭაო. ქალს თავში გაუელვა, რომ იღუპებოდა, შეიძრა, შეშინებულმა თვალები გაახილა, მაგრამ იმავ წუთს ბურანსავით რაღაცა მოეხვია და წყნარ-წყნარად თვალები ისევ დაუბნელდა. წუთიც, და კლდეს მიყუდებული ქალი ხვრინავდა; ქარი კი მოუსვენრად თოვლს აყრიდა, თითქოს ნაზი არსების სიცივისგან დაფარვა უნდაო.

## III

ხალხში რწმუნებაა, ვითომც გამძვინვარებული ბუნება მხოლოდ მაშინ შესდგება და გაყუჩდება, როდესაც ვისმე იმსხვერპლებს. მართლაც დღეს, ამის შემდეგ ბურსაჭირშიაც სიცივე მოტყდა, ქარი ჩავარდა და განთიადთან ერთად ნისლი გაიმქრია. ცა მოიწმინდა, და მზის შუქებმა იქაურობა გაანათა. გასაოცარს სურათად გადაქცეულიყო იმ ადგილების მდებარეო-ბა. უფსკრულად ჩახეთქილი ხეობანი თოვლით ამოვსებულიყო და ყინვას გადაესალა. ჩამოსულის ზვავების მთები აშენებულიყო და ისეც დაოღროჩოღროებული ადგილი ეხლა უფრო არეულ-იყო. მთლად თეთრად მოქცეულს ადგილების შუა, აქა-იქ ამოეხეთქა კლდეებს, რომელთაც თოვლი ვერ მიჰკარებოდა და

შავად ამართულნი, წარსულის ღამის შავისა და ბნელის შემთხვევათა მოწმად დარჩენილიყვნენ. ყველაფერი გაჩუმებულიყო, ყველა დადუმებულიყო, თითქოს ყველას თავი მოეხარა მედიდურს ბუნების წინაშე.

ერთს ადგილს რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვიღაცა კაცი გამოჩნდა. ის მოდიოდა წყნარად და დაფიქრებული, ფეხებზედ თხილამურებ-გაკეთებული მტკიცედ მოაბიჯებდა. მოხუცებულს სახე სარწმუნოებით და გონივრული გულ-კეთილობით უბრწყინავდა. თეთრი, ბროლსავით წვერი, ხანისაგან, რამოდენადმე შეჭყვითლებოდა და მკერდზედ რბილს აბრეშუმსავით ეფარა. მოხუცი ტანადი, ძარღვიანი და კარგად შეკრული კაცი იყო. თუ სახეზედ ეტყობოდა, რომ მას მცირე მწუხარება არ ენახა, სხეული უმტკიცებდა, რომ მისი კარგა-მყოფობა და ჯანი ბევრს ყმაწვილს-კაცსა სანატრელად გაუხდებოდა. ის იყო ჩაცმული ამ ადგილების შესაფერად: თბილი ტყავი, რომელიც გარედგან თოვით ჰქონდა შემოჭირებული და ამ გვარივე ბატკნის ტყავის ბანჯგვლიანი ქუდი. ხელში ეჭირა ნიჩაბი და გზას მოიკვლევდა.

გვერდით მოსდევდა გონიერი მოწითანო ძაღლი, რომელსაც უშველებელი ტუჩები თითქოს განგებ მოეჭმუროდა.

მოხუცი არა ჩქარობდა, შინჯავდა და ათვალიერებდა იქარობას, თითქოს ვიღაცას მოელოდა და თავისთვის უკმაყოფილოდ რაღაცას ლაპარაკობდა.

ეს გახლდათ გუდამაყრის ხეობის მოძღვარი, რომელსაც ხალხში ცხოვრება დამძიმებოდა, გამოსულიყო ბურსაჭირის გამოქვაბულში და თავის დღეებს იქ ღვთის ლოცვაში ატარებდა და გაჭირებულს მგზავრებს შემწეობას აძლევდა ხოლმე.

— ტიალი! გონჯი ღამე იყო, წარმოსთქვა ონოფრემ და

დაუმატა:—თუ ამაღამ არავინ იმსხვერპლა, კარგი იქნების, ამოიოხრა იმან.

ამ დროს ძაღლმა ყვავი დაინახა, რომელიც იქვე გზაზედ ჩამომჯდარიყო და გლოვის ზარად ჩხაოდა. გამოუდგა, მაგრამ ყვავი გაფრინდა და ძაღლი კი მივიდა იმ ადგილს, სადაც ყვავი იჯდა. შესდგა, დაჰსუნა ადგილს და მწარედ შეჰყმუვლა.

— ჰა, ყურშა, ჰა! დაუძახა მოძღვარმა. მაგრამ ძაღლი არა ბრუნდებოდა და არც ყმუვილსა შლიდა.

— ტიალო, რა გაყვირებს, რაი ნახე? წარმოსთქვა ონოფრემ და გზა გააგრძელა.

ერთბაშად ძაღლმა ისევ ყმუილი გააბა; მოძღვარი შესდგა და ყური დაუგდო, მაგრამ მაშინვე ღიმილით წარმოსთქვა:

— ვერანა, ჯერ ლეკვია და გული მხიარული აქვს! ყვავს რა დააფრინებდა?

მაგრამ ძაღლი მაინც არ ისვენებდა, მწუხარე ხმით ყმუოდა.

— რაი მოსვლია? წამოიძახა ისევ ონოფრემ და თავისთვის დაუმატა:

— გზა თუ ვეღარ გამოიგნო? გახედა იმ მხრისკენ, საიდგანაც პირუტყვის ხმა მოესმოდა:—აქა, ყურშა, აქა, აქა! დაუძახა კიდევ იმან.

ძაღლი სწრაფად მოიჭრა, მოუსვენრად და წკმუტუნით მივარდა პატრონს. დაუწყო ხელების ლოკვა, ლაქუცი და განუწყვეტლივ ხტოდა. გონიერი თვალები პატიოსანის პირუტყვისა გრძნობით გაბრწყინებულიყო და აშკარად ეტყობოდა, რომ პატრონისათვის რაღაცის შეტყობინება უნდოდა; მაგრამ რადგანაც ყურშა ჯერ ლეკვი იყო, ონოფრეს არსად გამოეცა-

და და მისი მოქმედების ალღო ვერ აუღო, ამისთვის ვერ მიმ-ხვდარიყო, ძაღლს რა სწადოდა, რას ითხოვდა იმისაგან. პეტ-როსმა დაუძახა, დაუყვავა და, რამდენჯერმე ხელის გადასმის შემდეგ, დარწმუნებული რომ ძაღლიც გაჰყვებოდა, თავის გზას დაუბრუნდა. როდესაც ყურშამ დაინახა, რომ პეტროსს ვერა გააგებინა-რა და დამშვიდებული შინისკენ მიდიოდა, გაქანდა და კალთაზე პირი წაავლო.

— თუ არ გაცოფდა ეს ტიალი! ნიჩბის მოქნევით დაიძახა მოხუცმა და ძაღლი მოიშორა.

ყურშა წკმუტუნით უკან გაიქცა, მოიხედა და ჩაცუცქდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჭკვიანს პირუტყვს რა-დაც აწუხებ-და და გადაეწყვიტა პეტროსს აღარ გაჰყოლოდა.

მოხუცი გაბრუნდა მისკენ, ძაღლი გამხიარულდა, წამოხ-ტა და აცქვიტა ყურები და, სიამოვნების ნიშნად, კუდის ქნევა დაიწყო. მოძღვარმა შეხედა და ჰკითხა ხელის გაშვერით:

— იქითკენ წავიდეთ?

ძაღლი დათამაშდა, გახარებულმა მხიარული ყეფა დაიწყო და უკან გაბრუნებული გაიქცა.

— მეტი ღონე არ არის, უნდა გავყვე! სთქვა მოძღვარმა და უკან გამოუდგა.

ყურშა გარბოდა კუდის ქნევით და მალ-მალ მოიხედავდა უკან.

ამ გვარად იმათ გაიარეს რამდენიმე მანძილი, როდესაც ძაღლი ერთს ადგილს შესდგა, დასუნა თოვლს, შეჰყმუვლა და თავ-დავიწყებით ფეხებით თხრა დაუწყო.

მოძღვარი გაფითრდა, გადაიწერა პირჯვარი და ფეხი გააჩქარა; მისვლის უმალ ნიჩაბი მოიმარჯვა და, რამდენჯერმე ამოქნევის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გაფითრებულმა წამოიძახა:

— ბეჯითად ვიღაცა ჩაუჩუმქრავს!

იმან თვალი შეჰკრა ძაღლსა, რომელიც მოუსვენარის წკმუტუნით გარს უვლიდა და მადლობის გრძნობა ანიშნა. ყურშამ გაიგო პატრონის მოძრაობა, თვალები გაუღიმდა, კუდი გაიქნია და სიამოვნებით ტუჩები მოილოკა.

ონოფრეს მუშაობა ბევრს ხანს აღარ მოუნდა, რადგანაც თოვლი ჯერ ფიფქი იყო და ნიჩაბს ადვილად ემორჩილებოდა, ერთბაშად გამოჩნდა «საგულის» *) ბოლო და მოძღვარმა საჩქაროდ ხელი წაავლო.

— ბეჩა! დედა-კაცი ყოფილა. შეწუხებულის ხმით წარმოსთქვა იმან, წამოსწია და თოვლს გამოაშორა. დედა-კაცს ხშირი ქმინა და ძალზედ ხვრინავდა.

— კარგი, რომ თოვლს დაუფარავს, თორემ ბეჯითად გაიყინებოდა!

მოხუცსმა ნაბადი საჩქაროდ გაშალა, ზედ ქალი დააწვინა, გააძრო ტანისამოსი და ჩოხის კალთიდგან მოხეულის ნაჭრით თოვლით სრესა დაუწყო; გათოშვილი არ იღვიძებდა, თითქოს სრულს განცხრომაში არისო და, როგორც ეტყობოდა, «მასხაცის» მალით ხეხას სრულიად ვერა ჰგრძნობდა. ონოფრე ისე გაცხარებული მუშაობდა, რომ ამ შუაგულს ზამთარში ხვითქი გადმოსდიოდა და გათოშილს იქამდის თავი არ დაანება, სანამ კანი მთლად არ დაუწითლა და დაუღუღუნდა; შემდეგ, სადღუმიდგან ამოიღო ბატის ქონი, წაუსვა მთლად სხეულზედ დაზიანებულს და თავის ტანიდგან გახდილი ფართოს ტუჯში ჩაათბუნა. რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ, წელიდგან არყით სავსე პატარა ტიკჭორა მოიხსნა, ამოიღო

*) საგულე—ახალუხის მაგიერ—ქალების ტანთ-საცმელია.

რქის კოვზი და ზედ რაოდენიმე წვეთი დაასხა; მივიდა ქალ-თან, პირი დანით გაუღო და შიგ ჩაუსხა, გათოშილი შეინ-ძრა, დაიკვნესა, წუთით ახელილი თვალები ისევ დახუჭა და ძილს მიეცა.

— ბედშავი! ძალუმ არ შეწუხებულა! წარმოსთქვა ღვდელმა და დაუმატა: — მზე გადიწვერა და აქ დგომისა აღარაა, თორემ ღამე აცივდება.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიიტანა თოკი, დაშალტა ავათ-მყოფი და ტვირთსავით წამოიკიდა ზურგზედ. მოხუცმა გასწია თავის სახლისკენ ისე, ვითომ არავითარი სიმძიმე არ მიჰქონდა და მალე მიაღწია თავის ქოხს, სადაც ავათ-მყოფი რბილად აწეწილს თივაზედ დააწვინა, თბილად დახურა და კე-რაში ცეცხლი დაანთო.

როდესაც ქალმა პირველად თვალები გაახილა, დაინახა ცეცხლის შუქი და ისევ დახუჭა, რადგანაც თავი სიზმარში ეგონა, მაგრამ პირველსავე განძრევაზედ ისეთი წარმოუდგენე-ლი ტკივილები იგრძნო, რომ მაშინვე დაიკვნესა და იქაურო-ბას დაფანტვით თვალიერება დაუწყო.

— სადა ვარ? წყნარად წარმოსთქვა იმან და უნდოდა ხელი შუბლზედ გადაესვა, მაგრამ მაშინვე ჩამოუვარდა, რადგანაც მთლად შეშუპებოდა, დაბუჟებოდა და მოძრაობაში ვეღარ მოუ-ყვანა.

— შენს სულიერს მამასთან, შვილო, რომელიც ზეციერმა მეუფემ შენს საშველად გამოგზავნა!

ქალმა ყური დაუგდო ამ სიტყვებს, უამა და სანუგეშოდ ეჩვენა, რადგანაც გრძნობით და გულმ-მხურვალედ იყვნენ წარ-მოთქმულნი.

— სულიერი მამა... თავისთვის განიმეორა ქალმა, ძლივს

გახსნა შემუშვებული ქუთუთოები და ჯერ კიდევ ანგარიშ-მიუცემლად დაუწყო ყურება.

— რა ამბავი იყო, რა შემემთხვა?... იკითხა ისევ წყნარად და დასუსტებულის ხმით.

— არაფერი, შვილო, არაფერი. მზრუნველობით უპასუხა ონოფრემ. — თოვლს ჩაემჩუქრე და უფალმა გადაგარჩინა.... ემთხვიე შვილო, ემთხვიე წმინდა ჯვარსა, რომელმაც დაგიხსნა განსაცდელისაგან.

მოძღვარმა ტუჩებთან მიუახლოვა ჯვარი, რომელიც კედლიდგან ჩამოიღო, ქალმა წამოიწია, მაგრამ, მასთან მიკარებისავე უმალ, უკან გადავარდა და გულ-გასაგმირის მწუხარებით წარმოსთქვა:

— არ შემიძლიან!

ქალს გაახსენდა ყოველისფერი, მოაგონდა თავის წარსული და სიწმინდის შეხებისთვის თავისი თავი ღირსად ვერა სცნო.

მოძღვარმა შეხედა და შუბლი შეეჭმუხნა; ის მიხვდა, რომ უბედურს რაღაცა ამძიმებდა და პირჯვარი გამოისახა:

— მეუფეო, მოხედე დავრდომილთა და მიეც ძალა, რათა ადიდოს სახელი შენი! მოძღვარმა ჯვარი ისევ მიუახლოვა და დაუმატა: — ემთხვიე შვილო, მან განუტევა ხორცი და დაანთხია სისხლი მოსატევებლად ცოდვათა.

ქალმა იგრძნო რაღაცა სითბოება, რწმუნება, რომელიც თითონაც ვერ გაეგო რისგან ხდებოდა, ძალა-მოცემულმა წამოიწია და სასოებით ემთხვია ჯვარსა. სინანულის ცრემლები გადმოედინა თვალებიდგან და გულს თითქოს შვება მიეცა.

მოძღვარმა ჯვარი თავის ადგილას დაასვენა, დაიჩოქა მის წინ და ციურის ცეცხლით აღგზნებული თვალები ჯვარცმას

მიაპყრა. ამ წუთში მოხუცი, რაღაცა აღტაცებაში იყო, მის სახეს თითქოს ღვთიური ძალა გადმოფენოდა და რწმუნების მედიდურობა აშკარად დასტყობოდა. ის ლოცულობდა ჩუმად, მოკლედ, მაგრამ გულ-მხურვალედ. მასა სჯეროდა, რომ ამ წუთში ზეციერი მამა მასთან არის, მოუსმენს, და მიიღებს მის შუამავლობას. როდესაც მოხუცმა ლოცვა გაათავა, მივიდა ავათ-მყოფთან და უთხრა:

— შვილო, ვალი ქრისტიანისა აღვასრულეთ, ახლა დრო არის ხორცზედაც ვიზრუნოთ, ცოტა შეჭამე რამე.

— არა მშიან, მამაო.

— თავს ცოტა ძალა დაატანე. უპასუხა მოძღვარმა და დაუმატა:—აგერ ხორცი შემოვდგი და ცოტა წვენი შეჭამე.

ქალი დამორჩილდა, მაგრამ მალე ისევ თავი დაანება, რადგანაც ძალა სრულიად დაჰკარგოდა.

აქამდის ონოფრეს ამ ქალისთვის ვინაობა არ უკითხავს, რადგანაც ეშინოდა, რომ მწარის მოგონებით უმეტესს სატანჯველში არ ჩავაგდოო. ახლა, როდესაც რაოდენადმე დაასვენა, მიუახლოვდა და მზრუნველობით ხელი თავზედ დაადო.

— როგორა ხარ, შვილო?

— უკეთა, მამა, უკეთა. უპასუხა ქალმა.—მაგრამ ყოველი ასო მტკივა, ხორცი მიბუჟის და ისე მჩხვლეტავს,—თითქოს ეკლებზედ მწევარო.

— რაკი ტკივილსა ჰგრძნობ, ეგ კარგია, შვილო. ნუ გეშინიან, უფალი მოგხედავს; უფალი, იმისმა მადლმა... მაგრამ ვინა ხარ, საიდგან? ჯერ რომ არაფერი გითქვამს?

— ვინა ვარ? მწარედ ჩაიცინა ქალმა და დაუმატა:—ბეჩავი.

— პატრონი არავინა გყავს?

— მყვანდა, როდეს-ღაც მყვანდა, მაგრამ... ქალმა მწარედ ამოიოხრა.

— მაგრამ რა?

— ეხლა აღარა მყავს.

— ბურსაჭირში ამისთანა დროს რაღამ მიგიყვანა?

— სიბეჩავემ. მხრების აწევით უპასუხა ქალმა და თვალებზედ ცრემლები მოერია.

— შვილო! ცოტა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით დაიწყო ისევ ონოფრემ.—გიძნელდება შენი ვინაობის თქმა და აღარც მე გკითხამ.... იყავნ ვინც უნდა იყო, ეგ ჩემთვის სულ ერთია... ჩემი ვალია, სული თუ ცოდოთი დამძიმებული გაქვს, ვეცადო მის შემსუბუქებას... მაგრამ შემსუბუქება მალ-დატანებულის გამოთქმით ვერ მოხერხდება... დრო მოვა, იგრძნობ და შენანებული უფლის წინაშე ცოდვათა აღიარებ, ჭმუნვით დატვირთულს გულს გაანთავისუფლებ!.... ეგ მოვა თავის დროზედ და ამისთვის ეხლა თავი დავანებოთ... ეხლა ხორცი დაგღუნებია, მას მოსპობია ძალა და ეხლა მას ეჭირვება მოვლა და ზრუნვა!... დარჩი აქა... ეს სადგური უფალმა მომცა და ამის ჭერ-ქვეშ ყოფნა ყველა გაჭირვებულს და შეწუხებულს შეუძლიან...

ამ უბრალო კაცობრიულმა და გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა ქალი აღტაცებაში მოიყვანა და რწმუნების სითბობა გულში გაუღვიძა. მან დაინახა, რომ ქვეყნად დარჩენილიყო კიდევ კაცი, რომელიც ადამიანათა სთვლიდა, ფეხ-ქვეშ არა ჰქელავდა მის პირადობას და გველსავით სულის სამირკვლამდის არ უძვრებოდა, რომ მთელი მისი არსება ავერია, მოეწამლა და დაეშხამა.

— გიშველოს უფალმა! წარმოსთქვა ქალმა და მადლობის

გრძნობამ გული აუდუღა. სიტყვები შეაწყვეტინა.—დაჩაგრულს დამიუგავე... იმედ-დაკარგულს ნუგეში მეცი... გული სულსა ლევდის და ღვთის მადლმა, შენმა სიტყვებმა მოაბრუნა!... ბე-ჩავს ტკბილი სიტყვა გამაგონე და ღმერთი, ღმერთი გადაგი-ხდის.

ქალს ცრემლები გადმოედინა, მაგრამ ეს ცრემლები იყო სიტკბოებისა, დაჩაგრულის გულისგან პირველად შეწყალების გრძნობისა, რომ სადაც შეცოდებაა, იქ შენანებაც შესაძლებე-ლია. შემდეგ მიილუშა, ისევ ძილი მოეკიდა და მოძღვარმაც თავი მიანება.

მოხუცმა იცოდა, რომ შერყეულის და აღშფოთებულის სულის დამშვიდებას განსვენებისთანა არა უშველიდა-რა...

## IV

ეხლა, ვიდრე ჩვენს მოთხრობას გავაგრძელებდეთ, საჭი-როა უფრო დაახლოვებით გავაცნოთ მაყვალა და მისი ამ დღე-ში ჩავარდნის მიზეზი შევატყობინოთ.

მაყვალა იყო ქალი ერთის მოხუცებულის გლეხ-კაცისა. ჰყვანდა ამორჩეული საქმრო და, თუმცა მამამ ჯერ არა იცო-და-რა, გულით სჯეროდა, რომ მის ქორწინებას არა დაუშლი-ლიდა-რა; მომავალი ტკბილად ეალერსებოდა და სიტკბოების სრული იმედი ჰქონდა. მაგრამ ბედმა უმუხთლა, იმედი არ გაუმართლა და ერთბაშად, მისავე მოულოდნელად უმაწვილ-ქალობა მოუკლეს და სრულიად სხვა პირზედ გაათხოვეს.

მისი ქმარი გელა გოდერძიშვილი, იყო წამოსადეგი, ვაჟ-კაცი, უმაწვილი და ბუნებითვე ბევრის სიკეთით სავსე, მაგრამ,

რადგანაც ფასანაურში დიამბეგთან იასაულად მსახურობდა და იმ დროში კი იასაული დიდი ძალის მქონებელი იყო, რაოდენადმე გარყვნილი იყო, გალოთებული იყო და გათამამებული იყო. ამ მიზეზით თავს მეზობლებს არ უდარებდა და ბევრჯელ ისეთს უსამართლობას ჩაიდენდა ხოლმე, რომელსაც სხვა გარემოებათა შორის არას ოდეს არ გაბედავდა.

გელის მართალია, თუმცა მოსწონდა მაყვალა, მაგრამ სხვა პირობაში ჩაყენებული, მას შერთვას არ გაბედავდა, რადგანაც ქალი ჯვარის-წერამდი გულ-წრფელად გამოუტყდა, რომ მას სხვისთვის უცემდა გული, მაგრამ თავ-მომწონე ბიჭი ეხლა სხვა რიგად უყურებდა თავის მდგომარეობას და ამპარტავანად იძახდა:

— მე იასაული ვარ, ხემწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხევესთან უნდა ჩავითვალო?.. არ დავანებებ მაგ ქალს შავას, ვინც უნდა იყოს და რადაც უნდა დამიჯდეს.

ქალის მამისთვისაც მოხუცებას ჭკუა გამოელია, ჟამთა-ვითარებას გამოეთაყვანებინა და მისი შეხედულობით გელა მართლა მეზობლებზედ ბევრად უკეთეს პირად გამხდარიყო. ამასთანავე მოხუცს სმა უყვარდა და, თითონ საშუალებას მოსპობილი, გელას შემწეობით ხშირად გალეშებული დადიოდა. ამ გვარად იასაულმა მოხუცი მალე მოისყიდა და უფრო მალე გადააწყვეტინა, რომ ქალი მას მისცეს და ერთს დღეს თხუთმეტის წლის მაყვალას, მის უნებურად გელაზედ ჯვარი კი გადასწერეს.

ამ შემთხვევის შემდეგ, მოხუცი გადაიცვალა და მაყვალა სრულს ობლად დარჩა გელასთან; ბედისგან დაჩაგრულს ქალს ქმარი არ უყვარდა, მაგრამ, რაკი ბედის ხალხი ამ გვარად დაუტრიალდა, დაემორჩილა თავის ხვედრს და ერთგული ცოლი,

ოჯახის მომვლელი და პატივის დამცველი დედა-კაცი შეიქნა.

გელა სრულიად დააკმაყოფილა ქალის ქცევამ და გაამაყებულმა, რომ ცოლს თავი მოახრევინა, სრულს მორჩილებაში მოიყვანა, ისევ თავის იასაულობას მიჰყო ხელი და შინ მხოლოდ იშვიათად ბატონად მობძანდებოდა ხოლმე; აქ დაიწყებდა ცოლზედ ბრძანებლობას, რომ მორჩილებას არ გადაჩვეულიყო და, რომელსაც ალერსითაც დასტკბებოდა, ქალსაც საკმაოდ აწვალებდა და ატირებდა, დაკმაყოფილებული ისევ თავის სამსახურს დაუბრუნდებოდა ხოლმე.

რამდენიც მეტი ხანი გადიოდა, იმდენად გული უსამართლობას ეჩვეოდა და მეტად აწვალებდა თავის ცოლს, რომელსაც ნებას არ აძლევდა, რომ მის სახლში ყოფნის დროს დამჯდარიყო, გაეკეთებინა რამე და იძულებულსა ხდიდა ათასი გვარი ერთი-მეორეზედ უსაფუძვლო სურვილი ამა ამოუღებლივ აღესრულებინა. გელა სანამ ფასანაურში ჩავიდოდა, გაიცნობდა «ბატონებს», ამათ ცხოვრებასა, ქალებთან დაწოვილებულებასა და არშიყობასა ნახავდა, — ნამდვილი მთის კაცი იყო, მთიელის რწმუნებით და შეხედულებით; მაშინ ქალი იმისთვის იყო პატივ-საცემი ქმნილება, ცოლი მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდს უნდა მოსდგომოდა, მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და მაშასადამე ოჯახობაშიაც იმის თანაბარივე უფლება ჰქონოდა. ეხლა სრულიად სხვა იყო! მან გაიგონა ბატონების ლოთობის და ქარიალე-თარიალის დროს, რომ ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ იყო გაჩენილი, ნახა რომ ცხოვრებაში მართლა ამ მიმართულებით ხელმძღვანელობენ, არაყთან და ღვინოსთან ერთად საქმითაც იგემოვნა ამ გვარი ცხოვრების სიტკბოება და ფრიად მომთმენი, ხასიათ გაუფუჭებელი ერთბაშად შეიცვალა, ახალ ნაგემოვნებს დაემორჩილა.

ყოველ ყამს ხედავდა ქეიფს, ქალებთან არშიყობას, დროს გატარებას, გელას გზავნიდენ შუა-კაცად, უყურებდენ თავიანთ საკუთარს პირად, აღარას უმალავდენ; გელა იყო ლამაზი, წამოსადეგი, ქალებმა მალე აგრძნობინეს, რომ ის ბევრით უფრო სასიამოვნოა, სანამ სიყმაწვილის წვენ-გამოლეული მისი უფროსები და გელამაც აღარ დაიგვიანა, ამ მდგომარეობით ისარგებლა...

მაყვალა მარტოკა სცხოვრებდა და ყველაზედ ძნელი მის ცხოვრებაში ის იყო, რომ, რასაც გელა გარეთ ხედავდა, ის შინ შემოჰქონდა, რა ცხოვრებითაც გარეთ სცხოვრებდა, იმ ცხოვრებას ოჯახობაში ითხოვდა. უხეირო სმა, უწმაწური ლაპარაკი, უსამართლოება მეზობლებთან, ყველა საკმაოდ ამძულებდა მთელის თავსა.

გელა გოდერძიშვილს საკმაო ცხვარი ჰყვანდა და მომვლელი ეჭირვებოდა, რადგანაც სახლში ერთის ბიძის მეტი, და ისიც ძალზედ მოხუცებულისა, არავინ დარჩენოდა. ბოლოს ეს ბიძაც მოუკვდა და გელა იძულებული შეიქნა სამსახურიდგან გამოსულიყო, რადგანაც ოჯახობას პატრონის თვალი ეჭირვებოდა.

ამ დღიდგან ყმაწვილი ბიჭი სახლს დაუბრუნდა, მოუდგა ცხვარსა და, თუმცა ცხოვრების გამოცვლა რაოდენადმე უძნელდებოდა, მაგრამ მეცხვარეებში მაინც თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა. გელას დაესწავლა რაოდენადმე «შალთაი-ბალთაი», იცნობდა სხვა და სხვა ძალის მქონეთ, იყო მათგან მიღებული, რადგანაც მოხევის შემწეობით სხვა და სხვა ბნელს საქმეებს ირიგებდნენ; და ეს კი გოდერძიშვილს საშუალებას აძლევდა, ბილეთიც სხვებზედ ადრე მიეღო და მგზავრობის დროსაც გა-

ჭირვებაში მოძალეთ სხვებზედ მომეტებულის სიტყვა-პასუხით დასვედროდა.

ნაიასაულდარს ყველანი ხელსა ჰკიდებდენ, ცდილობდენ საქმე მასთან დაეჭირათ, რადგანაც ამ გვარად ყოველ შემთხვევაში საქმე უფრო იაფათაც უჯდებოდათ და მალეც უთავდებოდათ, მაგრამ, მასთან ძმური კავშირი არავისა ჰქონდა, რადგანაც თავის წინ წაწევას ამხანაგებს მეტად ძვირფასად უსვამდა და თავის ღირსებით მეტად ამპარტავნებდა, მეტად თავი მოსწონდა.

მხოლოდ ერთად-ერთი უბედურობა აბრაზებდა, გულს უხეთქამდა და საქმისთვის ვერა ეშველა-რა; მაყვალა ისევ განზედ გასდგომოდა, ვერ დაემორჩილა, ვერ მიეზიდა მისი გული და სიყვარული კი განუსაზღვრელი ჰქონდა. ვერც ჯავრობით, ვერც ცემით, ვერც ალერსით ვერ მოუმხრო ცოლის გული, რომელსაც სიცოცხლე იქამდის გამწარებოდა, რომ ყოველის ღონისძიებით ცდილობდა ქმარი გაეჯავრებინა.

საქმემ იქამდის მიაღწია, რომ მაყვალა გაექცა კიდეც, გავიდა თავის სამშობლოში და, თუმცა ახლო ნათესავი არავინა ჰყავდა, მაინც მოახერხა წმინდის სამების საბჭოში თემის ყრილობა მოეხდინა. თემის ყრილობამ განიხილა საქმე და მათი განშორება გადასწყვიტა, რადგანაც აღმოჩნდა, რომ მაყვალა ძალად გაეთხოვებინათ; მაგრამ იმ ხანში თემობა ირღვევოდა, მის გადაწყვეტილებას ის საშუალება აღარა ჰქონდა, რომ თავისი წევრებისთვის ძალა დაეტანებინა, გადაწყვეტილება აღესრულებინათ. იმ ხანებში ნაჩალნიკ-დიამბეგობა ჩამოვარდნილიყო და კანონი კი იძახდა: «ცოლ-ქმარის განშორება შეუძლებელია!»

რასაკვირველია, გელა არ დამორჩილდა თემის გადაწყვეტი-

დებას, რადგანაც მასდამი პატივი დაეკარგა და იცოდა მშვედლება, სადაც და როგორც ეპოვნა.

მთიელი ერებიდგან გამოვიდა მუქარით და, ცოტა დროს გავლის შემდეგ, ცოლი კანონმა სულახლად ქმარს დაუბრუნა.

მაყვალა ბუნებითვე მხიარული, მოცინარი და მალხაზი დამშვიდდა, გაჩუმდა და თითქოს თავის ბედს დამორჩილდა. თუმცა ამ გვარმა ძალ-დატანებულმა ცხოვრებამ ქმრისადმი სიმძულვარე ვერ შეუცვალა, მაგრამ ოჯახობის სახელის დამცველი, სახლის უფროსის ბძანებას წარბ-შეუხრელად ასრულებდა.

ამ დღიდგან ბელა დარწმუნდა, რომ ცოლი სამუდამოდ დაიმორჩილა, მოაჭკვიანა და მისთვის სრული უფალი შეიქნა. ამისთვის თვით ალერსსაც კი ბრძანების კილოთი ასრულებინებდა, არამც თუ ტრფიალს ანუ სხვა რომელსამე სამსახურს.

ონისე, რომელიც იყო მაყვალას გრძნობის საგანი, ქალის გათხოვების შემდეგ, თავს მოტყუებულად სთვლიდა და გულმოკლული ცხვრიდგან შინ აღარ შემოდიოდა. ადუღებულს, აღგზნებულს გულს სიცოცხლე მოჰკლებოდა თუ ჩამწვარ-ჩადაგულს ფერფლი გადაჰფარებოდა, ვეღარაფერსა ჰგრძნობდა.

მართალია, მცირეს იმედით გულმა გაუფართხალა, როდესაც მაყვალა ქმარს გაჰქცეოდა, მაგრამ რაკი კანონმა დაუბრუნა, რაკი მაყვალა დამშვიდდა და ქმრის წადილს დაემორჩილა,—ონისეც დაღონდა, გული ჩაესურა და იმედი სამუდამოდ მოესპო. მან წარმოიდგინა, რომ გამხეცებული გრძნობა შეაყენა, წადილი დაიმორჩილა და მოსვენებულს ცხოვრებას შესძლებდა; მაგრამ ფიცი კი დასდო, რომ ცოლი თავის დღეში არ შეერთო და ქალს არასოდეს არ ნდობოდა.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

# ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ.

თაგვთა ხელმწიფე სახელად განეფარია,
დასვეს, დალოცეს, აკურთხეს,
გვერდ შემოარტყეს ხმალია.
ოქროსა ტახტი შეუკრეს
და იგივ კარავანია.
მოიყვანეს და მოუსვეს
თვალ-ყუყუნ თეთრი ქალია.
დაჰკლეს და დაჰკლეს ფურ-ბერწი,
დაუთვალავი ცხვარია,
შემოდგეს თითო ქვაბები,
სულ თითო-თითო მხარია.
მორიდამ კაცი ქწვიათ,
უცხო და უმეცარია;
აბეზარ დაგვიპატიჟე
ამ ერთი წუთის ხანშია.
ხელში აიღო ფარანი
ღრუბელს უწვდინა მხარია;
დიღმის მინდორზედ შეიბნენ,
იქ არი საომარია;
ისე მოდის თოფის ტყვია,
როგორც რო ქარიშხალია.

აბეზარ მხარში დაგვიჭრეს,
სისხლი წავიდა ღვარია,
ლოკოკინს უთხრეს, შენ წადი
სად უკვდავების წყალია,
ლოკოკინამ სთქვა: ვერ წავალ.
ამას იმასობაშია აბეზარ, სული დალია.
აბეზარ მიწას მიიღეს,
დაბნელდა მზე და მთვარია;
გმნეფრის ცოლი მოსტირის,
თვალ-ყუყუნ თეთრი ქალია,
რა მალე დაქვრივებულა
მუმუ-კოკობი ქალია.
დახედე ქალის ჭკუასა,
რა იგი მალე მცდარია.

---

ლამაზო, გული ბროლს გიგავს,
შუბლი თრიალეთ მინდორსა,
გადაგხატვია თვალ-წარბი,
პირი მიგიგავს შენ მზესა.

---

შენ სანახავად მოვსულვარ,
სხვა საქმე არა მქონია;
უშენობა და შორ ყოფნა
სიცოცხლე არა მგონია.

---

ეხლა ვარ, ეხლა შეგაქებ
ხვალაც შეგაქებ დილითა,
შენს ქებას სხვაგან წავიღებ

ჩემი პატარა სტვირითა.
ღმერთმა აგრე აგაშენოს,
ციხეს აგებდე კირითა,
შეკმაზოს ბედაურები
სულ ოქროს უნაგირითა.
ჩაგეცვას მაუდის კაბა,
კალთა გაზმული ღილითა,
შენი მტერი და ორგული
ღმერთმა დახუთა ჭირითა,
ცოლ-შვილი სულ გაუწყვიტა
ეზიდებოდა ჯინითა.
ზურგით ჰკიდა ჩანახი,
იარა კოჭლი კვირითა;
ჩაეყო ლაჯებში თავი,
გულს ეზიდება კბილითა.

# ქნეინა ნექტარინა

ისტორიული მოთხრობა ქართველთ ცხოვრებიდამ

თხზულება ვალერიან ჩერნისა.

(ნათარგმნი რუსულიდამ) *)

## თავი I

იმ ადგილის მახლობლად, სადამაც მოკამკამებს სევდიანი მეჯუდა, მდებარეობს თავადი ერისთავების მამული, რომელსაც ქვია ნ მეჯუდის ხევი.

მეჯუდის ხევში დიდი დღეობაა. თითქმის ყოველის ქართლ-კახეთის კუთხიდამ ხალხი მოდის სალოცავად და სალხინოდ, როგორც ყველგან მიღებულია და მეტადრე საქართველოში, სადაც ერთი-მეორეზედ უკეთესი ბუნების სურათები და მშვენიერი ჭაერი ადამიანს ნება-უნებლივ საქეიფოდ სურვილს უღვიძებს.

დღე ცოტათი მოღრუბლული იყო. მეჯუდის ხევში და ახლო-მახლო ადგილებში მზე სრულებით არა სჩანდა. შავი,

---

*) ეს მოთხრობა ჩვენ ვპოვეთ რუსულის საკვირაო გაზეთის «СВѢТЪ»-ის დამატებაში. მთარგ.

უზარ-მაზარი ღრუბლები სოფელს მრისხანედ ჩამოაწვა. ხევი-დამ დრო-გამოშვებით დაჰბეროდა ქარი, მაგრამ ღრუბლები თან და თან მატულობდენ.

ხალხის მომეტებული ნაწილი ეკლესიის გალავანში იყო. ზოგნი კაკლების ქვეშ დამსხდარიყვნენ, ზოგს ნაბადი გაეშალა და ზედ ისხდენ, ზოგნი ბუჩქებს მიწოლოდენ, ზოგნი ურმებში ჩამსხდარიყვნენ და ზეიდან ხალიჩებით, ნოხებით და ნაბდებით დაეფარათ,—ამ რიგად ყველა: კაცებიც და ქალებიც ლხინობდნენ და შექცეოდნენ.

მათ შორის მრავალი ტიკჭორები და უშველებელი ღვინით სავსე რუმბები სჩანდა. ბიჭები ფაცურობდენ ბატონების სამსახურში—აქ მოისმის სიცილი, იქ სიმღერა—მარჯვნივ გამართულია ლეკური, მარცხნივ — დრო-გამოშვებით ისმოდა: «ბიჭო, ღვინო».—«ალავერდი» — «იახშიოლ» — «ზურნა, დაჰკარ!» — «ტუშ, ტუშ!» ყველა ამას მოუმატეთ ბავშვების წივილ-კივილი, საზანდრების დუდუკები, ცხენების ჭიხვინი, ბატკნებისა და ცხვრების ბღავილი, ზურნის შეუბრალებელი ხმაურობა, წვადების სუნი და მიქასტის ხმა... გარშემო ამ სურათის შემოარტყით კოცონები — ცეცხლის ალი, შეშების ტკაცუნი, ბოლი და თქვენ აშკარად წარმოიდგენთ საქართველოს საეკლესიო დღეობის სურათი...

იქვე ეკლესიის მახლობლად აშენებული იყო ქვით-კირის სახლი ძველებურის არხიტექტურით—აქ იდგა თავადი სოლომონ ერისთავი, მეჯვრის ხევის მაშინდელი მფლობელი. თავადი სოლომონ იყო შუა ხნის კაცი, პირ-მრგვალი — ცოტათი ჩასუქებული და ამასთან დიდი ხუმარა, თუმცა ცოლ-შვილიანი იყო. ამ დღეს სოლომონ ერისთავს წვეულება ჰქონდა.

მრავალ სტუმართა შორის სოლომონს ჰყავდა სტუმ-

რად აგრეთვე რამდენიმე რუსის აფიცერი. თავადი სოლომონი ამ დღის წინად თბილისში იყო, სადაც გაიცნო პოლკოვნიკი კარიაგინი—იმ დროს გამოჩენილი თავის გულადობით და კარიაგინის ამხანაგი დრაგუნის პოლკის მაიორი კოლოდოვი,—ამათ გარდა აქ იყვნენ კიდევ რამდენიმე აფიცრები, გორიდან ამოსულნი.

ჩვენ კიდევ დავბრუნდებით სოლომონსა და მის სტუმრებთან,—ეხლა კი გთხოვთ წამომყვეთ იმ გზაზედ, რომელიც თბილისიდამ მოდის მეჯვრის-ხევში.

ორი კაცი—ერთი მაღალი, ლამაზი, კარგად მოყვანილი ოც-და-ათის წლისა და მეორე შუა ტანისა, გამხდარი, ფერმკრთალი, მაგრამ ჭკვიანი თვალებით — ცხენებით მოდიოდენ ხსენებული გზით ქალაქ თბილისიდამ. პირველი წინ მიდიოდა, იჯდა თეთრ ცხენზედ, რომლის წვრილი ფეხები, პატარა თავი, მხნე გული და სუბუქი სიარული აშკარად ამტკიცებდენ, რომ ის იყო დაბადებული ყარაბაღში. ყარაბაღის ცხენები განთქმულნია მთელს კავკასიაში. მეორე იჯდა რაღაც პატარა ცხენზედ, რომელიც უფრო ვირსა ჰგვანდა და მართლაც რომ არც ცხენი იყო და არც ვირი—ეს იყო ჯორი; საქართველოში ძალიან ხშირად შეხვდებით ჯორებს, რომლებსაც დიდი ფასი აქვთ, რადგანაც ღონიერნი და კარგნი მატარებელნი არიან.

ამას გარდა, მგზავრები განსხვავდებოდენ აგრეთვე ტან-ჩაცმულობით. პირველს ეცვა შავი მაუდის კაბა და მწვანე აბრეშუმის ახალუხი — ამისთანავე ფართო შალვარი, რომლის ტოტები მშვენიერ წაღებში ჰქონდა ჩაკეცილი. ახალუხი და კაბა ოქრო-მკედით გაწყობილი იყო, მშვენიერი ბატკნის ტყავის ქუდი კოხტად ეხურა თავზედ—ოქროს ქამარი წელზედ დარ-

დიმანდულად ჰქონდა შემორტყმული და ზედ ოქროთი მოჭედი-
ლი ხმალ-ხანჯალი ეკიდა — ოქროთივე მოჭედილ უნაგრის ტახ-
ტაზედ მიკრული ჰქონდა ნაბადი.

ამის თანა-მოგზაურს, თუმცა ასეთივე ტანისამოსი ეცვა,
მაგრამ უფრო დაბალი ღირსებისა იყო და ქამარ-ხანჯალი ოქ-
როთი კი არა — ვერცხლით იყო მოჭედილი. — ესეთი გან-
სხვავება და მეტადრე ის, რომ მეორეს ზურგზე თოფი გად-
მოგდებული ჰქონდა — ცხადად მიგვახვედრებდათ, რომ ერთი
მათგანი მებატონე იყო, მეორე კი მსახური. და მართლაც ასე
იყო, რადგანაც პირველმა წარმოსთქვა ბრძანებლობის კი-
ლოთი:

— გლახავ, ჩიბუხი მომე!

— ეხლავ, ბატონო, შენი ჭირიმე; თავ-დაბლად უპასუხა
მეორემ და მოკიდებული ჩიბუხი მიართვა, რომელიც ყოველ-
თვის მზად ჰქონდა.

ეს ორი მგზავრი იყვნენ თავადი ალმასხან ა... და მისი
მსახური ბიჭი გლახა. ესენი მეჯვრის-ხევს მიდიოდნენ ქალაქი-
დამ, სადაც სახლობდა თავადი ალმასხან თავის ცოლითა, რო-
მელიც ორი წლის წინად შეირთო.

თავადი ალმასხანი ქალაქ თბილისიდამ ალიონზედ გავი-
და და საღამომდე ფიქრობდა მეჯვრის-ხევში ასვლას, თუმცა
თოთხმეტი საათის სავალი გზა იყო. ალმასხანი ისე მიეშუ-
რებოდა, რომ თავის ძმას დიმიტრისაც არ გაუარა, თუმცა
იმათი მამული ორსა თუ სამს ვერსზედ იყო გზიდგან მარ-
ჯვნივ. მაგრამ იმ დროს, როდესაც ჩვენ შევხვდით ალმასხანს
მეჯვრის-ხევამდის კიდევ ერთი მესამედი გზა უკლდა. როდესაც
მზე მთის წვერს გადასცილდა, დადგა საღამო და გარშემო სულ
დაბნელდა. მალე ისე დაბნელდა, რომ ვერც ალმასხანი და ვერც

გლახას ვერ ხედავდენ არამც თუ ერთმანეთს, არამედ თავ-თავიანთ ცხენების თავებსაც.

ალმასხან ეხლა ნანობდა, რომ ძმას არ შეუარა, და ღამე იქ არ გაათენა, მაგრამ ეხლა დაბრუნება გვიან იყო, რადგანაც მეჯვრის-ხევამდის ცოტა გზა რჩებოდა. საუბედუროდ ამ გზაზე ახლო-მახლო არც ერთი სოფელი, არც ერთი ქოხი არ იყო.

ამ გაჭირვებას კიდევ მოემატა ერთი უსიამოვნება—წვიმა. თუმცა მგზავრებს ყაბალახი და ნაბდები ჰქონდათ, მაგრამ წვიმა და ნიაღვარი თან და თან მატულობდა და ბოლოს იქამდის მიაღწია საქმემ, რომ ცხენები ტალახების გამო დაიღალნენ და გაჩერდენ. ალმასხანმა გაარტყა მათრახი თავის «ჯირითას», მაგრამ ცხენი არ ინძრეოდა. რა თქმა უნდა, რომ შესდგა აგრეთვე გლახას ჯორიც.

— რაღა ვუყო ამ საქერანო ცხენს! წამოიძახა მოუთმენლად ალმასხანმა. გლახა, გადმოდი და ხელით მაინც გაატარე ჩემი ცხენი, თორემ ხომ ხედავ, ალაგიდამ არ ინძრევა!...

გლახა ჩამოხტა და ის იყო ხელი მოჰკიდა ალმასხანის ალვირს და გასწია თუ არა, ამ დროს ხელი ლობეს მოხვდა.

— შენი ჭირიმე, ბატონო; წამოიძახა გლახამ,—იცით ბატონო, რად არ მიდიოდა ჯირითი, თურმე ნუ იტყვით, აბა, მეც არ გამიკვირდა... ჯირითი და დაღალვა ვის გაუგონია!...

— მაშ რა მიზეზია?

— ის ბატონო, შენი ჭირიმე, რომ თავი ლობესთვის მიუბჯენია—ალბათ სადმე ახლო სადგომი უნდა იყოს.

და მართლაც, გაათავა თუ არა გლახამ ლაპარაკი—მოისმა ძაღლების ყეფა.

— გლახა, მართლა რომ სახლი ახლოა!

— დაილ, შენი ჭირიმე, ბატონო. ჯერითი ტყვილა უბრალოდ როდი გაწყრება—ალბათ თავის სუნი ეცა. აი მგონი საბძელიდაც!

მობრუნდენ თუ არა, მარჯვნივ სინათლემ გამოაშუქა. ალმასხან მარდად გადმოხტა ცხენიდამ, აღვირი გლახას გადასცა და თვითონ სადგომში შევიდა.

შევიდა თუ არა ალმასხანი, დაინახა კერასთან ლამაზი ქალი მშვენიერი სახისა, ნამდვილი საქართველოს შვილი— ქოჩიანი, ჟუჟუნა თვალებიანი, მაღალი, ასე ოცი ან ოც-და-ორის წლისა. ქალი მწვადებს სწვავდა—და დაინახა თუ არა უცხო კაცი, ის იყო გაჰქცევა უნდოდა, მაგრამ ერთი გასაკვირი იყო და ის გასაკვირიც ალმასხანს ჰქონდა დაპყრობილი. ქალი შეკრთა.

— რა გინდა? ჰკითხა ქალმა მთრთოლვარის ხმით.

— ცოტა რამ, ჩემო კარგო, უპასუხა თავადიშვილმა,— მითხარ, თუ შეიძლება, შორს არის აქედამ მეჯვარის-ხევი და ნებას მომცემ თუ არა, ეს ღამე აქ გამათენებინო? მთელი დღე გზაში ვარ, საშინლად დავიღალე, მომშივდა და, ხომ ხედავ, თავით ფეხამდის გაწუწული ვარ.

— მეჯვარის-ხევამდის ახლოა, მიუგო ქალმა: ბევრი, ბევრი, ერთი საათის გზა იქნება. იქ დღეს დღეობა არის და ყველანი დიდის სიამოვნებით მიგიღებენ.

მაგრამ ალმასხანს სულ სხვა ანგარიში ჰქონდა. ამას ერჩივნა ეს ღამე აქ გაეთენებინა, ასეთი მშვენიერის ქალის მახლობლად, ვიდრე ერისთავის სადგურში, სადაც სტუმრებისაგან ტევა არ იქნებოდა.

— უჰ! ერთი საათი შენ ხუმრობა ხომ არ გგონია? წამოიძახა ალმასხანმა, ვითომ შეშინებულმა.—არა, ჩემო კარგო,

როგორმე მიშველე, აქ გამათენებინე, თორემ ჩემი ცხენი ისე დაღალილია, რომ ორ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამს. გარდა ამისა არ ვეშურები, რადგან დღეობა ხვალ დაიწყება.

— არა, ბატონო, უპასუხა ქალმა, — დღეობა იქ დღესაა. ჩემი ქმარი, რახანია, კიდეც წავიდა.

— აჰა, შენი ქმარი წავიდა იფიქრა ალმასხანმა, მაშ ჩემი აქ დარჩენა მით უფრო სასიამოვნო იქნება და მიუმატა მაღლა: — მართალს ამბობ? მაშ დღეობა დღეს არის! ვაგლახ! მაშ, რისთვის გავეშურო, რომ სულ ერთია, ეხლა მაინც ვერ მივასწრობ და მაინც!...

— მერე დღეს ხომ არ გათავდება დღეობა, კიდევ სამი დღე გაგრძელდება, მიუგო ქალმა.

— მაშ უფრო კარგი! კიდევ ერთი დღეც რომ გადავაცილო, რას ვინაღვლი, მაინც ხომ მივასწრობ.

— ხვალ, ბატონო, იქ კალმახობა იქნება. ყველანი იქ წავლენ და...

— მე თევზი და საზოგადოდ კალმახი ძალიან მწყენს და ამისათვის წასვლას დარჩენა მირჩევნია, თორემ, ვინ იცის, იქნება, ავად გავხდე.

— კალმახობის გარდა ჯირითიც იქნება, მიუგო შეუბრალებელმა მასპინძელმა.

— ოჰ, თუ ასეა, მაშ ჩემი დარჩენა თვით განგებას სდომებია, რადგან ჩემი ცხენი ისე დაღლილია, რომ უთუოდ შემარცხვენს ჯირითში.

— ცხენს ბზე დავუყაროთ და მალე გამაგრდება, მაგრამ საუბედუროდ შინ არავინა მყავს... ბიჭები ყველანი ქმარს წაჰყვნენ.

— მე ბიჭი თან მყავს. მიუგო თავადისშვილმა.

— მაშ რაღა გაუწყობა, დაბრძანდით, ბატონო. ეხლავ ვახშამს მოგართმევთ, ოღონდ ცხენს ვინ მოუვლის... წყალი აქვე ახლოა.

— შენ ნუ შესწუხდები, ჩემო კარგო, ბიჭი მოუვლის ცხენსა... შენ ოღონდ ეს ღამე აქ გამათენებინე.

— შენი ნებაა, მიუგო ქალმა და ალმასხანს ისეთის ტკბილის და ალერსიანის თვალებით შეხედა, რომ ალმასხანი მაშინათვე მიხვდა, რომ ამ თვალის მქონე მასპინძელი ისე გულცივი და შეუბრალებელი არ უნდა ყოფილიყო, როგორც წინად ეგონა.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ქალმა თავი დაღუნა, ლოყებზედ ალმური აუვიდა. ალმასხანი ძალიან ლამაზი და მოყვანილი კაცი იყო, მეტადრე იმისი თვალები ისეთის ეშხით უყურებდნენ მასპინძელს, რომ ქალს გული აუძაგძაგდა...

ერთი საათის შემდეგ ალმასხანი მხურვალედ ჰკოცნიდა მასპინძლის ვარდის მსგავს ტუჩებს... ორი საათის შემდეგ ცეცხლი გაქრა, მაგრამ ამ სიბნელეში იდუმალი ჩურჩული და მხურვალე კოცნა-ალერსი კიდევ დიდ ხანს ისმოდა...

ალიონზედ თავადი ალმასხან ა... მეჯვრის-ხევის გზას ადგა.

## თავი II

თუმცა თავადი ალმასხან დილა-ადრიანად მოვიდა ერისთავისას, მაგრამ თვითონ სოლომონ და მისი სტუმრები მზად იყვნენ საკალმახოთ წასასვლელად. ალმასხანმა ბოდიში მოიხადა, რომ დროზედ ვერ დაესწრო ასეთს გულ-უხვს მასპინძლობას

და ღირსეულს საზოგადოებას, აუხსნა მიზეზი და ისიც დაუმატა, რომ საშინელი ნიაღვარის გამო იძულებული იყო ღამე სადღაც ქოხში გაეთენებინა.

— ჰა, ჰა, ჰა! დაიღრიალა სოლომონმა სიცილით. ალმასხან, შენ წუხანდელი ღამე უთუოდ მშვენივრად გაატარე, რადგან არც ერთი პაჭუ-პაცი წუხელის სახლში არ იყო... ყველანი აქ იყვნენ და, რა თქმა უნდა....

ალმასხანმა თითქო ვერ გაიგო ეს სიტყვაო, სხვებს მიესალმა.

რადგან ალმასხანი მოსვენებული იყო, სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა კალმასობაში და ყველამ მდინარე მეჯღუდასკენ გასწიეს, სადაც თავად სოლომონს ალიონზედ ბიჭები გაეგზავნა თევზის დასაჭერად. გაეგზავნათ აგრეთვე ურემი ღვინოებით და სხვა ნადიმისთვის საჭირო სანოვაგითა და ალერსით. კალმახის დაჭერა და სტუმრების მიღება მინდობილი ჰქონდა აზნაურ გენჯაძეს, რომელიც დილითვე წასულიყო.

გზა ჯერ-ჯერობით ივართო და სწორი იყო. ყველა ახალგაზრდა თავადისშვილი და აგრეთვე აფიცრები ერთმანეთს ასწრობდენ ცხენებით. მათ შორის მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მაიორი კოლოდოვი, თუმცა ორმოცს წელს გადაცილებული იყო. ეს გახლდათ რაღაც მოცვეთილის პირი-სახისა, რომელსაც იგი არ უვლიდა და არც ამის დრო ჰქონდა. კოლოდოვი შეუერთდა ამ ახალ-გაზრდებს ჯერ იმიტომ, რომ თავის თავს გამოჩენილ ცხენოსნად სთვლიდა და ყოველს შემთხვევაში ცდილობდა ეს თავისი ხელოვნება ყველასათვის ეჩვენებინა. საზოგადოდ კოლოდოვს უყვარდა ახალ-გაზრდობა და ხშირად გაიგონებდით იმისაგან ასეთს სიტყვებს: «ჩვენ, ახალგაზრდა ყმაწვილები», ანუ «ჩვენი ახალ-გაზრდობა». საზოგადოდ ტრა-

ბახობა მისი ერთი უმთავრესი თვისება იყო.

დღეს კოლოდოვმა, ზენა სწყალობდა თუ ეშმაკი, ყველა ცხენოსნებს გაასწრო და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ გაიმართა ჭირითი ხელმეორედ. ეხლა ყველამ მონაწილეობა მიიღო თავადის ალმასხანის და პოლკოვნიკი კარიაგინის გარდა. თვითონ თავადი სოლომონ ერისთავიც შეუერთდა.

თავადი სოლომონის ცხენმა გაასწრო კოლოდოვის ცხენს. კოლოდოვი სწყევლიდა ბედ-იღბალს და მასთან ყველა ყარაბა-ღულს ცხენებს. რადგან სოლომონმა ყველას ცხენებს გაასწრო, კოლოდოვმა და სხვა აფიცრებმა სთხოვეს პოლკოვნიკ კარია-გინს, რომ მიეღო მონაწილეობა და არ შეერცხვინა რუსის სამხედრო აფიცრები.—ბევრი ხვეწნის შემდეგ კარიაგინი და-თანხმდა.

და, მართლაც, გაიმართა თუ არა ჭირითი ხელმეორედ, კარიაგინმა ყველას გაასწრო—გაასწრო აგრეთვე თავად სოლო-მონის მშვენიერ ყარაბაღულ ცხენსაც, კოლოდოვი სიხარუ-ლისაგან ხბოსავით ხტოდა.

— მე ხომ ვამბობდი, რომ ყარაბაღული ცხენი გახვრეტილ გროშად არა ღირს მეთქი. ხომ ხედავთ, ხომ დარწმუნდით რომ სოლომონის ცხენი გროშად არ ვარგა, რადგან ყარაბა-ღულია, იძახდა კოლოდოვი და ცმუკავდა, რაც შეეძლო.

მაგრამ ჭირითი ხელახლად გაიმართა და ეხლა კი მარ-ტო კოლოდოვი და თავადი სოლომონი გაჭირითდნენ, რად-გან კოლოდოვს არა სჯეროდა, რომ ყარაბაღულს ცხენს გაქ-ცევა შეუძლიან. ცხენები გაცვივდნენ, მაგრამ ხუთი წამის შემ-დეგ სოლომონის ცხენი იმდენად იყო დაწინაურებული, რომ

ვოლოდოვმა საჭიროდ დაინახა უკან დაბრუნებულიყო. და მართლაც დაბრუნდა ამ სიტყვით:

— ამის შემდეგ არა ღირს სამსახური დრაგუნის პოლკში და, თითქო არაფერი მომხდარიყოს, ისე დამშვიდებით მოუკიდა ჩიბუხს და დაიწყო ბოლთის ცემა—ცხენი კი ბიჭს გადასცა.

ამ დროს თავადი სოლომონი დაბრუნდა, მაგრამ ჯირითით კმაყოფილი არ იყო, რადგან კარიაგინის უშნო ცხენმა აჯობა მის ცხენს და ამისთვის აი რა ხერხი მოიგონა. თუმცა თითონ ძალიან ჰსურდა, რომ კარიაგინი ხელმეორედ გასჯიბრებოდა, მაგრამ თავაზიანობა და მორიდება ნებას არ აძლევდა; ამიტომ სოლომონი მივიდა ალმასხანთან, რომელიც გატაცებული იყო სხვადასხვა ფიქრებით თავის ახალ-გაზრდა ცოლის შესახებ, რადგან თავის თავს დამნაშავედ გრძნობდა იმ ღამის შემდეგ, რომელიც ქოხში გაათენა.

— ალმასხან, უთხრა სოლომონმა, შენ თუ მუდამ ასე დადიხარ «ჯირითზე», დამერწმუნე, რომ მაგას მალე სიარულიც დაავიწყდება.

— შენ მართალი იქნებოდი, რომ ჩემს ცხენს ჯირითობა სწავლით და გავარჯიშებით მიეღო, მაგრამ სოლომონ, აბა, შეხედე ამის ფეხებს, ამის მხნე გულს, აბა, ეხლა მითხარ, ამისთანა ცხენს ჯირითი დაავიწყდება?

— მართალს ამბობ, უპასუხა სოლომონმა, მაგრამ აქ ერთი ცხენი გვირევია, რომელიც, მგონი, შენ «ჯირითსაც» გაასწრობს—აბა შეხედე კარიაგინის ცხენს?

— არა მგონია, რომ გაასწროს, მიუგო ალმასხანმა და გასწია.

სოლომონი მიხვდა, რომ ალმასხანი დღეს ქეიფზედ არ იყო და ამიტომ მივიდა პოლკოვნიკ კარიაგინთან.

— რა სახელი აქვს თქვენს ცხენს, პოლკოვნიკო? ჰკითხა სოლომონმა.

— «მოლოდეც» მიუგო კარიავინმა.

— და მართლაც ღირსია მაგ სახელისა — მე არც ერთს ცხენს არ გავცვლიდი მაგაში, ალმასხანის ჯირითის გარდა.

— თქვენ მგონი იმ თეთრ ცხენზედ ლაპარაკობთ, რომლითაც დღეს ჩამოვიდა ვიღაც თავადიშვილი. — მართალია, ის ცხენი ძალიან კარგ ცხენსა ჰგავს, მაგრამ მე არ შემიძლიან, რადგან მოლოდეცმა თქვენს ყარაბაღულ ცხენს აჯობა.

— კარგი იქნებოდა, რომ თქვენ ორივეს დაგვენახათ თქვენი ცხენების ავ-კარგობა; მაგრამ თქვენ ორივე ისე იქცევით, თითქოს გეშინიანთ თქვენივე ცხენისა და ეჭვიანობთ გამარჯვების შესახებ.

გაათავა თუ არა ლაპარაკი სოლომონმა, პოლკოვნიკი მივიდა თ. ალმასხანთან და ზრდილობიანად უთხრა:

— კნიაზო, თქვენ ხომ წინააღმდეგი არ იქნებით, რომ ჩვენი ცხენების სიმაგრე, სისწრაფე გავსინჯოთ. თავადი დათანხმდა.

გაიმართა ჯირითი; მაგრამ მარტო კარიავინი და ალმასხანი იყვნენ მოჯირითენი.

ყველა თვალ-ყურს ადევნებდა, რადგან მართლა საყურადღებო ჭენაობა იყო. ორივე მშვენიერი ცხენები იყვნენ, თუმცა ერთი თოვლივით თეთრი იყო და მეორე ყორანივით შავი.

— ჰა, ჰა, ჰა! დაიღრიალა სოლომონმა, — შეხე, რა კარგად მიდიან. თქვენი ჭირიმე, თქვენ... ჰა, ჰა, ჰა!...

— ღმერთსა ვფიცავ, ორივე მშვენიერი ცხენებია და ამიტომაც მე ხელახლად შევდივარ სამხედრო ცხენოსნობის სამსახურში და ამ სიტყვებით კვლავ შეჯდა ცხენზედ მაიორი კოლოდოვი.

— შენი სულის ჭირიმე, შენა! იძახოდა გლახა, «ჯირითი» რომ ნაავდით გაფრინდა.

ცხენები კი მიქროდნენ, მაგრამ ჯერ არც ერთი არ იყო დაწინაურებული.

მაგრამ პოლკოვნიკი თანდათან უფრო აღტაცებული თავის ცხენის ფეხის მარდობითა და სიმსუბუქით, უფრო ერეკებოდა თავის ქურანს და კიდეც გაასწრო თავადის ცხენს.

ალიმასხანი მაშინათვე გვერდზედ გაუხნდა კარიავგინს და ამ გვარად წინ არ უშვებდა თავის ცხენს, თუმცა ცხენი საშინლად იწევდა. როდესაც მიახლოვდნენ მოსახვევს გზას, ალმასხანმა მალზედ შეაყენა ცხენი და მოლოდეცი და პოლკოვნიკი წინ გაუშვა ნახევარ საჟენზედ—ჯირითი გათავდა.

ყველა აღტაცებით ტაშს უკრავდა კარიავგინს და უქებდა ცხენს. რა თქმა უნდა, რომ ვერავინ შეამჩნია ალმასხანის ხერხი, მაგრამ პოლკოვნიკი ისე ბრიყვი არ იყო, რომ არ შეემჩნია თავადიშვილის თავაზიანობა.

— მადლობელი ვარ, ბატონო, მაგ გულ-კეთილობისათვის და მეტადრე თქვენი მადლიერი ვარ, კნიაზო ალმასხან, რადგან ჩემი ცხენის გამარჯვება თქვენი თავაზიანობის მიზეზით მოხდა, დიდი მადლიერი ვარ აგრეთვე «ჯირითისა», რადგანაც აშკარად დამანახვა ნამდვილი ღირსება ჩემის ცხენისა, რომელიც ქსლა, ჩემის აზრით გრომათაც არა ღირს...

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, მოიღერა დამბაჩა და შიგ ყურში დაცალა. ცხენი დაბარბაცდა—მაშინვე წაიქცა და სული დალია.

ამ სურათის მნახველნი, ისე ზარ დაცემულნი იყვნენ, რომ ვერც კი მოსულიყვნენ გონზედ, როდესაც კარიავგინმა უთხრა ვოლოდიას:

— თქვენ, მაიორო, სამსახური ისევ გამოგიცვლიათ, ალბად ცხენოსნობა ჯობნებულდა.

— ღმერთსა ვფიცავ, თქვენ უბრალოდ მოჰკალით თქვენი საუცხოვო ცხენი, მიუგო ვოლოდოვმა, — არა სჯობდა რომ...

— დამიჯერეთ, რომ ასე სჯობდა, გააწყვეტინა გარიავინმა.

ამ დროს თავადი ალმასხან მარდად გადმოხტა თავის ჯირითიდგან, მიაწოდა აღვირი პოლკოვნიკს და სთხოვა, გარიავინს მიეღო ეს ცხენი სახსოვრად, მაგრამ გარიავინი უარზედ იდგა. — თ. ალმასხან ფეხით წავიდა გარიავინთან ერთად, რამდენიმე სხვანიც ჩამოხდნენ ცხენებიდამ და ყველანი გაუდგნენ გზას.

აქამდის კარგი გზა — ეხლა თან და თან ფუჭდებოდა. დიდი ხევები და ზოგან ვიწრო გზა ამნელებდა სიარულს. ბუნების სურათი აქ სულ სხვა იყო, ვიდრე ვაკეზედ — ალაგ-ალაგ მოჩანდა დათოვლილი მთის წვერები, ჰაერი თან და თან უფრო ცივი იყო. ტყის სინოტივე და ბურუსი თითქოს სუნთქვას ამნელებდა. ყველაფერი ამტკიცებდა, რომ ზამთარი შორს არ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ მგზავრებმა დაინახეს მინდორი, რომელზედაც კოცონები გაჩაღებული იყო და ქვაბებში კალმახი იხარშებოდა, ბიჭები ფაცურობდნენ. სუფრები დატვირთული პურით, ყველით, თეფშებით, ღვინით სავსე დოქებით, აზარფეშებით, გამაძღარსაც მადას გაუღვიძებდნენ. ორმოცი ან ორმოც-და-ხუთის წლის კაცი მხიარულის სახით მიეგება სტუმრებს და სალამი მისცა ყველას.

— სვიმონ ქენწაძეს გაუმარჯოს. მიაძახა თავად სოლომონმა, რა ამბავი, ხომ კარგი კალმახობა იყო?

— მადლობა ღმერთს, საჭმელად გვეყოფა, ბატონო, მიუგო განჯაძემ.

— ბატონებო, თუ დამეთანხმებით და ცხენებიდამ ჩამოხვალთ, ურიგო არ იქნება, რადგან სუფრა, რასხანია, გაშლილია და თქვენს მოსვლას ელოდა. — ამ სიტყვებით სოლომონ გადმოვიდა ცხენიდამ, დაპატიჟება არავისათვის საჭირო არ იყო, ყველანი გარშემო შემოუსხდენ სუფრებს, ფეხთ მოიკეცეს და შეუდგნენ საუზმეს, რუსების აფიცრებმაც ფეხთ მოიკეცეს, თუმცა ეს ჩვეულება მათთვის ცოტა არ იყოს შესაწუხებელი იყო, მაგრამ საქართველოში ქართულად უნდა მოქცეულიყვნენ. — ამ დროს განჯაძემ ბიჭებს უბრძანა რომ კალმახი მოერთმიათ სტუმრებისათვის. კალმახი საუცხოვო რამ იყო და ბევრსაც შეექცეოდენ.

— მე, კნიაზო სოლომონ, მგონია რომ ჯერ თევზი უნდა დაგვეჭირა და მერე გვესადილა, თქვენ ხომ სათევზაოდ დაგვპატიჟეთ! უთხრა გარიაგინმა.

— ჩვენ უამისოთაც ბევრი ვიშრომეთ გზაში და კიდეც დავიღალენით, ამისათვის, მე მგონია, რომ ჭამის უფლება გვაქვს. მაგრამ თუ ვისმეს ჰსურს თავის ხელით დაჭერილი კალმახი იგემოს—ბატონი ხართ—აი აგერ თევზებს იჭერენ—აკრძალული არავის ექნება. მე თუ მკითხავ, კალმახობას კალმახის ჭამა სჯობიან — აი, აი შეხედეთ ჩვენი სიმონ განჯაძე კიდეც შევიდა წყალში, აი ბადეც გადისროლა!... შეხედეთ!

გარიაგინმა შეხედა იმ ადგილსა, სადაც სოლომონი უჩვენებდა და დაინახა განჯაძე, რომელიც მუხლებამდე წყალში იდგა. მეორე ნაპირზედ იდგა სამი ბიჭი, რომელთაც მეორე ბადის წვერი ეჭირათ, დანარჩენები დიდი კეტებით ქვებ-ქვეშ მიმალულ კალმახებს აფრთხობდენ და ამ რიგად ოცი წუთის შემდეგ ამოიღეს ბადე, რომელშიაც მრავალი კალმახი იყო.

კალმახი მაშინათვე გამოწლეს, გარეცხეს, ჩაყარეს მარილ-წყალში და თხუთმეტი წუთის შემდეგ სუფრაზედ მოართვეს სტუმრებს.

— უმაწვილებო, დაიძახა სოლომონმა და აიღო უშველებელი ყანწი, მე მგონია თქვენ წინააღმდეგი არაფერი გექნებათ, რომ პირველი სადღეგრძელო დავლიოთ სიმონა გენჭაძისათვის, რადგან კალმასით და დღევანდელი მასპინძლობით ეგ ღირსეულად დაუხვდა ღირსეულ სტუმრებს! აქ მო სვიმონ—ეს შენი სადღეგრძელო იყოს! პოლკოვნიკო, ალავერდი თქვენთან!

— იახშიოლ! მიუგო გარიაგინმა, რომელმაც ცოტათი იცოდა ქართული ენა.

სოლომონმა ერთის მოყუდებით დააცარიელა უშველებელი ყანწი და კვლავ ავსებული გადასცა გარიაგინს.

— იცოცხლეთ, გენჭაძე! სთქვა პოლკოვნიკმა და მერე დაუმატა: კნიაზო ალმასხან, ალავერდი თქვენთან!

— იახშიოლ! მიუგო ალმასხანმა და გამოართვა ნახევრამდის დაცლილი ყანწი. უკაცრავად პოლკოვნიკო, მაგრამ თქვენ არ ემორჩილებით ჩვენს ჩვეულებას, სადღეგრძელო უთუოდ უნდა დაიცალოს.

— იმედი მაქვს, ბატონო, რომ მაპატიებთ, როგორც დაუჩვეველს კაცს.

— აპა-პა! შენ არ მომიკვდე! დაიღრიალა სოლომონმა— ასეთი დარღვევა ჩვენი სუფრის ჩვეულების შეურაცხყოფად ითვლება და მე, როგორც მასპინძელს, არ შემიძლიან გაპატიოთ!

გარიაგინი გაჭირებაში იყო, მაგრამ ალმასხანმა დაიხსნა.

— მე ვსვამ თქვენს მაგიერ, პოლკოვნიკო და, სანამ სოლომონი რასმე იტყოდა, კიდეც დაცალა ყანწი. შემდეგ გადა-

სცა ტოლუბაშს ასავსებელად, ალმასხანმა ადღეგრძელა განჯაძე და ხელ-ახლა დააცარიელა ყანწი.

— ჰა, ჰა, ჰა! ეს უთუოდ ნიშნავს რასმე სვიმონ! ღიმილით წაიდუდღუნა თ. სოლომონმა. თ. ალიასხანი შენს სადღეგრძელოს ორჯერ სვამს, თითქო ორი განჯაძისათვისაო, ერთს დიდისათვის და მეორეს პატარასთვის. სვიმონ, იქნება ღმერთი გწყალობს და, იქნება, ბედი შვილს გაძლევს?

განჯაძემ მწარედ ამოიოხრა, რვა წელიწადი გავიდა, რაც ცოლი შეირთო, მაგრამ შვილი არ ეყოლა.

— არა, ბატონო, აქამდის თუ არაფერი იყო, ეხლა რაღა იქნება.

— ვინ იცის, მიუგო თ. სოლომონმა — შენ ხომ წუხელღამ შინ არ იყავი და, რა იცი, როგორ არის საქმე? და ღიმილით ალმასხანს თვალი გადაჰკრა.

განჯაძემ წარბები შეჭმუხნა, ალმასხანი კი გაწითლდა. კიდევ ამას წინეთ ალმასხანმა, გაიგო თუ არა, რომ განჯაძე კალმახობის მეთაური იყო, მაშინათვე მოაგონდა მშვენიერი ქალი და ის ღამე, რომელსაც ქოხში გაათენა.—ქალი თავის ქმარს განჯაძეს უძახოდა.

შეამჩნია თუ არა თ. სოლომონმა, რომ მისმა ხუმრობამ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, მაშინათვე სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი:

— ყველა ეს ძალიან კარგი, მაგრამ მარტო თევზით ვერ გაძღებით? მოიტანეთ ყველა, რაცა გაქვთ და ხარიც მოიყვანეთ. ჯერ ჩვენ გავსინჯოთ იმაზე ჩვენის ხმლის სიმახვილე, მერე კი მისი სუკები ვიგემოთ. რაც შეეხება ნადირს, ბოდიშს ვითხოვ, მეტადრე შენთან ალმასხან, გუშინ სულ გავათავეთ და შენი წილიც აღარ დარჩენილა.

— მე ეს ხოხობიც მეყოფა, მიუგო ალმასხანმა, და უჩვენა სწორედ თავის პირ-და-პირ ცაში, სადაც პატარა ლაქივით მოჩანდა.— გამოართვა გლახას თოფი. დაუმიზნა. თოფი გავარდა.

ხოხობი ზედ სუფრის შუა გულას დაეცა ცეცხლის მახლობლად.

— ამან თითონ კარგად იცის, რაც მოუნდის, სთქვა ჭანჭა-ძემ და აიღო ხელში ხოხობი — თითონ მირბის ცეცხლისაკენ. ბიჭებო, მალე შესწვით.

— ჰა, ჰა, ჰა! რა გასროლა იყო და! გრიალებდა სოლომონი,— შენი სულისა, შენი! ამისთანა გასროლის შემდეგ დღეს ხელში თოფს არ ავიღებ, თუმცა ნადირობა ძალიან მინდოდა.

— საკვირველი გასროლა იყო! გაიმეორა ყველამ.

— საამისო არაფერი, ღმერთს გეფიცებით! დაიძახა გოლოდოვმა... დამერწმუნეთ, ასს ნაბიჯზედ დამბაჩით ცხრიანისთვის შიგ გულში მომიხვედრებია.

— მგონია, ცოტა მეტი მოგივიდათ! —უპასუხა გარიაგინმა.

— ღმერთს გეფიცები, მართალს მოგახსენებთ, ნეტავი ბანქო მქონდეს, ეხლავე გაჩვენებდით ჩემს ხელოვნებას, გაჩვენებდით, რას ეძახიან ჩვენში სროლას!

— ბანქო ხომ ჯიბეში გაქვთ — აი თავიც კი ამოუყვია ცხრიანს.

— ეს ახლებია—მე ესენი შემთხვევისათვის წამოვიღე; იქნება თამაშობა გავმართოთ, გარდა ამისა ბანქო ნაყიდია, ფასია მიცემული.

— ბანქოს ფასს მე გაძლევთ, როგორც მასპინძელი, მიუგო სოლომონმა. აბა ამოიღეთ აი ეს ცხრიანი. ალმასხან, მომეცი შენი თოფი!

— არა, ჩემო ბატონო, ამ თოფით მე არ გავისვრი... მე თუ გავისვრი, უთუოდ ჩემი დამბაჩით უნდა გავისროლო, თორემ სხვისი თოფით არ შემიძლიან. — საუბედუროდ, ჩემი დამბაჩა ეხლა ყარაიაში არის, კარგი ორასი ვერსტი გახლავთ აქამდე.

— ძალიან ვსწუხვარ, რომ ვერ დავსტკბით თქვენი ხელოვნობით, მიუგო ღიმილით პოლკოვნიკმა. — კნიაზო ალმასხან, თუ შეიძლება მაჩვენეთ თქვენი თოფი. ეგ თოფი, მგონი, ძალიან კარგია და იშვიათი.

— ეს თოფი, დაიწყო ალმასხანმა და გატენა ხელახლად, პაპა ჩემისათვის საჩუქრად მიუცია მეფე ერეკლეს. — მეფე ერეკლე იყო ერთი გამოჩენილთაგანი მეომარი, გმირი, დიდი, ეს თოფი ერეკლეს უჩუქებია პაპა ჩემისთვის იმ ომიანობაში, რომელიც მოხდა 1752 წელსა ერევნის მახლობლად, აქ 12 ჯერ უმრავლესი სპარსების ჯარი მეფემ ისე გაფანტა და ამოჟლიტა. ეს ზედ-წარწერაც ამტკიცებს, რომ ეს თოფი ოდესმე დიდებულ მეფე ერეკლეს საკუთრება ყოფილა.

— კნიაზო, თუ შეიძლება წაიკითხეთ და გადაგვითარგმნეთ ეს ზედ წარწერილი სიტყვები, სთხოვა პოლკოვნიკმა გარიაგინმა.

ალმასხანმა წაიკითხა შემდეგი:

«მე ვარ თოფი მუსაიფი,
კახთ-ბატონის ირაკლისა»

და გადუთარგმნა რუსულად.

— ერთი კიდევ მითხარით, კნიაზო, რა სამსახურისათვის მიუცია მეფე ერეკლეს ეს თოფი თქვენის პაპისათვის?

— მეფე ერეკლეს ეს თოფი უჩუქებია სახსოვრად იმისათვის, რომ მეფე განსაცდელში ყოფილა და პაპას დაუხსნია; ეს მომხდარა სწორედ იმ ომიანობაში, ეხლა რომ მოგახსენეთ.

გარიაგინი კიდევ დიდ ხანს უყურებდა თოფს, რომელიც მშვენივრად იყო ოქროთი და ვერცხლით დასევადებული. დაინახა თუ არა ცაში ყორნები, აიღო თოფი და გაისროლა — ყორანი სწორეთ იმ ადგილს ჩამოვარდა, სადაც ჩამოვარდა ალმასხანისაგან მოკლული ხოხობი.

დიდი აღტაცებით და ტაშის კვრით მიულოცეს პოლკოვნიკს ესეთი გამარჯვება.

ამ დროს ბიჭებმა მოიტანეს ოსური ყველი, განთქმული საქართველოში თავის მშვენიერი გემოთი და თვისებით, მოხარშული და შემწვარი ქათმები, ჩიხირთმა, ფლავი, და შემდეგ შამფურის მწვადი, რომელიც იქვე ცეცხლზედ იწვოდა და შიშხინი გაჰქონდა.

## თავი III

სანამ სტუმრები შეექცეოდენ, ბიჭებმა მოიყვანეს უშველებელი ხარი და მიაბეს პალოზე.

მაშინ წამოდგა თავადი სოლომონ ერისთავი და მიიპატიჟა მსურველი თავის მკლავის სიმაგრისა და ხმლის სიმახვილეს გამოცდისა. ვისაც გული ერჩოდა და ხმლის იმედი ჰქონდა, ერთის მოქნევით თავი უნდა გაეგდებინებინა ხარისათვის. მსურველი ბევრი გამოჩნდა. სოლომონმა უბრძანა, კიდე ორი ხარი მოეყვანათ და ნაბდებიც დაემზადებინათ ხმლებისავე გასასინჯავად.

ზვერნი მაშინათვე წამოხტნენ და გაუშვირეს იმ ადგილს სადაც ხარი იყო მიბმული, მაგრამ ვოლოდოვმა ყველას გაასწრო.

ვოლოდოვმა გაიძრო თავის დრაგუნის ხმალი და დაჰკრა ხარს, მაგრამ ხმალი შუაზედ გადიღუნა.

იგრძნო თუ არა ხარმა დარტყმა, მოსწია ძალზედ თოკი, გაგლიჯა და გაექანა მაყურებლებისაკენ.

გარიაგინი ყველაზედ წინ იდგა, რომ უცებ დაუნახავს ეს მისთვის საოცარი სანახავი. რა თქმა უნდა, არ ელოდა რომ ხარი ასე თავისუფლად მოჰგლეჯდა თოკს და უკან დაწევაც ვერ მოასწრო, როდესაც გაგიჟებული ხარი პირდაპირ მისკენ გაექანა.

შველა შეუძლებელი იყო. ყველას მუხლები ჩაეკეცა... მაგრამ იმ დროს, როდესაც ყველას ეგონა, რომ პოლკოვნიკი მკვდარი ეგდება მიწაზედაო, გაფაშული გამხეცებულის პირუტყვისაგან, გადმოიჩქეფა სისხლმა. ყველანი შეკრთნენ... მაგრამ ეს სისხლი ხარისა იყო, რომლის თავი იქვე მიწაზედ გაგორდა. თავად ალმასხანის ხმალმა მოჰკვეთა ერთის გაქნევით თავი ხარს და დაიხსნა სიკვდილისაგან.

ყველა ისე განცვიფრებულნი იყვნენ, რომ ჯერ ვერაფერი სთქვეს, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ყველა ერთბაშად, როგორც ერთი კაცი, მივარდა ალმასხანს და გარიაგინს, პირველს ულოცავდა მეორის სიცოცხლის დაცვას.

გარიაგინი მოეხვია თავის დამხსნელს ამ სიტყვებით:

— ალბათ ღმერთის ნდომებია, რომ მე თქვენს მოვალეთ დავრჩე, მე არ მინდოდა თქვენგან საჩუქარი მიმეღო, მაგრამ იღბალმა თქვენგნით სიცოცხლე მაჩუქა. ეხლა თქვენზედ არის დამოკიდებული ამ კეთილის საქმის დაბოლოვება, გთხოვთ ჩამ-

თვალით თქვენ ამხანაგთ და მეგობართ შორის. ჩვენ ორნივე ქალაქ თბილისში ვცხოვრობთ, მაშასადამე დროც გვექნება რომ ერთმანეთთან ხშირად ვიყოთ და აქ, ამ ხეობაში დაწყობილი გაცნობა, ქალაქში მეგობრობით დავაბოლოვოთ. იმიტომ ვამ-ბობ, აქ დაწყებული გაცნობა მეთქი, რომ იმედი მაქვს თქვენის-თანა გულ-უხვი კაცი არ მოინდომებს იმ კაცის მეგობრობის უარის-ყოფას, რომელიც მთელ' სიცოცხლეში თქვენს მოვა-ლეთ უნდა დარჩეს: —ასეთი საქციელი წინააღმდეგი იქმნებოდა თქვენი პატიოსანი ხასიათისა.

— დიდად გმადლობთ, პოლკოვნიკო, ამ ყურადღებისათვის და თქვენი მეგობრობისათვის. მე მოვიწადინებ, რომ თქვენი სიყვარული და მეგობრობა რაიმე სხვა უფრო პატიოსნური და ღირსეული საქმით დავიმსახურო და არა უბრალო მოვალეო-ბის შესრულებით.

ამ დროს თავადი სოლომონი ბიჭებს უჯავრდებოდა, რათ მიაბით ასე სუსტად ხარიო, მაგრამ გენჭამე წაესარჩლა ბი-ჭებს:

— ბატონო, ხარი კარგად იყო მიბმული — ამათი ბრალი აქ არაფერია. ასეთი ხმალი, როგორიც ამ აფიცერს ჰკიდია, ამ ხარისთვის არ გარგოდა და უჩვენა მაიორის ხმალზედ, რო-მელსაც შერცხვენილი ვოლოდოვი ასწორებდა.

ჯერ კიდევ დიდ ხანს სინჯავდნენ სტუმრები თავიანთ ხმლებს, ზოგი ხარებზედ, ზოგი ნაბდებზედ, რომელნიც ამ შემთხვევისათვის მაქრის თავებივით იყვნენ დამსხდარნი. მარ-თლა რომ საჭირო იყო მხნე მკლავი და ნამდვილი ფოლადის ხმალი, რომ შუაზედ გაეყო არაფრით დაუმაგრებელი ნაბადი.

ბევრი ამაო ცდის შემდეგ, ისევ თავად ალმასხანს მიჰმართეს თხოვნით, რომ მას ხელახლად ეჩვენებინა თავისი ღონე და სიმარდე.

— ყმაწვილებო, ჩემი ხმალი კარგია, მაგრამ ქება იმას ეკუთვნის, ვისაც ეს ხმალი დაუჭედია. რაც შეეხება ღონეს, საკვირველი არ იქნება, რომ ღონე მქონდეს. უფრო საყურადღებო არის აი ამ ჩემი ბიჭის, გლახას სიკოჩაღე, რომელიც ჩემზედ ბევრით ახალ-გაზრდაა. აბა, გლახა, გამომართვი ხმალი და არ შემარცხვინო.

ყველანი დათანხმდნენ. გლახამ გამოართვა ხმალი თავის ბატონს და ერთის მოქნევით ზედ შუაზედ გააპო დაყენებული ნაბადი. ზევით ნახევარი ძირს დაეცა და ძირისა არც კი განძრეულა.

ეს მართლა განსაცვიფრებელი სანახავი იყო. ტაშის კვრას ბოლო აღარ ჰქონდა. ყველა აღტაცებული იყო.

ამ დროს თავადმა სოლომანმა უბრძანა რომ ყანწის მაგივრად კულა მოეტანათ. თ. სოლომანმა კარიაგინის სადღეგრძელოს დალევა მოინდომა, მაგრამ კარიაგინმა შეაჩერა:

— დიდად გმადლობთ, ჩემო გულ-უხვო მასპინძელო და თამადავ, მაგრამ სიტყვას გაძლევთ რომ ღვინოს ხელს არ ვახლებ სრულებით, თუ თქვენ თავად ალმასხანის სადღეგრძელოს წინად არ დალევთ—გაუმარჯოს თ. ალმასხანს, კნიაზო იცოცხლეთ. ურა-ა-ა.

ყველამ ერთხმად დალია ურას ძახილით.

მარტო ერთს კენჭამეს არ დაულევია. სვიმონს ცეცხლისკენ მიეშვირა ფეხები და ცდილობდა გაეთბო გაყინული ტანი. პოლკოვნიკმა კარიაგინმა განაგრძო:

— მაიორო ვოლოდოვო, ალავერდი თქვენთან! ჩვენ, რო-

სებმა პირველად დაულიოთ ჩვენი ახალი გაცნობილის სადღეგრძელო და ამით ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ვაფასებთ ღირსებას და კეთილ თვისებას!

ვოლოდოვმა ამ დროს კიდევ ამოიღო ჯიბიდამ სათამაშო ქაღალდი იმ იმედით რომ ეპოვნა რამე თევერიის შვილებისა შორის, როგორც ამბობდა ხოლმე ვოლოდოვი ქართველებზედ,—მაგრამ მოისმინა თუ არა გარიაგინის სადღეგრძელო, თავი დაანება ქაღალდებს და ხარბად დაეწაფა ღვინოს.

ამის შემდეგ ვოლოდოვმა აიღო ნაბდის ნაჭევარი და ფეხით მოიკეცა ზედ. ამით, როგორც თვითონ ამბობდა, ქართულს ყოფას პატივსა ჰსცემო, მოუკიდა ჩიბუხს, ამოიღო ჯიბიდგან სათამაშო ქაღალდი და დაიწყო ლოდინი—იქნება მოვიდეს ვინმე და გავატყავოვო. ამ დროს კენჭაძე მივიდა ვოლოდოვთან.

— ღმერთს ვფიცავ, ეგ სულელი ჭკუიან კაცსა ჰგავს, იფიქრა ვოლოდოვმა და გული აუთამაშდა—ამას სწორედ გავცარცვავო. მაგრამ რა რიგ შესცდა საწყალი მაიორი, როდესაც კენჭაძემ მიუბრუნა ზურგი, დაიწყო მღერა ლეკურის ხმაზედ და გაქანდა მანდორზედ—კენჭაძე ძალიან კარგად თამაშობდა.

მაყურებლებმა ტაშის კვრა დაუწყეს და, ვინც კი მსურველი იყო, ყველამ ლეკური ჩამოუარა.

ვოლოდოვი მაინც იმედს არ ჰკარგავდა, მაგრამ ამ დროს კენჭაძე მიუახლოვდა და სალამი მისცა. ეს ნიშნავდა რომ ვოლოდოვსაც უნდა ეთამაშნა ლეკური—შეწუხდა ვოლოდოვი, მაგრამ რა გაეწყობოდა, წამოდგა და დაიწყო თამაშობა, მაგრამ იმისი თამაშობა იმდენად ჰგავდა ლეკურს, რამდენადაც თითონ—ლეკსა. მაიორი ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, რომ

უფრო მეტის გამოსახულობით გამოეხატა ლეკური, მაგრამ ცდა ამაო იყო. ყველა იცინოდა. ბოლოს, როგორც იყო, კოლოდოვი, რომელსაც თვითონაც დაეღალა და სხვებიც სიცილით დაღალა, მივიდა ნაბადთან და ის იყო პლანს აწყობდა, რომ მოეხერხებინა თამაშობა, მაგრამ მისდა საუბედუროდ ნაბადზედ გენჯამე გაჭიმულიყო და საშინლად კვნესოდა.

სარწყალი სვიმონ გენჯამე გაცივდა თევზაობის დროს, გააცივა და ბოლოს ისეთი სიცხე მისცა რომ ბოდვა დაიწყო.

თ. სოლომანმა უბრძანა, რომ ურემზე დაეწვინათ და ისე წაეყვანათ სოფელში, თავის ცოლთან. როცა გენჯამე შინ მიიყვანეს, თითქმის ჭკუა აღარ ჰქონდა, სულ ჰბოდავდა და მისი ბოდვა სულ ერთს საგანზე იყო: «წუხელ ხომ არავის გაუთენებია აქ ღამეო».—ცოლი ძალიან შეწუხებული იყო ქმრის ავადმყოფობით და მისი ახირებული ბოდვით ხომ უფრო მეტად.

იმ ურმით, რომლითაც გენჯამე შინ წაიყვანეს, წაიღეს აგრეთვე დაკლული ხარები და სხვა დანარჩენი საჭმელები, რომელიც ბიჭებს გლეხებისთვის უნდა დაერიგებინათ ერისთავის სოფელში.

თუმცა გენჯამეს უეცრივმა ავადმყოფობამ ცოტათი შეაწუხა სტუმრები, მაგრამ მღერა-თამაშობა, სმა და ჭამა კიდევ დიდს ხანს გაგრძელდა. დასაღამოვამდა თუ არა, ყველანი შესხდენ ცხენებზედ და სიმღერით და თოფის სროლით გასწიეს ერისთავისას. კარიაგინი, როგორც იყო, დაიყოლიეს და შესვეს ალმასხანის ცხენზედ. კარგა დაღამებული იყო, როდესაც სტუმრები მეჯვრისხევში იყვნენ.

რა თქმა უნდა, მაიორი კოლოდოვი ამ შემთხვევით ბედ-

ნიერი იყო და მაშინათვე სრიკები დაიწყო „ივერის შვილებთან თამაშობა.» ამოიღო ჯიბიდამ ქაღალდი და ის იყო ჯდებოდა სკამზედ, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, როგორ-ღაც აცდა სკამს და ძირს ბრაგვანი მოხვდა. თ. სოლომანი და სხვანი მიეშველნენ, მაგრამ კარიაგინმა ყველა დაარწმუნა რომ ეს ვოლოდოვს ხშირად ემართება ხოლმე საქართველოს ღვინის დალევის შემდეგაო და ამიტომაც უმჯობესი იქნება, რომ თავი დაანებოთ და აქვე იატაკზედ მოისვენოსო. მართ-ლაც, არ გასულა ორი წამი და მოისმა საშინელი ხვრინვა... ვოლოდოვს მკვდარივით ეძინა.

მეორე დღეს დილით ვოლოდოვმა გაიღვიძა და ასეთი ჭეშმარიტება წარმოსთქვა:

— ღმერთს გეფიცებით, ბატონებო, რომ ბევრი ღვინის დალევით უთუოდ კაცი დათვრება და კარგადაც დათვრება! ამის წინააღმდეგი არავინ იყო.

მალე სტუმრებიც დაიშალნენ. პოლკოვნიკმა კარიაგინმა სთხოვა თ. ალმასხანს, რომ თბილისში ერთად წასულიყვნენ; ალმასხანი დასთანხმდა, იმათ შეუერთდა აგრეთვე ვოლოდოვი. საკვირველი იყო ის, რომ ვოლოდოვი ზნეობითაც, ჭკუითაც და კაცობითაც დიდად განსხვავდებოდა კარიაგინისაგან, მაგრამ მუდამ ერთად იყვნენ და ვერც შეეძლოთ უერთმანეთოდ სადმე წასვლა და ყოფნა—მიზეზი ის იყო რომ კარიაგინი გულ-კე-თილი კაცი იყო და ამისათვის ბევრს აპატიებდა ხოლმე ვო-ლოდოვს მაშინ, როდესაც სხვანი ყოველთვის დასცინოდნენ და მასხარად იღებდენ ვოლოდოვის ცუდს ხასიათს და მის შეუფერებელს ტრაბახობას. ვოლოდოვს კარიაგინი უყვარ-და, რადგან კარიაგინის გულკეთილობა ვოლოდოვს დიდად მოსწონდა—ალბად იმიტომ რომ თვითონ ზნეობით გაფუ-ჭებული იყო.

გავიდენ თუ არა ეზოიდამ, თ. ალმასხანს წინ გზაზედ კურდღელმა გადურბინა.

— ერიჰა, ეს რას ნიშნავს! დაიღრიალა სოლომანმა. ყმაწვილებო, გირჩევთ უკან დაბრუნდეთ, თორემ ცუდი რამ შეგვემთხვევათ გზაზედ—დამერწმუნეთ, კურდღელი ცუდი წინასწარი ნიშანია!

— ღმერთსა გფიცავ, თავადი სოლომანი მართალს ბძანებს, დაემოწმა კოლოდოვი. ყმაწვილებო, სჯობს, რომ დავბრუნდეთ. თორემ უბედურება შეგვემთხვევა რამე!..

— უკაცრავად კნიაზო, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ რომ მე არ მჯერა მაგისთანა ნიშნები... მაგრამ თუ მართლა ასე დიდს მნიშვნელობას აძლევთ თქვენ კურდღელს, ეს კიდევ კაცს იმულებულს არა ხდის, რომ ყური დაუგდოს მაგათ და თავის გზას აუხვიოს.

— დამერწმუნეთ, საყვარელო პოლკოვნიკო, რომ ჯერ არც ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ ესეთს შემთხვევას ტყუილუბრალოდ ჩაეარა. კენჭაძემ მიამბო ამ სამი დღის წინეთ, საკალმასოდ რომ მიდიოდა, წინ კურდღელმა გადამირბინაო, საწყალს სვიმონს ყურადღება არ მიუქცევია და შედეგი თქვენც ხომ კარგა მოგეხსენებათ—ის საცოდავი ეხლა ავადმყოფი სახლში კვნესის.

— ეს ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც არ დავბრუნდები და, არ ვიცი, თქვენ რას ინებებთ კნიაზო, უთხრა ალმასხანს პოლკოვნიკმა.

— მე დიდ სირცხვილად მიმაჩნია, წამოიძახა კოლოდოვმა, მეტადრე მე, დრაგუნის პოლკის მაიორსა, რომ რაღაც კურდღელმა შემაშინოს! ღმერთსა გფიცავ, რომ ეს მეტისმეტი სირცხვილია და ამიტომ გაუმარჯოს ჩვენს ჯარსა, წავიდეთ, პოლ-

გოვნივთ, სადაც თქვენ, იქ მეც. ურა-ა-ა!

— ასე რად ცხარობ ბატონო მაიორო! უთხრა სოლომონმა. თქვენს გულადობაში არავინ არ იჭვნეულობს, როგორც თქვენ სიმარდეში, თოფისა და ხმლის ხმარებაში... მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მოკრევით კურდღელს, თუ რომ ხელში ჩაგივარდებათ... მაგრამ საქმე ის არის, რომ ხანდისხან ისე მოხდება, რომ ვერც გულადობით და ვერც მხნეობით ვერაფერს ვერ გააწყობს კაცი. დამიჯერეთ ყმაწვილებო, დაბრუნდით, დღეს კიდევ დარჩით და ხვალ მიბძანდით.

— შენ მართალი ხარ სოლომან, კაცის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევანი არიან, რომლის ასრულება კაცის ხელით არ არის და ამიტომ, ვგონებ რომ ბედის-წერას კაცი ვერ ასცდება, ბევრიც რომ ეცადოს. მაშასადამე, სულ ერთია, დღეს მოხდება თუ ხვალ, უბედურება ყოველთვის უბედურებაა; მაშ მშვიდობით! და ხელი მიაწოდა გამოსათხოვრად თავის მასპინძელს.

გამოეთხოვნენ თუ არა მასპინძელს მგზავრები, მაშინათვე ჭალის გზას დაადგნენ. გაიარეს ოთხიოდე ვერსტი, როდესაც ამათ შეხვდათ ლიტანიის მახლობელ პატარა სოფელში. რამდენსამე აზნაურებს და გლეხებს კუბო მოჰქონდათ. შემაძრწუნებელი ტირილი ქალებისა კაცს გულს უგმირავდა. მგზავრებმა ქუდი მოიხადეს და ალმასხანმა ჰკითხა ერთ გლეხსა:

— ძმობილო, ვის მარხავენ?

— აზნაურ სვიმონ კენჭაძეს, მიუგო გლეხმა.

თავადმა ალმასხანმა მწარედ ამოიკვნესა, მოაგონდა ღამე, ქუხილი და ეს უბედური ქმარი, რომლისაგან ეხლა პატივებას და შენდობას აღარ ელოდა...

ამისთანა მწარე ფიქრები შეუერთდენ იმ რაღაც უცნაურს

გრძნობებს და უბედურების მოლოდინს და თ. ალმასხანი სრულებით დალონდა.

პოლკოვნიკმა კარიავინმა შეამჩნია თავის ახალ მეგობარს სევდიანი სახე და, თუმცა ჰსუროდა რომ გაემხიარულებინა, მაგრამ ხანდისხან მწუხარება ისე ღრმაა, რომ ერთი ნუგეშის სიტყვაც უფრო ნაღვლით უვსებს კაცს უმისოდაც დანაღვლებულ გულს. და ამიტომაც კარიავინი ჩუმად მიდიოდა და უად-გილო ლაპარაკით არ აწუხებდა ალმასხანს. ვოლოდოვი მიეცა თავის ფიქრებს.... ივერიის შვილები და ქალადები მუდამ თვალ-წინ ესატებოდა. მოწყენილი იყვნენ აგრეთვე გლახასა და კიდევ ორი მოსამსახურე ბიჭი, რომელნიც ახლდენ მაიორსა და პოლკოვნიკს.

უცხო კაცი რომ შეხვედროდა ამ, მგზავრებს თავის დღე-ში ვერ იფიქრებდა, რომ ესენი დღეობიდამ მოდიოდენ.

ნახევარ-გზა გავლილი ჰქონდათ, როდესაც ცხენები შეასვენეს და, ცოტა ხნის შემდეგ, ისევ გზას გაუდგენ.

რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს თუ არა, მგზავრებმა შეამჩნიეს ერთი ცხენოსანი კაცი, რომელიც უწყალოდ სცემდა თავის ცხენს. უცნობს ეცვა ქართულად. როცა დაუმხარდამხარდა ჩვენს მგზავრებს, უცნობი შესდგა და ეტყობოდა, რომ იმათ ვინაობის გამოცნობას ცდილობდა, რადგან ძალიან დაკვირვებით და-უწყო ყურება. მერე ერთბაშად მოაბრუნა ცხენი და მოჰკურცხლა უკან.

— გლახა, არ იცი, ვინ იყოს ეგ კაცი?

— როგორ არ ვიცი, შენი ჭირიმე, ბატონო, ეგ კოჭლი არუთინა გახლავთ, ქურთინოვის მსახური.

— რა ეშმაკმა შეაშინა ასე? დაგვინახა თუ არა, მაშინათვე მოჰკურცხლა—ავაზაკები ხომ არ ვეგონეთ?

— ჩვენი რათ უნდა შეშინებოდა, თუ სინიდისი წმინდა ჰქონდა. მაგრამ ასეთი კაცი, როგორც არუთინა და მისი ბატონი ქურდინოვი, მუდამ ერიდებიან პატიოსან კაცებს.

— ნეტა საით უნდა მიეშურებოდეს, გლახა, შენ როგორ გგონია?

— მე, ბატონო, შენი ჭირიმე, მგონია, რომ თუ ჩვენი შეეშინდა, ალბად, თავად დიმიტრისთან წავიდა, თქვენ ძმასთან— ცხენი გაქაფული ჰყავანდა, უთუოდ პირდაპირ თბილისიდამ მოდის. აქ თქვენი ძმის მეტი სახლი არსად არის, მაშ რა თქმა უნდა, იმას შეუვლის.

— მეც ასე მგონია, მიუგო ალმასხანმა; მაგრამ ჩემ ძმასთან რა საქმე უნდა ჰქონდეს ქურდინოვს?

— ალბად თქვენი წინააღმდეგი რამე ექნება, შენი ჭირიმე.

— ჩუმად იყავ გლახა! წამოიძახა ალმასხანმა და ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, ოღონდ დროგამოშვებით მაიორი კოლოდოვი თავისებურად წამოროშავდა, რომ ქართველებმა ცხენზედ ჯდომა არ იციან და არც იარაღის ხმარებაო. კარგად დაღამებული იყო, როდესაც მგზავრები ქალაქ თბილისში შევიდნენ.

## თავი IV

თბილისი არის საქართველოს დედა-ქალაქი. თბილისი აშენებულია მეფე ვახტანგ გორგასლანისაგან 455 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ. თბილისი, როგორც დედა-ქალაქი, ყოველთვის დაჩაგრული იყო საქართველოს მტრებისაგან. ხან სპარსელები, ხან ოსმალები, ხან არაბები აოხრებდნენ თბილისს და ერთი ხელიდამ მეორე ხელში გადადიოდა. რა თქმა უნდა,

ასეთი ბედ-იღბალი დიდად აფერხებდა თბილისის გავრცელებას და აღყვავებას. როგორც საქართველო, აგრეთვე თბილისიც მუდამ მტრის შურის-ძიების საგანი იყო და უკანასკნელად ისე აოხრდა აღა-მაჰმად-ხანისაგან, რომ ქვა-ქვაზედ აღარ დარჩა. ეს მოხდა მეფე ერეკლეს მეფობის დროს 1795 წელსა და დღეს მხოლოდ რუსების შემოსვლის შემდეგ აყვავდა თბილისი. მაგრამ სამოცის წლის წინად, იმ დროს, რა დროსაც ჩვენი მოთხრობა ეკუთვნის, თბილისი სრულებით არ ჰგვანდა დღევანდელს ქალაქს. რუსებს მაშინ იმდენი დრო არ ჰქონდათ, რომ გაემშვენიერებინათ ქალაქი და სომხობაც ისე გამდიდრებული არ იყო, რომ შესძლებოდათ აშენება სამისა და ოთხ-სართულიანის ქვით-კირის სახლებისა, რომელნიც ეხლა დიდს შემოსავალს აძლევენ. ქუჩები მაშინ იყვნენ ვიწრო, ჭუჭყიანი და ბნელი.

დიალ, არ იყო ლამაზი მაშინდელი თბილისი, მაგრამ, არ მგონია, რომ ეხლანდელ დიდ ქალაქში იმისთანა ლამაზი ქალი იპოვებოდეს, როგორიც იყო ყველგან ქებული ნექტარინა. ეს იყო მდიდარი სომხის ვაჭრის ქალი, ყოველის ფრით მშვენიერი. ნექტარინა იშვიათი საცოლო იყო, რადგან მისი სილამაზე და სიმდიდრე ერთმანეთს ეცილებოდა. ბევრი თავადიშვილი და მდიდარი სომეხი ეტრფიალებოდა ნექტარინას, მაგრამ ნექტარინას გული ვერც ერთმა ამ მოტრფიალეთაგანმა ვერ შეიპყრა. ნექტარინას გული სიყვარულით გამსჭვალული იყო, მაგრამ, რადგანაც მისი მიჯნური მისთვის თითქმის მიუწდომელი შეიქნა, ნექტარინამ დაიმარხა გულში ყოველი გრძნობანი, ისე რომ ვერავინ ვერ მიხვედრილიყო, ვერავის ვერ გამოეცნო, ვინ იყო ის ბედნიერი, რომელსაც ნექტარინამ მისცა თავისი გული.

ეხლაც არის ჩვეულება ქართველობაში და სომხობაში, რომ ქალს მის დაუკითხავათ და უნებურად ათხოვებენ ხოლმე.

მალიან ხშირად, ქალი მაშინ გაიცნობს თავის ქმარს, როცა ქორწილი გათავდება, თორემ იქამდის ვერც კი დაინახავს.

რა თქმა უნდა, ნექტარინასაც არ ასცდა ასეთი ჩვეულება. მაგრამ მისი მამა ჯერ კიდევ გზაში იყო და არ იცოდა, რომლისთვის მიეცა თავისი ქალი, რადგანაც ორი გამოჩენილი მთხოვნელი ჰყავანდა. ერთი ახალ-გაზდა მდიდარი ვაჭარი, სომეხი ქურთიანოვი და მეორე ქართველი თავადიშვილი ალმასხან ა...., რომელსაც ქალაქში სახლი ჰქონდა და ორასზედ მეტი გლეხი ჰყავანდა გარეთში. ბოლოს ნექტარინას მამამ გადასწყვიტა მიეცა ქალი ალმასხანისათვის, რომელსაც მკითხველები, მგონი, იცნობენ.

გავიდა ორი წელიწადი, რაც ნექტარინა ალმასხანს წაჰყვა, და არაფერი აწუხებდა ახალგაზდა ცოლ-ქმარს. ბედნიერად და მშვიდად სცხოვრობდენ. ალმასხანი ბედნიერი იყო, თუმცა ნექტარინას მუდმივ მოწყენილი და ჩუმი სახე აწუხებდა. მაგრამ მალე შეეჩვია.

ნექტარინას მამა მალე მოუკვდა და ალმასხანის ქონებას სიმამრის ქონებაც მოემატა. თავადი ალმასხან ეხლა კარგი შემძლებელი კაცი იყო. გარდა ამისა, ცოლ-ქმარს ღმერთმა ორი ვაჟი-შვილი შესძინა.

ნექტარინა სრულებით ემორჩილებოდა თავის ქმარს, რომელიც, როგორც მკითხველმა იცის, საუცხოვო ხასიათისა იყო. შვილები ძიძებს ჰყავანდათ გასაზრდელად. ერთი სიტყვით, ნექტარინას არ შეეძლო ცუდი რამე ეთქვა თავის ქმარზე, როგორც ალმასხანსაც არაფერი შეეძლო ეთქვა თავის ცოლზედ. ამას ესეც მიუმატეთ, რომ ცოლ-ქმარი სულ ერთად იყვნენ და, ხსენებული დღეობის გარდა, ალმასხანი ცოლის შერთვის შემდეგ ნექტარინას არ მოშორებია.

ჩავიდენ თუ არა თბილისში; მგზავრები უნდა წასულიყვნენ თავთავიანთ სახლში.

თავად ალმასხანის სახლი, სწორედ მტკვრის პირზედ იყო, სადაც ეხლა მუხრან-ბატონის ხიდი არის.

გარიაგინი და კოლოდოკი სახლობდენ იმ ადგილას, სადაც ეხლა ერევნის მოედანია.

გამოთხოვების დროს, ახალმა მეგობრებმა სიტყვა მისცეს ერთმანეთს რომ ხშირად ივლიდენ ერთი მეორისას. კოლოდოკმა სთხოვა, რომ ორივე, ალმასხანი და გარიაგინიც მასთან მოსულიყვნენ. კოლოდოკი ჰპირდებოდა ქაღალდის თამაშობის გაჩაღებას. ალმასხანი დაეთანხმა და ესეც უთხრა, რომ რუსეთში ყოფნის დროს ქაღალდის თამაშობა ვისწავლეო, კოლოდოკმა სიხარულით ხბოსავით ხტუნაობა დაიწყო. მას თვალ-წინ წარმოუდგა მწვანე სტოლი და ზედ დიდი გროვა ასიგნაციებისა. ამ გამოთხოვების დროს, ალმასხანმა ვერ შეამჩნია, რომ ერთი ვიღაც მაღალი ცხენოსანი კაცი მივიდა გლახასთან, უჩურჩულა რაღაცა ყურში და იმ წამსვე უკან დაბრუნდა, ღამის სიბნელით დაფარული.

ალმასხანი და გლახა ეხლა ერთად მიდიოდენ. გლახა ცდილობდა, როგორმე ალმასხანი გზაში გაეჩერებინა, რომ სახლში მისვლა უფრო დაჰგვიანებოდა. ალმასხანი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მაინც, კარგა დაგვიანების შემდეგ, ალმასხანი მიუახლოვდა თავის სახლს, ამ დროს მოესმა ცხენების ფეხის ხმა, რომელიც თან და თან უფრო შორდებოდა და ბოლოს სრულებით მიწყნარდა.

თავადმა ალმასხანმა ამ გარემოებას სრულებით ყურადღება არ მიაქცია და შევიდა ეზოში, რომლის კარები ღია იყო.— ალბად პატრონის მოსვლას ელოდენ. ალმასხან გადმოხტა ცხენიდამ,

გადასცა აღვირი გლახას და თვით ცოლის ოთახში შე-ვიდა.

ალმასხანმა ცოლი იმავე მდგომარეობაში ნახა, რა მდგომარეობაშიაც დასტოვა. ნექტარინა წამოწოლილიყო ტახტზედ, მუთაქებზედ. იდაყვი დაებჯინა და ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა. საზოგადოდ მაშინდელმა ქართველმა ქალებმა მაგის მეტი დროს გატარება არც კი იცოდნენ. ნექტარინა მშვენივრად მორთული იყო, მაგრამ ეს მორთულობა სრულებით არ ეთანხმებოდა იმ სევდას და დარდსა, რომლითაც მოცული იყო მისი მშვენიერი სახე.

ქმრის მხურვალე კოცნაზედ ნექტარინამ ცივი კოცნით, რაღაცა უსუჟო ტუჩების მიკარებით გასცა პასუხი. ალმასხანს გაუკვირდა. ის ელოდა, რომ ცოლი, ამ მოშორების შემდეგ, უფრო აღელვებული, უფრო ტრფობით გატაცებული მიეკრავდა ქმარს გულზედ, მაგრამ ნექტარინას აღტაცება მარტო მორთულობაში იყო: არც ერთი სიტყვა, არც ერთი გრძნობა.

სრულებით სხვა ნაირად მიეგება სალომე თავის ბატონს. სალომე თითქოს ნექტარინას მაგიერ ბოდიშს იხდიდა. სალომემ მოიწოდა მუთაქა, გახადა ჩექმები, მოართვა ჩაი და ჩიბუხი.

მაგრამ, როდესაც მოხუცებულმა სალომემ იკითხა ბატონის ამბავი, ალმასხანმა მკაცრად გააწყვეტინა ეს თანაგრძნობის ლაპარაკი.

— თავი დამანებე! ამ სიტყვების შემდეგ მან მიმართა ნექტარინას: იმის მაგიერად, რომ ქმარს დაუხვდე გახარებული, რომ შენის სიხარულით ისიც გაახარო, შენ რაღაც მგლოვიარე დედა-კაცივით მწუხარებას გაუტაცნიხარ. ან იქნება გეწყინა, რომ ასე ადრე დავბრუნდი?

— მე არ შემიძლიან გამოვსცვალო ჩემი ხასიათი. რაც შეე-
ხება თქვენ დაბრუნებას, ძალიან მოხარული ვარ...

— მაშ რად არ მიყურებ თვალებში და რად უცქერი ია-
ტაკს?

— მთელი ჩემი სიცოცხლე შენია, ჩემო ბატონო, და რა
უშავს რომ თვალები შენ არ გიყურებდენ.

— შენი თვალები რომ მე არ მიყურებენ, ეგ იმას ნიშნავს,
რომ გულიც მიგიქცევია ჩემგან.

— გულიც შენია, ბატონო, რადგან მთლად მე შენი
ვარ.

— ალმასხან თავის თავს მეტად დამნაშავედ ჰგრძნობდა, მი-
ვიდა ცოლთან და ალერსით ხვევნა-კოცნა დაუწყო. ნექტარინა
უარს არ ამბობდა ამ ალერსზედ, მაგრამ ისე უგემურად, ისე
მუნჯურად ექცეოდა, თითქოს ამბობდა:

«მე შენი ცოლი ვარ, მაშასადამე მეც, ჩემი ხორციც
შენ გეკუთვნის, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.»

რა თქმა უნდა, სადაც ქორწილი ქალის დაუკითხავად
ხდება, იქ უმეტესი ცოლ-ქმრობის სურათი ძნელი წარმოსადგე-
ნია, მეტადრე ასეთი ქორწილი იმ დროს ძალიან გახშირებუ-
ლი იყო საქართველოში.

ჯერ თავი დავანებოთ ალმასხანს და ნექტარინას, რომე-
ლიც უფრო ხორცით ეკუთვნოდა თავის ქმარს, ვიდრე სულით
და გრძნობით, ვნახოთ, რას ლაპარაკობენ გლახა და სალომე.

— ვაი, ვაი, ჩემს თავს, კვნესოდა სალომე, ნეტა არ მე-
ტყვი, რაღა მექნა. მე მარტო დავრჩი, ბიჭები სულ სოფელში
იყვნენ.

— მე უბედური, მერე როგორ ვერ მოახერხე, როგორ
დაუახლოვე ქნეინას. მე ხომ გითხარი წასვლის დროს,

რომ ღმერთი არ გაგიწყრეს, არ მისცე შემთხვევა, რომ კნეინა და ის ერთად შეიყარონ მეორჯე.

— განა გლახა, შენ არ იცნობ იმ კაცსა? განა შესაძლებელია, რომ იმას უარი უთხრა, თუ რომ რამე მოინდომა?

— დიაღ, ეგ მართალია. შენს ადგილს მე რომ ვყოფილიყავი, შენსავით მოვიქცეოდი. შენ ხომ კარგად იცი, რა ნაირად მიყვარს ჩვენი ბატონი, მაგრამ იმ კაცს შევწირავ ჩემს სიცოცხლეს, იმას ვუთმობ ჩემი თავი, იმისი ნება ჩემი კანონია, ის ჩემი გული, ჩემი სული.... შენ არ იცი, რად არის აქ თბილისში და რისთვის, თორემ... გამიგონე სალომე, — შენ გხედავ ისეთ საქმეში ხარ გახლართული, რომ ერთი საშუალება-და დაგრჩენია, რომ ცოცხალი გადარჩე — ეს საშუალება შენი სიჩუმეა. ღმერთი არ გაგიწყრეს და არ წამოროშო რამე. მე ახლავ გირჩევ, მოიჭერი ენა თუ სიჩუმე არ შეგიძლიან, რადგან ენის უქონლობა სჯობს იმას, რაც დაგემართება შენ და ყველა აქ მყოფსა, თუ საიდუმლოს არ დამალავ

— ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს თვალებს! დაიწყო სალომემ ტირილი.

მაგრამ გლახას ამ დროს მოესმა ვიღაცას ხმა, ხმა გარებიდან ისმოდა:

— გლახა!

გლახა გაფითრდა და გავარდა გარეთ.

სალომე დაჯდა ტახტზედ და მოჰყვა მოთქმით ტირილს.

— ვაიმე, ვაიმე! ჩემი სიკვდილი არ მერჩივნა ამას! ვაი შენს, თავს, შე უგუნურო თავო, როგორ მოგატყუილა მაგ წყეულმა, მაგ ეშმაკის თესლმა! მერე რის გულისათვის გავყიდე, ნეტა რამე იყოს — აი ამ ოქროებისათვის! ვაიმე, ვაიმე.

ამ სიტყვებით ამოიღო სავსე ქისა ოქროებით, შეხედა ოქროებს და გულზე დაიწყო: — ვაი ჩემს თავს, ვაი სირცხვილო. ვაიმე...

ბრახა კიდევ დიდს ხანს ელაპარაკებოდა იმ უცნობს სტუმარს, რომელმაც გამოუძახა გარეთ. თუმცა ცოტა ხმა-მაღლა ლაპარაკობდენ, მაგრამ შემოდგომის ქარი და ბნელი ნოემბერის ღამე ყველასათვის გაუგებარს ხდიდა მათს ლაპარაკს.

## თავი V

ჩამოვიდენ თუ არა რუსები ქალაქ თბილისში, გაჩნდა ბევრი შესაქცეველი საგანი, რომელიც აქამომდე საქართველოში არ იცოდნენ.

გაჩნდა ბილიარდი, ლომბერნი სტოლი და კიდევ ბევრი სალაყბო მასალა. რა თქმა უნდა, ქართველები მიეშურებოდენ მიეცათ თავისი ხარჯი ამ ცივილიზაციის ნაყოფისათვის. საზოგადოდ ყოველ-გვარი თამაშობა და გართობა ქართველებს ძალიან უყვართ და, იქნება, ეს იყოს უმთავრესი მიზეზი, რომ ქართველები რუსებს მალე მიეჩვიენ.

მართლა, რუსების ჩამოსვლამდის საქართველოში იყო რამდენიმე თამაშობა, მაგალითად ჭადრაკი, გადმოღებული სპარსელებისაგან ან არაბებისაგან. გარდა ამისა, ქართველებს კიდევ ჰქონდათ თავისი მოგონილი თამაშობა, მაგალითად, ასონასი და ცხრა, კოჭი და სხვ.

მაგრამ განსაკუთრებით ჩვენ, რუსებს ბანქუთვნის ქება, რომ ქართველებს თამაშობა ვასწავლეთ. ჩვენ ვართ, დიაღ, ჩვენ. მარტო ჩვენ ბანქუთნის სახელი და დიდება და არც ერთი ჩვენი

მტერი არ წაგვართმევს ამ სახელს, ჩვენ ვასწავლეთ ქარ-თველებს ბასტონი, ვისტი, რომლის მოხვებით ქართველე-ბი დიდ ძალ ფულს ფანტავენ. რა თქმა უნდა, ქართველები ჩვენი მადლიერები იქნებიან ამ გაკვეთილისათვის!...

მეორე დღეს სადამოზედ თავადი ალმასხან წავიდა კო-ლოდოვთან, სადაც მას შეხვდენ რამდენიმე თავადიშვილი და აფიცარნი, რომელნიც გახურ ღვინოსა და შამპანიის ტვირთ ქვეშ «ურას» «ალავერდი» «აიხშიოლი», და «მრავალ-ჟამიერს» იძახოდენ.

ოთახში გაშლილი იყო ლომბერის სტოლები და ზედ ქაღალდები ეწყო. სხვათა შორის კარებთან იდგა ერთი სტო-ლი, მომზადებული სხვა წოდების კაცისათვის... აქ ყველანი იყრიდენ თავს.

კარიაგინი დაჯდა ამ სტოლთან და ის იყო ალმასხანიც აპირებდა დაჯდომას, როდესაც კოლოდოვმა წამოიძახა:

— ღმერთს გეფიცებით, თქვენო ბრწყინვალებავ, მე თქვენ მაგიერ მრცხვენიან, აბა ეს რა თამაშობაა.

— ასეთ მხიარულ და სასიამოვნო პარტნიორთან, როგო-რიც არის ჩემი მეგობარი კარიაგინი, მე ყოველი თამაშობა მე-ხალისება. მიუგო ალმასხანმა.

— არა, არა, ღმერთს გეფიცებით, მე თანახმა არა ვარ! აი თქვენ, პოლკოვნიკო, კაპიტან კულიაბკასთან დაბრძანდით და თქვენი სასიამოვნო თამაშობა «ვისტი» გამართეთ.

— ღმერთისა ვფიცავ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე მსურს რომ თქვენ მომიგოთ ეს ასიგნაციები, რომლებიც მაწუხებენ. თქვენ მგონი ბანქსაც თამაშობთ და სტოსსაც. მე თუ მკითხავთ, ბანქისავით არაფერი მომწონს.

— თუ თქვენ ასე გესიამოვნებათ, ბატონო ბრძანდებით.

მიუგო ალმასხანმა, მე დიდის კმაყოფილებით ვითამაშებ.

კოლოდოვი დარწმუნებული იყო, რომ «ივერიის შვილი» თამაშობაში გაწვრთვნილი არ იქნებოდა. მაიორმა მოიხმარა რაც კი ხერხი და ხრიკები იცოდა, რომ უფრო მალე დაემსუბუქებინა ალმასხანის ჯიბე.

მაგრამ «ივერიის ველური შვილი» ძალიან ხშირად ყოფილა მაგისთანა შულერების ხელში და იქამდის გაეგო მათი ხერხები, რომ თუ მოინდომებდა, თვითონაც არ დაუვარდებოდა ბევრს მაგ თამაშობის ყალბობაში. გარდა ამისა კოლოდოვი არც ისე დიდი ხარისხოვანი შულერი იყო.

ალმასხანი, რა თქმა უნდა მალე მიხვდა მაიორის განზრახვას და ამიტომ უფრო ცქვიტად ეჭირა და როდესაც კოლოდოვმა ქაღალდი შესცვალა, მაშინათვე გააჩერა:

— ეს ათიანი რად შესცვალეთ?

— კოლოდოვი იმ კაცთაგანი იყო, რომელნიც გულადნი არიან გაჭირვებამდის, მაგრამ რაკი განსაცდელში ჩავარდებიან, მაშინათვე კრთებიან და გონება ებნევათ. მაიორი არ ელოდა ასეთს ცოდნას «ივერიის შვილისაგან» და შეშინებულმა წაიდუდუნა:

— უკაცრავად თქვენო ბრწყინვალებავ, მე ეს სრულებით მოუფიქრებლად მომივიდა... მე...

კოლოდოვმა მაშინათვე ფული გადასცა. ამ რიგად თავადმა ალმასხანმა რამდენსამე წამს ბანქი აიღო. კოლოდოვის ქისისაგან გამოჭყო თავი მეორე ას თუმნიანმა ბილეთმა, მაგრამ ამასაც ესეთი იღბალი ჰქონდა.

თავადს ალმასხანს გასაოცრად მისდიოდა ქაღალდები, ასე რომ მეორე ბანქისაგან მესამეზედ გადავიდენ. აქ კოლო-

დოვმა ვერ მოითმინა და კიდევ შესცვალა ქაღალდი, მაგრამ ალმასხანმა მაშინათვე გაასწორა.

— ღმერთის გეფიცებით, თქვენო ბრწყინვალებავ, მე ეს უცა-ბედათ მომივიდა.

— მჯერა და ამიტომ გაირსაჯვეთ და გადმომეცით აი ეს ფუ-ლები.

მესამე ას თუმნიანმა უფრო გაჭირვებით გამოჰყო თავი ქისიდგან. აქ მოჰყვა ათ თუმნიანიც, ხუთ-თუმნიანიც, ორ თუმან-ნახევრიანიც, ერთი თუმნიანიც, მანეთიანებიც და თი-თქმის თეთრი ფულიც ზედ მიაყოლა ფერ-მიხდილმა კოლო-დოვმა. ბევრი ეცადა კოლოდოვი, ბევრი ხერხები და ხრიკები იხმარა; რა არ ქნა, ხან იცინა, ხან ტირილს აპირებდა, მაგ-რამ მესამე ბანკი მაინც გადავიდა ალმასხანის საკუთარ მფლო-ბელობაში.

— ვინც მოგებაში ბედნიერია, ის სიყვარულში უბედურია! წამოიძახა უეცრად ვიღაცამ სწორედ ალმასხანის უკან. მარტო ალმასხანმა გაიგო ეს სიტყვები, რადგან ქართულად იყო ნა-თქვამი.

თავადი ალმასხანი მობრუნდა თუ არა, წინ შეხვდა თავის ძმა დიმიტრის, რომლის სახე ერთის შეხედვით უსიამოვნობას აგრძნობინებდა კაცს. დიმიტრი სრულებით არ ჰგვანდა თა-ვის ძმას. პატარა თავი მეტად გასქელებულს კისერზედ რაღაც უშნო შესახედაობას აძლევდა ამ კაცს. მოგრეხილი ცხვირი და მუდამ ცოტათი მოხუჭული თვალები კარგს არაფერს მოას-წავებდენ. საზოგადოდ დიმიტრის პირის გამომეტყველობა სრულებით არ ჰგვანდა ალმასხანის მშვიდს და ჭკვიანს სახის-მეტყველებას.

თავადი დიმიტრი იყო ნაბადში. იმდენად მოურიდებელი

იყო, რომ უცხო კაცის სახლში ნაბადიც არ მოიხადა. მისი შემოსვლა არავის არ გაუგია. იმის უკან იდგა ერთი სომეხი 30 წლისა სუფთად და გემოვნებით ჩაცმული, მაგრამ არც ამისა სახე იყო საიმედო. დიდი უშველებელი ცხვირი, და რა-ღაც მხეცური მწვანე თვალები ისე მხდალად იყურებოდენ, თითქოს ეს არის, ეხლავ დამიჭერენო. ამას მიუმატეთ ლოქოს მსგავსი პირი და თქვენ წარმოგიდგებათ იმისი სურა-თი. ეს მეორე უცნობი კაცი ხარბის თვალით უყურებდა ასი-გნაციებს, რომელსაც ალმასხანი ერთ ალაგას აგროვებდა.

— ოჰ, დიმიტრი, რასა იქ და როგორა ხარ, წამოიძახა ალმასხანმა და გაუშვირა ხელი.

— სანამ არ გავიგებ და არ დავრწმუნდები, რომ შენ შენს პატიოსნებას იცავ, იქამდის ხელს არ ჩამოგართმევ, უპასუხა დიმიტრიმ. აბა თუ ჩემი სიტყვები ტყუილი არ არის, ჩამო-დი ამ შავს ქალს და სცადე შენი იღბალი...

— ჩუმად, ხმა გაკმინდე! მიუგო ალმასხანმა და ხანჯალს ხელი მოავლო; ამ დროს ყველანი ზეზედ წამოვარდნენ, მაგრამ ალმასხანმა დროზედ თავი შეიმაგრა და უთხრა კოლოდოვს:

— მე არ გეთხოვებით თქვენ, მაიორო. მოულოდნელი საქ-მე სხვაგან მეძახის და მივეშურები. იმედი მაქვს, რომ მალე დავბრუნდები და კვლავ თამაშობას დავიწყებთ. გაათავა ეს და წასვლას აპირებდა, ამ დროს პოლკოვნიკმა გაასწრო:

— კნიაზო, თქვენ მგონი რაღაც საწყენი ამბავი მიიღეთ, თუმცა მე ქართული არ მესმის, მაგრამ თქვენ სახეზედ ვკით-ხულობ, რომ რაღაც საწყენი ამბავი გაგიგიათ. იმედი მაქვს, თუ ჩემი სამსახური და მეგობრობა დაგჭირდებათ, მეტყვით და მზადაცა ვარ, ოღონდ კი ერთი მანიშნეთ.

— დიდად გმადლობთ, ბატონო გარიაგინ! ჩემი თხოვნა

ჯერ-ჯერობით ეს გახლავთ, როგორმე ეს ფულები წააგეთ ჩემს მაგივრად. ამ ფულებმა მომაყენა მე ასეთი უბედურობა. ამ სიტყვებით თავადმა გადასცა პოლკოვნიკს სამასი თუმანი.

სწრაფად ჩამოართვა ხელი და გავიდა გარეთ. გამოჰყვა აგრეთვე ძმა თავისი, დიმიტრი და სომეხი—ამ უკანასკნელმა ისეთის თვალებით შეხედა კარიაგინს ხელებში, რომ პოლკოვნიკს გინაღამ ხელიდან არ დაუვარდა ფულები.

ეხლა სამნივე: ალმასხან, დიმიტრი და სომეხი გარეთ იყვნენ.

ვ. ბუნია.

(დასასრული იქნება)

# პედაგოგიური მოსაზრებანი. *)

«ქართული ქრისტომატია» უმცროს კლასებისთვის, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 70 კაპეიკი. ტფილისი 1885 წ.

ქრისტომატია ბ. ნასიძისა გაიყოფება ოთხ ნაწილად: პირველი ნაწილი შეიცავს პატარა-პატარა მოთხრობებს, ლექსებს, იგავებს; მეორე წარმოადგენს ზღაპრების კრებას; მესამეს შეადგენენ მოკლე მოთხრობები, ლექსები, აღწერილობითი სტატიები და, უკანასკნელად, მეოთხე შესდგება საქართველოს ისტორიისაგან.

თუ რად და რისთვის გაიყოფება აღნიშნული ქრისტომატია ოთხს და არა ორ, სამ, ხუთ, ექვს ნაწილად, ამაზედ ავტორი არას გვეტყვის და ეს მით უფრო ძნელი გამოსაცნობია, რომ პირველი და მესამე ნაწილი თითქმის არც კი გაირჩევა ერთი-ერთისაგან. თუმცა ავტორი ამბობს, რომ პირველი ნაწილი შესდგება ვითომც პატარა-პატარა მოთხრობებიდგან, იგავებიდგან, ლექსებიდგან, ხოლო მესამე დამთავრებულ აღწერილობითი და მოთხრობითი სტატიებიდგან, რომლებშიაც ვითომც იხატება საქართველოს ბუნება და ცხოვრება, მაგრამ, რადგანაც პირველ ნაწილში მოიპოვება ისეთი სტატიები და

*) ამ წერილის შესახებ რედაქცია ერთ-ერთ ნომერთაგანში დაბეჭდავს უფრო ვრცელს სტატიას.
რედ.

ლექსები, რომლებიც თითქმის ბევრით გრძელნიც არიან მესამე ნაწილის სტატიებზედ და ლექსებზედ *) და მესამე ნაწილში ჩვენ შევხვდებით ბევრ იმისთანა ლექსებს და წერილებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ ქართველების ცხოვრებასთან და საქართველოს ბუნებასთან და მათ არაფრით არ გამოხატავენ **), ამისათვის, ჩვენის აზრით, სრული შესაძლო უნდა ყოფილიყო ამ ორი განყოფილების ერთ ნაწილში მოქცევა.

თუ კიდევ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს ისტორიას, რომელიც შეადგენს ქრისტომატიის მეოთხე ნაწილს, თვით ავტორის აზრით, აქვს მხოლოდ დამხმარებითი მნიშვნელობა (ისტორია ჩვენ სასწავლებლებში შეადგენს საკუთარ საგანს), მაშინ გამოდის, რომ ქრისტომატია ბ. ნასიძისა შესდგება სულ ორი ნაწილისაგან, პირველი

---

*) ავიღოთ პირველი ნაწილიდგან, მაგალითად, თუნდ ლექსები: დაკარგული შვილი; ნადირთ ჭირი, შროშანი და კატის კნუტი, შევადაროთ მესამე ნაწილის ლექსებს: მზის ჩასვლა; ჩჩვილი, იავ-ნანა; გელათი, ბეთლემის ტაძარი, ყვავილი, ჩემი ლოცვა და სხვანი. ეგრეთვე ზოგ-ზოგი პროზიკული სტატიები და ცხადად დავრწმუნდებით, რომ პირველნი შორს უგრძესნი არიან მეორეებზედ.

**) ავიღოთ, მაგალითად, მესამე ნაწილიდგან წერილები: ღამე, მზის ჩასვლა, ჩჩვილი, ფუტურო, ყვავილი, ზაფხულის ღამე, ჩემი ლოცვა, სუმბული და მწირი, ანჩარ, ენის შერევნის და გოდლის ამბავი, სწავლა მოსწავლეთა, ლოცვა მღვთის-მშობლისადმი, თვალი და გული, გაზაფხული, ვაქოთ, ვადიდოთ, სხვა და სხვა დროის კაცი და სხვანი და სხვანი და ვკითხოთ ავტორს, თუ რა კავშირი აქვთ აღნიშნულს აქ ლექსებს საქართველოს ბუნებასთან და ქართველების ცხოვრებასთან. რით და როგორ გამოგვიხატავენ ესენი და მოგვაგონებენ საქართველოს ბუნებას და ქართველების ცხოვრებას?!

შეიცავს აღმწერილობითსა და მოთხრობითს წერილებს, იგავებს, ლექსებს, მომეტებულად ქართველების ცხოვრებიდგან და მეორე წარმოადგენს ზღაპრების კრებას.

ახლა საჭიროდ ვრაცხავთ ვიკითხოთ, საკმაოა ეს მასალა სახელმძღვანელო საკითხავი წიგნისათვის? შესაძლებელია ამ მასალით ბავშვების აღზრდა?

ამაზედ, უეჭველია, არც ერთი გამოცდილი პედაგოგი არ დაგვეთანხმება: პედაგოგიაში მტკიცედ არის დღეს მიღებული ის აზრი, რომ ბავშვების აღზრდას უნდა ჰქონდეს არა მოკლე პატრიოტული, გარნა საზოგადო კაცობრიული ხასიათი. აი, ამის გამო და ამ მხრით ჩვენ ვრაცხავთ დიდ ნაკლულევანებათ ალაგის მიუცემლობას ავტორისაგან ქრისტომატიაში იმ ელემენტებისათვის, რომლებითაც ბ. ნასიძის ქრისტომატია გაირჩევა ქართულ ენაზედ ბბ. ჩუბინოვის და გოგებაშვილის ქრისტომატიებიდგან და რუსულზედ ბბ. უშინსკის, პაულსონის, პოლევოის, როადონეჟსკის და სხვა სახელმძღვანელო საკითხავი წიგნებიდგან, ვგულისხმობთ აქ ჩვენ აღწერას იმ გამოგონებათა და გამოჩენათა (описаніе открытій и изобрѣтеній), რომელთაც აქვთ საზოგადო - კაცობრიული მნიშვნელობა; სახელდობრ: წიგნთ-საბეჭდავის, თოფ-იარაღის, წერის მასალების და სხვანი; აღმოჩენა ამერიკისა და ინდოეთში წყლით სავალი გზისა და სხვანი; მოთხრობებს სხვა-და-სხვა ხალხის ცხოვრებიდგან; აღწერილობითს წერილებს და მოთხრობებს ბუნების ისტორიიდგან და სხვანი და სხვანი.

ყველა ამ ელემენტებში მით უფრო საჭიროებს ბ. ნასიძის ქრისტომატია, რომ იგი დაინიშნების ავტორისაგან, სხვათა შორის, სახალხო სკოლებისთვის, სადაც ბავშვები სწავლობენ სულ სამ-ოთხ წელიწადს. ასწავლის სულ ერთად-

ერთი მასწავლებელი და სწავლის პროგრამმა განისაზღვრება საღმრთო წერილით, არითმეტიკით და სამშობლო ენით. უეჭველია, რომ ამისთანა სკოლაში სახელმძღვანელო საკითხავი წიგნი ენის სავარჯიშო მასალას კი არ უნდა წარმოადგენდეს მარტო, არამედ იგი უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ ამავე დროს მისცეს და განამდიდროს ბავშვები საჭირო ცნობებით: ბუნების ისტორიიდგან, გეოგრაფიიდგან, ისტორიიდგან და სხვანი და სხვანი.

ქრისტომატიის მეორე ნაკლულევანებას შეადგენს ის, რომ მას არა აქვს პედაგოგიური რიგი და დაწყობილება. აღზრდის პრაქტიკას უძევს მტკიცე სჯულად ის პედაგოგიური მოთხოვნილება, რომ ა) საზოგადოდ ყოველ-გვარი ცნობანი, რომელნიც გარდაეცემიან მოსწავლეებს, იყვნენ მკვიდრად დაკავშირებულნი ერთი-ერთმანეთზედ და ემსახურებოდნენ ერთ უმთავრესს იდეას; ბ) შეასწავლოს ბ-ვშვებს «ჯერ ადვილი, მერე ძნელი; ჯერ მარტივი, მერე რთული; ჯერ მახლობელი, მერე შორეული; ჯერ კონკრეტული, მერე საგულის-ხმიერო» (отвлеченное).

თუმცა ბ. ნასიძე ამბობს თავის ქრისტომატიის წინასიტყვაობაში, რომ მას ეს კანონები მკვიდრად ჰქონდეს, ვითომც, დაცული, მაგრამ საკმაოა მხოლოდ გადავავლოთ თვალი მის ქრისტომატიას, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს არის მარტო ლიტონი სიტყვა. წინააღმდეგ პირველის პედაგოგიურის პრინციპისა, ქრისტომატია ბ. ნასიძისა წარმოადგენს დომხალივით ერთი-ერთმანეთში არეულს მოთხრობებს, ლექსებს, იგავებს, აღწერილობითს წერილებს და სხვა და სხვათა. დაწყობა, მაგალითად, მოთხრობით «ოხუნჯი და ყარაული», ამას მიჰყვებიან: ლექსი «თამარ მეფე»; იგავი «ძუნწი და ცხენი»; ლექსი «გაზაფხული»; იგავი «ბრმა, კუტი და საწყალი»,

ლექსი «უმაწვილი და პეპელა» და სხვანი და სხვანი ამ ნაირადვე.

ახლა საჭიროა ვიკითხოთ, რა კავშირი აქვს ოხუნჯს თამარ მეფესთან; თამარ მეფეს მუნწთან; მუნწს გაზაფხულთან და სხვანი. რასაკვირველია, არაფერი, არავითარს კავშირს არ წარმოგვიდგენენ, გარდა იმისა, რომ ჯერ უნდა შეისწავლოს ბავშვმა პირველი, მერე—მეორე, მესამე და სხვანი.

მოვიგონოთ ახლა, რას ამბობს ამაზედ პსიხოლოგია: «უკავშიროობა შორის ცნობათა, წარმოდგენათა, აღბეჭდილებათა შეადგენს უმთავრესს მიზეზს მათ დავიწყებისას. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობანი ძალიან მალე და ადვილად ავიწყდება კაცს, რადგანაც არა აქვს შემთხვევა მათის გაახლებისა. ამისთანა ცნობანი, არამც თუ შეიძლება ღრმა დავიწყებას მიეცნენ, არამედ შეიძლება, რომ სრულებითაც გამოუვიდნენ კაცს თავიდგან. მეტად საბრალოა ის კაცი, რომლის თავშიაც ცოდნას არა აქვს რიგი და დაწყობილება, გარნა აწყვიან ცალკ-ცალკე, უსისტემოდ და უკავშიროდ. ამ გვარმა კაცებმა შეიძლება ბევრიც ისწავლონ, ბევრი ცნობანიც მიიღონ, მაგრამ ცოდნა კი ვერ მოიპოვონ, იმიტომ რომ ესენი არ არიან თავის ცოდნის პატრონნები: ამათ თავში ცნობანი არიან არეულ-დარეულნი ისე, რომ მათში საჭირო ცნობის გამორჩევა სრულიად შეუძლებელია. ამისთანა თავები ემგზავსებიან პლიუშკინის გროვას, რომელშიაც იყო ყველა, მაგრამ კაცი კი ვერას იპოვიდა (Каптеревъ-Педагогическая психологія: стр. 304).

აი, ამის გამო მე-XVIII საუკუნის გამოჩენილი პედაგოგი ჟაკოტო დაიდებდა თავისთვის მტკიცე სჯულად და სასტიკად მოითხოვდა ყველა მასწავლებლისაგან, რომ ყოველგვარი ცნობანი, რომელნიც კი გარდაეცემოდნენ ბავშვებს, უო-

ფილიყვნენ, ერთის მხრით, მათთვის სრული გასაგები და მეორეს მხრით მკვიდრად დაკავშირებული ერთი ერთმანეთზედ. და მართლაც, როგორც მოგვითხრობს პედაგოგიის ისტორია, ეს შეადგენდა იმ დიდ სეკრეტს, რომლითაც ჟაკოტომ თავის ოსტატური სწავლებით მოიყვანა განცვიფრებაში თვისი თანამედროვენი.

წინააღმდეგ მეორე პრინციპისა, ქრისტომატია ბ. ნასიძისა დაიწყობა იმისთანა ძნელი წერილებით, რომელთ მსგავსებს თითქმის არც კი შეხვდებით მთელ წიგნში. ავიღოთ თუნდ, მაგალითად, ლექსი «თამარ მეფე», რომელიც არის ჩართული ქრისტომატიის პირველ გვერდზედ. რასაკვირველია, ამაზედ უშორესს, როგორისაც წარმოადგენს ბავშვისათვის თამარ მეფის დრო და მისი ჩხუბი ხონთქართან, ქრისტომატიის ავტორი ძნელად-ღა გამოიგონებდა. ეს პირველი.

მეორედ, ეს ლექსი, თუმცა შეადგენს ძველ ხალხურ ლექსს, მაგრამ ძნელი გასაგები არის ბავშვებისათვის, რადგანაც თითქმის თითოეული ამ ლექსის სიტყვა მოითხოვს გრძელ ახსნას, რომლის გაგებაც ან ძნელია ბავშვისათვის და ან სრულებით შეუძლებელია. ამისთანა სიტყვებს შეადგენენ: თამარ მეფე, ხონთქარი, შური და მტრობა (როგორათაც ყველა გრძნობებს, ამის ახსნაც ყმაწვილებისათვის ძალიან საძნელოა); ზღვა, ხომალდი, ალმასები დაჰკიდა, ლაშქარი.»

მესამედ, შინაარსს ამ ლექსისას შეადგენს იმისთანა საგანი, რომელიც საგულისხმოა — გონებით წარმოსადგენია ბავშვისაგან. ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება იმ დიდ პედაგოგიურ მოთხოვნილებას, რომლის ძალით სწავლა უნდა დაიწყოს კონკრეტული საგნიდგან.

აღწერილობითი წერილნი, რომელნიც არიან ჩართულნი

ქრისტომატიის მესამე განყოფილებაში და ზღაპარნი, რომელნიც შეადგენენ მეორე განყოფილებას, წარმოადგენენ შესაფერ მასალას უფრო პირველ განყოფილებისათვის, რადგანაც პირველ ამათგანებს აქვთ თვალ საჩინო სასიათი და მეორენი წარმოადგენენ საყმაწვილო ადვილ მასალას.

საზოგადოდ, როგორათაც ქრისტომატიის გაყოფა ოთხ ნაწილად, ისე მისი განყოფილებითი რიგი სრულებით უსაფუძვლოა. ჩვენის აზრით უფრო პედაგოგიურად მოიქცეოდა ავტორი, რომ ყოველ გვარ ნაწარმოებს მისცემოდა ცალკე თავისი შესაფერი ადგილი, ე. ი. ცალკე შეკრეფილიყო აღწერილობითი წერილები; ცალკე—ხელოვნური აღწერილობითი სტატიები (художественныя описанія); ცალკე — მოთხრობითი წერილები, ცალკე—იგავ-არაკები, ცალკე ლექსები. ამ ხუთ განყოფილებას შეიძლებოდა მიმატებოდა ერთი ნაწილი კიდევ «ნიმუშები ჩვენი ძველი მწერლობისა.»

ქრისტომატია ბ. ნასიძისა ერთობ შესამუშავებელია. იმ ნაირად, როგორათაც ეს არის გამოცემული, წარმოადგენს საკითხავ მასალას (читательный матерьялъ) და არა დიდაქტიურ სახელმძღვანელო წიგნს.

რომ ეს წიგნი გამოდგეს საკლასო სახმარებლად, უსათუოდ უნდა შემუშავდეს ისე, როგორათაც არიან შემუშავებულნი ამ გვარი წიგნები, თუნდა რუსულ ენაზედ, მაგალითად: პოლევოისა, რადონეჟსკისა და სხვ. ქრისტომატიები.

ყოველ წერილის, ლექსის, იგავის, არაკის, მოთხრობის და სხვ. შემდეგ უნდა ყოფილიყო. ა) მოკლე დიდაქტიური დარიგება მათ შესწავლის თაობაზედ; ბ) უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, თუ რა შეადგენს უმთავრესს იდეას სტატიისას, ლექსისას, იგავისას

და სხვანი; გ) რა აზრები განმარტავენ ამ უმთავრესს იდეას; დ) ახსნა უძნელესი აზრებისა; ე) ახსნა ძნელი სიტყვებისა და სხვანი. აქვე საჭიროა ყოფილიყო აღნიშნული სათხზულებო კითხვები (ТЕМЫ ДЛЯ КЛАССНЫХЪ ПИСЬМЕННЫХЪ УПРАЖНЕНІЙ) და საკლასსო თხზულებათა მოკლე პლანი.

ამას გარდა ძალიან სასარგებლო იქმნებოდა, რომ ქრისტომატიის ყოველ-გვარ ნაწარმოებს ჰქონოდა ქარაქტერისტიკა, მ. ი. აღწერილობით წერილების წინ ყოფილიყო ჩართული მოკლე ქარაქტერისტიკა ამ გვარის წერილებისა და ნაჩვენები ის წესი, რომლითაც უნდა აღიწეროს ყოველი საგანი.

ესევე უნდა ყოფილიყო სხვებისთვის: მოთხრობითი წერილებისთვის, იგავ-არაკებისათვის, ლექსებისათვის.

რადგანაც ქრისტომატიაში ჩვენ შევხვდებით ბევრ ძნელად გასაგებ სიტყვებს, ამისათვის ქრისტომატიას უსათუოდ უნდა ჰქონოდა ბოლოში მოკლე ლექსიკონი, სადაც იქმნებოდა ახსნილი ყველა ამ გვარი სიტყვები.

რაც შეეხება შინაარსს ქრისტომატიისას, ამ მხრით ჩვენ, საუკეთესო წერილების შორის, შეგვხვდებიან ბევრი იმისთანა წერილებიც, რომელთაც, ჩვენის აზრით, არ უნდა მისცემოდათ ადგილი. ეს წერილები შეიძლება გავყოთ ორ-რიგად: ა) წერილები, რომლებიც არ შეიცავენ იდეას და, როგორათაც უაზრო და უსულო, სრულებით გამოუდეგარნი და უსარგებლონი იქმნებიან ბავშვებისათვის და ბ) წერილები, რომლებსაც შეუძლიანთ იმოქმედონ ბავშვის ზნეობაზედ საზიანოდ. პირველ ამათგანებს ეკუთვნიან შემდეგი ქრისტომატიის წერილები: მოურავი და მებატონე, ურია და მისი მოკალე, მიზანში სროლა; არაკები: არაფერი, ბერი-კაცი და დევი.

დასამტკიცებლად ამათის უაზრობისა, ავიღოთ თუნდ, მაგალითად, არაკი «ბერი-კაცი და დევი». ერთ ბერი-კაცს მიაბარა დევმა, სამი წლის ვადით, ძროხა, რომელიც თვეში ერთ ხბოს იგებდა და დღეში სამ თუნგ რძეს იწველიდა, იმ პირობით, რომ სამ წელიწადს უკან დევი მოვიდოდა, სამ სიტყვას ეტყოდა და, თუ ბერი-კაცი აუხსნიდა—ძროხა იმისი იქმნებოდა, თუ არა და შესჭამდა ცოლ-შვილით.

«გავიდა სამი წელიწადი. ღამე რო გათენდა, მოვიდა დევი, დაარახუნა კარი და შესძახა: «ბერი-კაცო, ეს თორმეტი.» ამ დროს ბერიკაცის სახლში მოჰყვა, სტუმრად მასთან მოსული, გლახა, რომელსაც ეძინა კარებთან.—რის თორმეტი, უთხრა გლახამ, თორმეტი ძმა რო იყოს სახლში და თორმეტი ულელი ხარი ჰყვანდეთ, ზოგი აღმა ჰხნავდა, ზოგი დაღმა და ღმერთი უშველიდათო. დევმა შესძახა: «ნოეო»!—მეც ესლა მოვედო, უპასუხა გლახამ.—სად იყავ, რო მოხვედო?—ზღვას გაღმა ვიყავი: ყვავი შევკაზმე, ცხრა მარილის ქვა ავკიდე, მეც ზედ შევჯექ და ისე გამოვედო.—ბასალა ყოფილაო, უპასუხა დევმა.—როგორი ბასალა: იმისი ჩრდილი ერთის ქალაქსა ჰფარავდაო.—პატარა ქალაქი ყოფილაო.—როგორია პატარა: თავში რო საჩუდარი დაეყვირა, ბოლოში ხმა არ გავიდოდაო.—ჩოჩორი ყოფილაო.—რის ჩოჩორი: იმის ტყავისა კაცს ქურქიც გამოუვიდაო და ქულაჯაცაო.—პატარა კაცი ყოფილაო.—როგორ პატარა: იმის მუხლზე რო მამალს დაეყივლა, ვერ გაიგონებდაო.—ყრუ ყოფილაო.—ყრუ როგორ იყო: მაღლა რომ ირემს ეცოხნა, ძირს ის გაიგონებდაო. დევმა სიტყვა ველარ მოახერხა. მაშინ გლახამ დასწყევლა დევი: «შენამც ჭკუულოხარო მუხის გუნდად, შიგ ნაჯახი—ცული ერჭოს; გამოდითოდეს ეს ბერი-კაცი, გჭრას და ისე შლმველი იყოვო.»

ასეც თურმე ასრულდა. ეს გლახა იესო ქრისტე ყოფილა.»

პირველად, რომ აქ დევის მხრივ პირობა დარღვეულია: სამი სიტყვის მაგიერად, სამას სიტყვასა ჰკითხავს. მაშასადამე, ბერი-კაცს შეეძლო სამ სიტყვაზედვე მოესპო დევთან ბაასი და ძროხა ამ საფუძვლით, თვითონ დაეჭირა. ეს ერთი.

მეორედ, რომელი მახარობელი მოგვითხრობს იესო ქრისტეს ლაპარაკს დევებთან??.. განა შეიძლება, რომ ასე ტყუილ-უბრალოდ იქ, სადაც ჩოჩრებზედ და სახედრებზედ არის ლაპარაკი, იესო ქრისტეს სახელი გაახსენებინოთ ბავშვებს?!..

მესამედ, საჭიროდ ვრაცხავთ ვიკითხოთ, რა იდეას, რა ხალხის შეხედულობას წარმოადგენს აღნიშნული არაკი? რით და რა მხრით შეუძლიან ამას სარგებლობის მოტანა ბავშვებისათვის?

ამ გვარ მასალებსავე წარმოადგენენ დანარჩენნი წერილები და არაკი «არათვერი».

მეორე რიგის წერილებს, რომელთაც შეიძლება ცუდათ იმოქმედონ ბავშვის ზნეობაზედ, ეკუთვნიან შემდეგი წერილები: «ფული ვინ მისცეს», «გლეხი-კაცი და ვაჭარი», «ქურდი და ხელოსანი», «სოფლელი და ჩარჩი».

ავიღოთ, დასარწმუნებლად, თუნდ წერილი «ფული ვინ მისცეს.» «ოთხმა ჯიბე-ცარიელმა კაცმა ერთ დუქანში გახშამი სჭამეს და რომ გაათავეს, ერთი წამოდგა, ჯიბეს ხელი გაიკრა და ჰკითხა მედუქნეს: «აბა, რა გერგებაო»? მეორემ სთქვა: «მე მივცემო». მესამემ—«არა, ჩემი რიგიაო». — «რას ამბობთ, მე უნდა მივცე, ჩემი ჯერიაო», სთქვა მეორემ. აუტყდათ ჩხუბი; მერე ერთმა იმათგანმა სთქვა: «რახან ოთხთავეს გვინდა მიცემა, მედუქნემ თვალები აიბას და ვისაც დაიჭერს, იმან

მისცესო.»—კარგიო. მედუქნეს აუხვიეს თვალები, თითონ გამოვიდნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

აქ რამდენი სიტყვაც კი არის, ყველა ზნეობის მავნებარი და წინააღმდეგია: დუქანი, ფსონით ვახშმის ჭამა; განზრახვა მედუქნის მოტყუებაზედ, ჩხუბი, მედუქნის თვალების ახვევა და მოტყუება; მათი მალვით და ეშმაკობით გაპარვა და სხვანი.

ახლა ვკითხავთ, რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ბავშვებს ამ წერილმა? ისა, თუ, ვინიცობაა იყოს, ფსონით პურის-ჭამა და სმეულობა მოუხდეთ დუქანში, მედუქნე არ მოტყუონ და დანახარჯში ნამდვილად გაუსწორდნენ; თუ, წინააღმდეგ, ამ ნაირადვე ისარგებლონ და მიკიტანი თვალებ ახვეული და უბა-ლის გაუშვან?!..

ავიღოთ, კარგად დასარწმუნებლად, კიდევ მეორე წერილი «გლეხი კაცი და ვაჭარი.» «გლეხმა კაცმა სთქვა: «თუ ვაჭარი არ მოვატყუე, თავი ცოცხალი რაღად მინდაო.» ერთ ალაგს სამი ვაჭარი დახვდა და უთხრა: «გუშინ ძალიან გადაკრული(?) ვიყავ და ეს მანათი ვიღამაც მასესხა, თუ ღმერთი გწამთ, თქვენ ხომ არ მასესხეთო: მე ისეთი კაცი ვარ, რომ არავისას არას შევიწევო».—«მე გასესხეო», უთხრა ერთმა ვაჭართაგანმა სიხარულით.»—«რახან შენ მასესხე, აი ეს მანათი მიიღე და ჩემი ახალი ჩოხა დამიბრუნეო».—«რა ჩოხა, რას ამბობ, კაცო?—ამ მანეთში რომ დაგიგირავეო.» საჩივლელად გახდა საქმე და მოსამართლემ გადაუწყვიტა ვაჭარს: «შენ მაგას მანათს ისე არ მისცემდიო, მანათი გამოართვი და ჩოხა დაუბრუნეო». გლეხმა კაცმა მანათად ახალი ჩოხა იშოვა.» მაშ, ბ. ავტორო, გამოდის ისე, რომ ქურდის ქურდი ცხონებული ყოფილა. იფ, ამ ზნეობას, იფ, ამ საქციელს, სწორედ, რომ მისაბაძია!!... განა არ შეეძლო გლეხ-კაცს, რომ მანათზედ

უფრო იაფად ეშოვნა ახალი ჩოხა?!. ჩაუჯდებოდა იმ ვაჭრებს ორღობეში საღამო ხანზე, ფეხებს გააჭიმინებდა და მათი ჩოხებიც და საათებიც იმას დარჩებოდა!!...

აღარა ვრაცხამთ საჭიროდ გაგრძელებას და მოყვანას აქ სხვა სტატიებისას. გვონებთ, საკმაო უნდა იყვნენ ესენიც, მხოლოდ ერთი ეს კი უნდა ვკითხოთ: რომელ «წარჩინებულ სამშობლო ავტორთა» ეკუთვნიან ეს «საუკეთესო ადგილები საუკეთესო ნაწერებიდგან»?!

თელაწყალელი.

1885 წ. აგვისტოს 5 დღესა.

# სახალხო ლექსები.

შეკრებილი სურამში ს. ლონდაძისაგან)*)

აზნაურობა მიყვარდა,
თოხი გამოვკარ ახოსა,
აქეთ, იქით გისხლდები,
არავინ დამინახოსა.

ქალამანი ამოვასხი
დეკეულის ფენიხელდაო,
რა იქნება, თეთრო გოგო,
მაგოჯნინო ურთხელდაო!

გაღმა, გამოღმა ბაღებო,
ზედ შეხვევიან ქალები,

---

*) რადგანაც ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენგნითვე შეკრებილი ხალხის გონების ნაწარმოები ჩვენვე გამოვსცეთ ცალკე წიგნად, ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ყველასა, ნუ ვინ ინებებს «ივერიიდგან» გადაბეჭდვას ჩვენი შეკრებილი ლექსებისას და სხვა ნაწარმოებისას.

ს. ლონდაძე.

ერთი შეხედვით შეგატყობ,
რომელსაც შეგებრალები!

—

მიდორშიდა დამეძინა,
დამეხვია კოღოები,
ნეტავი დამაკოცნინა
აზნაურის გოგოები!

—

ახალი გახური ღვინო
ყელში ჩავა ხრიალითა,
შენ ჩემთან ვერას გაყიდი,
ნუ გასკდები ღრიალითა.

—

ორშაბათსა პური მოვმკე;
სამშაფათსა მოვიტანე;
ოთხშაფათს კალო გავლეწე;
ხუთშაფათს გავანიავე;
პარასკევსა მეოთხედი
უნებურად ცალკე ვყარე;
შაფათს ბატონმა წაიღო
მიწა ისევ მივიბარე.

—

მიდორს იყო და მოვიდა
ერთი პატარა ალალი;
დახედე, როგორ თამაშობს,
ერთი ტკაპელი არ არი!

—

მიდორს იყო და მოვიდა
ერთი პატარა ბებელი,

საკლიტეს ხელი გადმოყო,
დამშვენდა თარო კედელი.

—

ქალო, ეგ რა შემოკირტყამს,
შუბლი დაგიშვენებია,
ჩემი გული შენ მოგიკლამს,
სხვისა გაგიმთელებია!

—

ი, მ—მა გოგომა
კარები დამიკეტაო,
შიგნიდამ გამამძახოდა:
«თვალები დაგიდგებაო».

—

შენი ჭირიმე მთვარეო,
ლამაზს ქალს მიმაპარეო,
გათენებამდინ მახვიე,
გათენდეს—გამაპარეო!

—

მიდორ, მიდორ კოშკი დავდგი,
ზედ გავაბი ნარიყალა,
გოგო, შენმა სიყვარულმა,
შორი გზიდგან მამიყვანა.

—

ქალო, ეგ მოვის პერანგი
კოჭამდინ გეფრიალება,
წუხელი სამჯერ გაკოცე,
დღეს რაღა გეპრიანება!

—

ეშმაკათა და ბალათა
გადავიარე გორზედა,
რძალ-დედამთილი ჩხუბობდა
ახალ შედღვებილ დოზედა.

—

დილით ადრე გადმოვედი,
იდექი ჩარდახშიაო.
რა ტურფათ შემოგხედევი,
დავიმალე ტანშიაო,
ნეტავი სიზმარში გნახო,
გაკოცო შავ თვალშიაო!

—

ნეტავი გოგო, ფიფქი მქნა,
ხევ-ხევ ჩამოვყვე ნიავსა,
არცა რა შენ დაგიშავდეს,
არც მე ჩავარდე ზიანსა!

—

შავარდენი გადმოფრინდა
აბრეშუმის ბუდიდგანა,
გოგო, მე რო სიტყვა გითხარ,
არ გადიგდო გულიდგანა.

—

ბატონმა თოფი მიბოძა,
ნახევარი ვერცხლიაო,
ჩვენი კნეინის ჩაკოცნა....
ნახევარი ცეცხლიაო.

—

მაღლიდგან გადმომდგარიყო
თვალ-ყუყუნ თეთრი ქალიო,

ხელს მიქნემს აქა ამოდი,
შინ არა ჩემი ქმარიო,
ციხის სანგრევათ წასულა
თავს დაცემია ქვანიო,
მახარობელი მოვიდა,
ქალო მოგიკვდეს ქმარიო,
სამახარობლო გავიღე
ორმოცი სული ცხვარიო,
იმასაც არ დავაჯერე
ვაჩუქე ნიშა ხარიო.

---

წინათ აზნაურშვილები
უწრუწუნებდნენ ქორებსა,
ახლა უჭირამთ კობლები,
დასდევენ სოფლის ღორებსა!

---

## გლეხის არშიყობა ბატონის ქალისადმი.

(ხალხური).

ტახტი შეგიკრამს მაღალი,
ოქრო-მკედით მოქარგული,
ზედ ბატონის და დამჯდარხარ
წამწამსა გიქროლებს ქარი.
სიცილი ელვას მიგიგავს,

სითეთრე—სიქაღალდესა,
როდესაც გაგეცინება,
ფიფქი არ დაგეფინება.
ან ხარ თოვლისა ნამქერი,
ან ფიფქი ჩამონაყარი,
თუ გძულვარ თავსა მოვიკლავ
შემომითვალე მართალი....
მარგალიტი კუნწული ხარ,
ზედ იაგუნდი მოსული
ტანათ კაცმა შემოგხედოს,
სანთელი ხარ ჩამოსხმული.
ანგრე კარგი რამ გაგხადა,
თუ არ ზეცით ჩამოსული,
წახვედი, თან წაიტანე
გული, გონება და სული.
მანამ შენ დაგინახამდე,
ამომივა მე ხო სული.

—

კაცის გული ასეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაც გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც მოუნდება სხ—სა...

—

დედავ, დედა, გაგიზრდივარ,
ბევრი მოგითმენიაო,
ცუდსა კაცსა რათ მიმეცი,
გვარი შეგირცხვენიაო!...
—შვილო, წიგნს გამოგიგზავნი

შიგ ქწეროს გიშერიო,
შვილო, მანდვე მოითმინე,
მე ველარას გიშველიო.
დედამთილი შეიყვარე,
მამამთილი ღმერთივითა,
მაზლი ისე შეიყვარე
მოღუღუნე მტრედივითა,
ქმარი კარგად შეიყვარე
მოწუწკუნე მაღლივითა...

---

# ქართული ფული.

## წყობა მეორე.

ამ წყობაში, როგორც უკვე მოვიხსენეთ, (იხ. «ივერია» აპრილისა და მაისის წიგნი), წარმოდგენილნია ფულნი: 1 დავითის და მეფე ბაგრატ III-ის გამოსახულობით, 2 გიორგი I-სა, 1 გიორგი II-ისა, 2 დავით III აღმაშენებელისა და 1 გიორგი III-სა. სულ რიცხვით შვიდი. ეს ფულნი თვისის მოჭრილობით მიემსგავსებიან ბიზანტიის ფულებსა და ამის გამო მიითვისებენ სახელს «ქართულ-ბიზანტიისასა».

### აღწერა ამ ფულებისა.

ვეცხლის ფული დავითისა და ბაგრატ III-სა, წონით 42 გრანი (№ 1

პირველი გვერდი ფულისა. ორნი მეფენი დგანან სწორად, აცვიათ სამეფო ტანისამოსი და თავზედ ხურავთ დიადემა, მათ შუა არის ჯვარი. მახლობელ მეფისა, რომელიცა სდგას მარჯვნივ, ჰზის ხუცური ასოი Ⴃ, ამის მირს Ⴂ და შემდგომ Ⴇ; ხოლო მახლობელ მეფისა, რომელიცა სდგას მარცხნივ, ჰზის მხედრული ასოი ბ; ამის მირს ხუცური ასო Ⴂ. პირველნი, ე. ი. Ⴃ, Ⴂ და Ⴇ დანიშნენ სახელსა დავით მეფისასა, ხოლო შემდგომნი: ბ და Ⴂ ბაგრატისასა.

მეორე გვერდი: ხატი ღვთის-მშობლისა, რომლისა მარჯვნივ ჰზიან ქარაგმით ასონი Ⴃ Ⴃ, მარცხნივ პირველ სტრი-

ქონზე ႢႰ, მეორეზე ასო Ⴑ. ასონი ესე წარიკითხებიან ესრეთ: ႫეႴა ႢჲႰისა.

ვეცხლის ფული მეფე გიორგი I-სა, წონით 26 გრანი (№ 2).

პირველი გვერდი. მეფის სახე იყურება მარჯვნივ, ჰსჩანს მხოლოდ ცხვირი, ულვაშები, ნიკაპი და ნაწილი სარქველისა; მარჯვნავე ჰზიან ასო-მთავრულნი ასონი: ზეით Ⴙ და Ⴔ, ქვეით Ⴄ; მარცხნივ ႩႨ ქარაგმით. სამნი პირველნი დანიშვნენ მეფესა, შემდგომნი ორნი გიორგის, ე. ი. მეფე გიორგი.

მეორე გვერდი. ოთხ-ფეხი პირუტყვი, მსგავსი, როგორც ვგონებ, გარეულის ღორისა, იყურება მარცხნივ; პირუტყვისა ამის სჩანან: თავი, ფეხები და ფეხ-ქვეშ ვარსკვლავი.

ვეცხლის ფული გიორგი II-სა, წონით 19½ გრანი (№ III და № IV).

პირველი გვერდი. სახე მეფისა ულვაშებიანი და უწვეროიყურება სწორედ, თავზედ ადგას გვირგვინი, შემკული მვირფასის ქვებითა, ყელზედ აქვს ჩამოსავლები ანუ ჯაჭვი. წერტილების სიმრგვლე განჰყოფს ფულის ბეჭედსა ამიებისაგან. № IV-სამი ჰსჩანან მეფის სახის ნაწილნი: ცხვირი, ულვაშები და ნიკაპი.

მეორე გვ. ამ გვერდზედ იხილვებიან შემდგომნი ასო-მთავრულნი ასოები: მარცხნივ № III ასო Ⴙ, მახლობელ ამისა ასო Ⴔ, რომელიცა სჩანს მეორეზე (№ IV) დაბლა ასო Ⴄ, შემდგომ ქარაგმიანი ასონი ႩႨ. პირველნი სამნი დანიშვნენ მეფესა და შემდგომნი ორნი გიორგისა, ე. ი. მეფე გიორგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. № IV სხვაობს № III-საგან მოჭრითა და სიმცირითა. გარნა სახითა და ზედ-ნაწერითა სრულებით ემსგავსება (ბარათაევი).

ვეცხ. ფული დავით III აღმაშენებლისა, წ. 13 გრანი (№ 5).

პირველი გვერდი. ხატი ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა.

მეორე გვერდი. ფულის ზეჭედში ჰზიან შემდგომნი ასომთავრულნი ასოები, სამ-სტრიქონად განყოფილნი: პირველ სტრიქონზედ Ⴃ Ⴂ Ⴗ, მეორეზედ: Ⴄ Ⴑ Ⴂ Ⴀ, მესამეზედ: Ⴍ Ⴑ Ⴈ, რომელნიც წარიკითხებიან ესრეთ: დავით კესაროსი (კესარი), ხოლო აშიებზედ მჯდომნი არიან: Ⴔ Ⴐ Ⴆ Ⴒ Ⴂ Ⴕ Ⴀ... დამატებითა სხვათა ასოთა დანიშნენ აფხაზთა და ქართველთა.

შენიშვნა. თუ ასოთაგან Ⴃ Ⴂ, პირველსა, ე. ი. Ⴃ მივიღებთ ვითარცა დასაბამითად საკუთარისა სახელისა და მეორესა (Ⴂ) დასაბამითად ზედ-წოდებულის სახელისა, მაშინ პირველი დანიშნავს დავითსა და მეორე აღმაშენებელსა, ე. ი. დავით აღმაშენებელი კესაროსი (ზარათაგვა).

ვეც. ფული იმისივე, წონით 8 გრანი (№ 6).

პირველი გვერდი. ხატი ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისა.

მეორე გვერდი. ფულის შუა-გულში არიან შემდგომნი ასო-მთავრულნი ასონი: Ⴃ, Ⴂ Ⴀ, Ⴂ Ⴐ, Ⴒ, Ⴃ, ႢႰ, Ⴐ, Ⴒ. პირველნი დანიშნენ დავით აღმაშენებელსა; შემდგომნი: რანსა და ტაოსა, ე. ი. დავით აღმაშენებელი რანთა და ტაოთა.

ფული ვეც. გიორგი III-სა, წონით 20 გრანი (№ 7).

პირველი გვერდი. სახე მეფისა ნახევარ-ტანით, რომელსაც თავზედ ადგას გვირგვინი და ტანზედ აცვია სამეფო ტანისამოსი, ხელში უჭირავს სკიპტრა; გვირგვინი ესე მსგავსია

გვირგვინთა წარმოდგენილთა პირველისა ჹ მეორე სქემათა ზედა, პირველის ნაწილისათა. მარჯვნივ მეფისა არიან შემდგომნი ასო-მთავრულნი ასოები: Ⴋ Ⴄ Ⴔ, მარცხნივ ასო Ⴌ და სხვანი. პირველნი, ე. ი. Ⴋ Ⴄ Ⴔ დანიშნავენ მეფესა, ხოლო შემდგომნი Ⴌ და სხვანი, სწორედ არ ვიცი რასა.

მეორე ბეჭედი. სახე რომელისამე წმიდანისა გვირგვინით იყურება სწორედ, ტანისამოსი აცვია ძველი მსგავსი დიდ-გვართა ტანთ-საცმელთა, მინამ კვართა და მარჯვენა ხელში უჭირავს ჯვარი; მარცხნივ ამისა არიან ასო-მთავრულნი ასოები. Ⴂ Ⴄ ამათ დაბლა ბერძნული G E O. ქართულნი Ⴂ Ⴄ და ბერძნულიცა G E O დანიშნავენ გიორგისა.

შევადაროთ ორივე ბეჭედის ზედა-ნაწერნი, ვნახავთ, რომელ ქართულნი ასოები დანიშნავენ: გიორგი მეფე და ბერძნულნი, ე. ი. Georgios Evgenis — გიორგი კეთილშობილი, დარჩება ასო Ⴌ, დასმული მეფის გვირგვინის ახლოს, გაუმარტებლად.

ასო ესე Ⴌ უთუოდ მომჭრელისაგან ფულის ბეჭდისა შემდგომად არის დასმული ამ ადგილს, მით რომელ მას აქა არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, და თუ იყოს იგი მეორეს ბეჭედზედ, ხატის გვირგვინის ახლოს, მაშინ უეჭველად დანიშნავს მის წმიდის სახელსა, რომელ არს ნინო.

## რამდენიმე სიტყვა ამ ფულებზედ.

აღწერილნი ფულნი იწოდებიან «ქართულ-ბიზანტიურებად» და ასეთი სახელ-წოდება მათი უსაფუძვლო არ არის. არაბეთში ისლამის დამკვიდრების შემდეგ (622 წლიდამ) მცირე-სამეფონი აზიისანი (სომხეთი და საქართველო) ნელ-ნელა გა-

მოვიდენ თვისთა მტარვალთა—სპარსელთა გავლენიდამ. ისლამმა პირ-ქვე დასცა სპარსთა მძლავრი სახელმწიფო, დაიპყრო აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილები და საშიში შეიქნა ევროპისათვისაც, ვინაიდგან არაბნი ამ ხმელეთისაც შემოესივნენ დასავლეთის მხრიდამ—ესპანიიდამ და მასაც, ძალიან შესაძლო იყო, აღაოხრებდენ, თუ წინ არ გადაღობებოდათ კარლოს მარტელი (ჩაქუჩად წოდებული), რომელმაც ერთ შეტაკებაში დაამარცხა არაბნი და მით შეაჩერა მათი ძლევა-მოსილობითი წინ-სვლა.

ამ ხანში ევროპაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო ბიზანტიის იმპერია, რომელიც თუმცა ჰგრძნობდა საშიშროებას ახალის მტრისაგან—არაბთაგან, მაგრამ მაინც არ ანებებდა შუღლს და საუკუნოებით დაწყებულ ბრძოლას სპარსელებთან. ბრძოლა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის იყო უმთავრეს მიზეზად მისა, რომ ახალი სჯული, დაბადებული ქვიშიან არაბეთში, თავისუფლად გაიზარდა და ასე სწრაფად მოედო მთელ ქვეყნიერებას. სპარსთა და ბიზანტიის პოლიტიკოსთა ძლიერ გვიან დაინახეს თვისი შეცდომა. ბრძოლამ ორთავე ძლიერი სახელმწიფონი სრულიად დაასუსტა და ამის გამო ისლამმა ასე ადვილად შთანთქა მეზობლად მყოფი ძველი სპარსთა სამეფო და შემდეგ დაუწყო ბრძოლა მეორე დასუსტებულს სახელმწიფოს—ბიზანტიას. სპარსთა და ბერძენთ ბრძოლაში ქართველნი არ იყვნენ თავისუფალნი. ბერძენნიც და სპარსელნიც ცდილობდენ მიემხროთ ქართველნი, როგორც ხალხი მეომარი და მაგარის და შეუვალი ადგილების მქონებელი. ბერძენნი ითხოვდენ ქართველთ ქომაგობას და ერთგულებას მით, რომ ისინიც და ესენიც იყვნენ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, ხოლო სპარსთა ჰსურდათ ქართველთ ეღიარებინათ მათი სარწმუნოება და მით შექმნილიყვნენ სპარსთა ერთგულნი

და მორჩილნი. თუმცა არც ერთს, არც მეორეს არავითარი უფლება არა ჰქონდა ეისრუნა ქართველთათვის შემწეობა და მორჩილება,—რადგან ორივე სახელმწიფონი გამარჯვების დღეს მკვიდრდებოდენ საქართველოში და ბატონობდენ, მაგრამ ქართველნი, როგორც მცირე ერი, ძალას ემორჩილებოდენ და ემხრობოდენ ან ერთს მხარეს, ან მეორეს და უფრო კი ბიზანტიელთ, რომელთაც ქართველნი უფრო მეტის სიმპატიით უყურებდენ, მინამ სპარსელებს, რადგან პირველთ ბატონობა საქართველოზე, როგორც ქრისტიანეთა უფრო მსუბუქი და მოსანელებელი იყო, ვიდრე მეორეთა. სპარსთა და ბიზანტიელთ ამ უკანასკნელ ბრძოლაში ქართველნი იღებდენ მონაწილეობას და როდესაც სპარსელნი სრულიად დასუსტდნენ, ძალა-უნებურად თვისი გავლენა საქართველოზე დაუთმეს ბიზანტიის იმპერიას, რომელმაც ქართველთ მადლობა გადუხადა მით, რომ საქართველოს მეფეებს ჩამოართვა მეფობის ხარისხი, და აღჭურვა იგინი უფრო მცირე უფლებით—კურაპალატობით, მაგისტროსობით (მმართველი, მხედარ-მთავარი) და სხვ. ერთის სიტყვით ბიზანტიის იმპერატორნი საქართველოს განაგებდენ, ანუ ჰსურდათ განეგოთ, ისე, როგორც საკუთარი სამეფო. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ჩამოთვლას იმ ფაქტებისას, რომლებიდანაც, მართლაც, მტკიცდებოდეს ზემორე მოყვანილი ჩვენი აზრი, მხოლოდ მივუთითებთ ზოგიერთ ფულებზედ, რომელნიც თვისის მოჭრილობით სრულიად ჰგვანან ბიზანტიის იმპერატორთა ფულებსა და არა თუ იმ დროს ფულებსა, როდესაც ჯერ გაჩაღებულიყო სპარს-ბერძენთ ომები, არამედ იმის დიდი ხნის შემდეგ დროებშიაც, სახელდობრ თამარ დედოფლის მამა გიორგი მესამემდისაც (1156—1154). დასამტკიცებლად ამისა შევადაროთ ზოგიერთი ფულნი ბიზან-

ტიის იმპერატორთა და გიორგი მე-III-სა.

ბარათაშვილს ზემორე აღწერილი ქართული ფულების ტაბლიცაში აღუბეჭდია ხუთი ფული (a, b, c, d და e) ბერძენთა იმპერატორებისა, შესადარებლად და დასამტკიცებლად მისა, რომ აღწერილნი ქართულნი ფულნი სრულიად ჰგვანან ასოთა: a, b, c, d და e-ს ქვეშე წარმოდგენილ ფულთა. ბარათაშვილი ამბობს: «ნაქვთი ფულისა № 11 (ეს ფული ეკუთვნის მეფე გიორგი III-ს) ნათლად აჩვენებს წარმოებასა თვისსა ბერძენთა ფულთაგან. დასამტკიცებლად თქმულისა, მოღებულ არიან ბერძენთ მეფეთა ფულნი, ჩვენებულნი სქემასა ზედა ასოთა ქვეშე a, b, c, d და e. პირველნი მათგანნი ეკუთვნის ბერძენთ იმპერატორს იოანე II-ს, ხოლო მეორე— b მანუელ I-ს—კომონინთა და ამ ფულთა ზედა პირველ იპოება წარმოდგენილი ხატი წმიდისა ევგენისა. მეფემან გიორგიმ, მომღებმან დედნად ფულისა თანა-მედროვისა თვისისა იმპერატორისა მანუელ I-სა და არა იოანე II-სა შესცვალა მხოლოდ ბერძნულნი ასონი ქართულთა ასოთა ზედა და ხატი წმინდისა ევგენისა წმიდის ნინოს ხატზედ, ხოლო ასონი ბერძნულნი Evge... პოვებულნი № II უსათუოდ დანიშნავენ ტიტლოსა, Evgenon, რომელსა კეთილშობილი, რომელსაც ბერძენთა იმპერატორნი აძლევდენ თვისთა დიდებულთა და უეჭველად ქართველთა მეფეთაცა.»

ფულთა c, d, e შესახებ იგივე ავტორი განაგრძობს: «მსგავსნი ფულნი ასოთა ქვეშე c, d, e არ მინახავს შეკრებილებათა შინა ბიზანტიის ფულთა ნუმიზმატთაგან და არცა იპოებიან იგინი სხვათა ქვეყანათა შინა გარდა საქართველოისა; ამით ვამტკიცებ, რომელ იგინი იყვნენ მოჭრილნი საქართველოსა შინა და უსათუოდ არიან კირმანეულნი, რომელნიცა

მოიხსენებიან საქართველოს ისტორიათა და გუჯართა შინა.»
ამ ფულების მსგავსი ფულნი მონღოლების დროსაც იჭრებო-
ბოდა საქართველოში, ამბობს ბარათაშვილი.

აი ესეთი მსგავსება ფულებისა შექმნილა მიზეზად, რომ ბარათაშვილს ზემორე აღწერილ ფულებისათვის დაურქმევია წოდება «ქართულ-ბიზანტიურებისა.»

## მესამე წყობა.

ამ წყობაში, ზემოთაც ვსთქვით, წარმოდგენილნია მხოლოდ ის ვერცხლის და სპილენძის ფულნი, რომლებზედაც მეფეთ სახელნი ამოჰკვეთიან ქართულის და არაბულის წერილობით. ასეთნი ფულნი არიან: 4 დიმიტრი I-სა, 8 გიორგი III-სა, 26 თამარისა, 14 გიორგი IV-სა, 16 რუსუდანისა, 8 დავით V-სა და 3 დიმიტრი II თავ-დადებულისა. ფულნი ამ წყობისა შეიცავენ 159 წელს (1130—1289).

რადგან ჩვენ შემოგვესმა, რომ ერთი წარჩინებული მცოდნე საქართველოს სიძველისა აპირობს ქართული ფულების პირების აღბეჭდვას ისე, როგორათაც აღბეჭდა თვით მ. ბარათაშვილმა, ამიტომ ხსენებული და შემდეგი დროების მეფეთ ფულთაგან ჩვენ ყველას არ აღვწერთ, არამედ თითოს, ან ორ-ორს, რადგან დაპირებულ შრომაში შევა უფრო ვრცელი ცნობანი ქართულ ფულებზე საზოგადოდ.

## ფული დიმიტრი I-სა.

პირველი გვერდი. (№ 1) ფული ქსე, პოვებული რკალსა ზედა სრულებით წამხდარია სიძველისა და გაუფთხილებლობი-

სავან, ასე რომ ძლივ გაირჩევიან მას ზედა რომელნიმე არაბულნი ასონი, განყოფილნი სამ სტრიქონად. შედარებითა არაბულთა ასოთა ამათ სხვათა ფულის ასოთა თანა, მაგ. მეფის გიორგი მ-III გჰპოვებთ, რომელ პირველი სტრიქონი დანიშნავს ტიტლოსა: მეფეთ-მეფე; სხვანი ასონი, მდებარნი მარჯვნივ ႣႫ არიან დაბოლოებითნი სიტყვისა მახვილი და მარჯვნივ ႣႫ დასაბამითნი ასონი სიტყვისა მესსია; თვით ასო ႣႫ უეჭველად დანიშნავს მეფის სახელსა (დიმიტრი). ესე იგი:

მეფეთ-მეფე
ႣႫ (დმიტრი)
მახვილი მესსიისა.

მეორე გვერდი. ამ №-ის ფულის ბეჭდის შუაგულში ჰზის ხუთ-კუთხოვანი ვარსკვლავი და მას შინა წერტილი რამე. ამ ვარსკვლავის სხივებთა შორის არიან არაბულნი ასონი, დამნიშვნელნი საკუთარის სახელისა ყალიფისა: ელ-მუკტაფი. სახელი ყალიფისა ელ-მუკტაფი ლამრ-ილაჰ აბუ აბდ-ალაჰ მაჰმედისა კუთვნილ ჰქონდა ფულსა ამას მეფის დიმიტრისადმი, მით რომელ ხსენებული ყალიფი იყო თანამედროვე მეფის დიმიტრისა და მეფობდა 1136 წ.—1150 წლამდე.

## ფული გიორგი III-სა.

პირველი გვერდი (№ 1). მეფე ჰზის ფეხ-მოკეცილი, მარჯვენა ხელში უჭირავს ფრინველი (ვგონებ შავარდენი); თავზედ ადგას გვირგვინი და გვირგვინზედ აქვს ჯვარი; მარცხნივ მეფისა ჰზიან მხედრულნი ასონი ქარაგმით გი, და ამ ასოების ძირს შემდგომნი ასო-მთავრულნი ასონი: ႢႨ, ამის

ქვემოთ Ⴕ; ხოლო მარჯვნივ მხარეს ჰზიან ასო-მთავრულნივე ასონი Ⴃ Ⴋ Ⴒ, რომელნიცა წარიკითხებიან: გ(იორგ)ი Ⴋე-ფე Ⴕართველთა ႣიმიႲრისძე.

მეორე გვერდის შუა-გულში სამ სტრიქონად აწერია შემდეგი:

მეფეთ-მეფე
გიორგი დიმიტრისძე
მახვილი მესსიისა.

ფულნი თამარისანი.

თამარ მეფის ფულთ ბარათაშვილი ადვილად განმარტებისათვის ჰყოფს ორ ნაწილად: „პირველსა ნაწილსა ეკუთვნიან იგინი, რომელთაც შუაში უზისთ ხელ-ჩართულნი ასოები ႧႫႰ და მათ გარშემო ასო-მთავრულნი ასოები; მეორესა, რომელნიცა მოჭრილ არიან სახელითა თამარ მეფისა და მის მეუღლისათა.“

ფულნი პირველი ნაწილისა (№ 1).

გვერდი პირველი. ფულის შუაგულში ჰზიან მხედრულნი ხელ-ჩართულნი ასოები ႧႫႰ და ამათ გარშემო აშიებზედ შემდგომნი ხუცურნი ასო-მთავრულნი ასოები: ႵႩ: ႠႣ Ⴈ ႴႤႲႢႬႲ ႫႬ, ႵႷ... ႲႨႰႬ.. Ⴒ.. Ⴈ. მხედრულის ჩართულის ასოების ზეით ასო-მთავრულთა შუაში უზის წერტილი.

თუმცა ხუცურთა ასო-მთავრულთა შიგა-და-შიგ აკლიათ სხვა ასოებიც და ამიტომ ამ ზედ-ნაწერის წაკითხვა მეტად გა-

სწორებია ბარათაშვილს, მაგრამ ბოლოს მაინც განუმარტავს და დაახლოვებით წაუკითხავს შემდეგი: « თამარ ႵორონიკოႬს (Ⴄ)ႲႭႣ (374) ႥႺႾႪႱႬ (ვეცხლისაგან) ႫႱ (მის) ႵႷ (ქვეყნისა) (იჭედა) სახელით ႶႧႱႠ (ღვთისათა).

მეორე გვერდი. ფულის შუა გულში არაბულის ასოებით ხუთ-სტრიქონად არის შემდეგი წარწერა:

დედოფალი მაღალ-ხარისხოვანი
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა
თამარ ასული გიორგისა
შემდეგი მესსიისა
ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი. *)

ფული მეორე ნაწილისა.

პირველ გვერდზე სჩნიან ასონი Ⴓ და Ⴉ და აგრეთვე Ⴕ Ⴗ. ეს წარწერა ბარათაშვილის აზრით სჩნიშნავს: თამარ დავით ქორონიკონს 420 (1200). მაგრამ სხვანი არ ეთანხმებიან მას და სრულ წარწერას ასე სკითხულობენ: თამარ დედოფალი ქორონიკონს 420.

მეორე გვერდზე არაბულის ასოებით ოთხ-სტრიქონად აწერია: დედოფალი დედოფალთა
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა
თამარ ასული გიორგისა
შემდეგი მესსიისა.

---

*) არც თამარ დედოფლის და არც ლაშა გიორგის ფულების წონა არ არის ნაჩვენები, რუსუდანის ფულების წონა კი 14 გრანს ქვემოთ და 42 ზემოთ არ არის.

თამარის შვილთა: გიორგი IV და რუსუდანის ფულებ-ზედაც ხშირად იხილვების იმის მსგავსი წარწერა, როგორც მათი დედის ფულებზედ... მაგ.

მეფე მაღალ-სარისხოვანი
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა
გიორგი ძე თამარისა
მახვილი მესსიისა
ანუ
დედოფალი დედოფალთა,
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა,
რუსუდანი, ასული თამარისა,
თანა-შემწე მესსიისა.

რაც შეეხება რუსუდანის შავი ფულის წარწერას, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ბევრით სხვაობს დედისა და ძმის ფულე-ბის წარწერისაგან. მაგ. ერთ ფულზედ არაბულად წაიკითხვის:

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა,
დიდება სოფლისა, სამეფოჲსა და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, თანაშემწე მესსიისა,
ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი.

## ფული დავით V (სოსლანისა), გიორგის ძისა.

პირველი გვერდი. მეფე ჰზის ცხენზედ და მიდის მარ-ჯვნივ, ცხენის წინ არის ვარსკვლავი. მეფეს ტანთ აცვია სამე-ფო ტანისამოსი და თავზედ ჰხურავს მუზარადი, რომელზე-დაც იხილება ჯვარი, შედგენილი ოთხის წერტილისაგან. მე-ფის წინ ჰზის ქარაგმით ასო Ⴃ, რომელიცა განიყოფება ორად ხაზით, შუა ხაზზედ მცირე მრგვალი სხვა ხაზი აქვს; ამ

განყოფილებისაგან შესდგების ასო Ⴇ, რომელიც არის დასასრული ასო სახელისა ႣავიႧ. ფულის აშიებზედ იხილვებიან ასონი; ႵႭ ႳႢႦ, რომელიც წაიკითხვის: დავით ქორონიკონსა 467, ანუ 1247 წ.

მეორე გვერდზე არაბულად აწერია:

ძალითა ღვთისათა
და წყალობითა გაიუკის
ყაანისათა.... *)
დავით

მოჭრილი ტფილისს.

ტფილისის სახელი ამ ფულზედ ცხად ჰყოფს, რომელ იგი (ფული) ეკუთვნის დავით სოსლანსა და არა დავით ნარისა, რადგან ამ ორთავე მეფეების დროს საქართველო გაიყო ორ სამეფოდ: ამერეთისა და იმერეთისა და პირველში მეფობდა სოსლანი, მაშასადამე ფულსაც ამერეთის სატახტო ქალაქში მოსჭრიდა მხოლოდ სოსლანი და არა ნარინი.

## ფულნი დიმიტრი II-სა, თავ-დადებულისა.

**№ 1.** პირველი გვერდი. ფულის შუა-გულში არის ქართულის ხელით ასო Ⴃ და მას შინა Ⴋ. ამის გარეშემო იხილ-

*) ყაანის ანუ ყაენის ქართულ ფულებზედ აღმოკითხვა არ უნდა გვაკვირვებდეს: ამ დროს საქართველო ჩავარდნილიყო მონგოლთა ხელში და ულუ-ყაენი თვისის დიდ-ძალი ჯარით მძვინვარებდა როგორც საქართველოში, ისე სომხეთში, და საზოგადოდ, მცირე-აზიასა და მისირიაში; ამ ქვეყნების დასაპყრობად ულუ-ყაენმა წაიყვანა 100,000 კაცი ქართველი.

კება ოთხ-კუთხი, რომელიც ჰზის სხვა არა სრულს ოთხ-კუთხში, ასე რომ მეორის ოთხ-კუთხის კუთხეები გასულია პირველის ოთხ-კუთხის გვერდებსა. ნაქვთი ესე იქმნებოდა რვა კუთხოვანი, თუ დასრულებულიყო ზეით კუთხითა და არა მრუდის წრითა. ოთხ-კუთხის მარცხნივ მხარეს ჰზიან ასონი ႣႫ. პირველი ზეით და მეორე ქვეით. ხელ-ნართულნი ⴃⴋ და ასონი ႣႫ დანიშვნენ: დემეტრე მეფეთ-მეფე.

მეორე გვერდი. სახე, რომელიც არის ფულის შუა-გულში, წარმოადგენს განსხვავებულსა ნიშანსა რასმე, ვითარცა თამარ მეფის ფულთა ზედა, ანუ არის ნართულის ხელით ასოები, რომელნიც მე ვერ გავარკვიე. ქართული ზედ-ნაწერი ამიებზედ წაშლილია, იხილვებიან რამდენიმე არაბული ასონი სტყვისაგან ტფილისი.

ბარათაშვილის წინად ნუმიზმატიკოსთ ზემორე აღწერილნი ფულნი დიმიტრი II-ის ფულებად არა ჰგონებიათ, არამედ დავით სოსლანის მეფეთ-მეფის. მაგრამ ბარათაშვილს ეს ფულები უცვნია დიმიტრი მე-II-ის ფულებად. ერთ ფულზედ (№ 2) ბარათაშვილს, გარდა ზემორე ნაჩვენებ ასოებისა, კიდევ აღმოუკითხავს ერთი ასოც, სახელდ. Ⴔ. მრავალი განმარტების შემდეგ ეს ასო უცვნია ქრონიკის აღმნიშვნელ ასოდ და რადგან Ⴔ ჰნიშნავს 500 და ეს ქრონიკა შეესაბამება დიმიტრი II მეფობის ჟამს, ამიტომ ეს ფულებიც უსათუოდ მოჭრილნი უნდა ყოფილიყვნენ დიმიტრი თავ-დადებულისაგან.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ის ფულნი, რომელნიც მოუჭრია ჯელალ-ედინს. ამას მოუჭრია სპილენძისა და თითბრის ფულნი. ერთ ფულის პირველ გვერდზედ არაბულად აწერია: სულთანი უმაღლესი. მეორე გვერდზე: ჯელალ ედ-დუნია ვედ-დინ ესე იგი: დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა.

სულტანი ჯელალ-ედდინ იყო ძე მაჰმედ შაჰისა, რომელიც ხვარაზმის მეფე იყო. ეს შაჰი ჩინგის-ხანმა ტახტიდამ ჩამოაგდო. ჯელალ-ედინი მონგოლთა შიშისა გამო დიდის ჯარით წამოვიდა სპარსეთიდამ და დაიპყრო სომხეთი და საქართველო რუსუდან დედოფლის დროს. ჯელალი მოჰკლეს ქურთებმა ქორონიკონს 450 (1230 წელს).

გეტტინგენის უნივერსიტეტის ფულთა კრებაში ბარათაშვილს უპოვნია მონგოლთა ერთი ფული, რომლის პირველ გვერდზე არაბულად აწერია (სამ სტრიქონად):

სულტან მაჰმედ
ჴაზან ყაანი
ღმერთმან განაგრძოს მეფობა მისი.

მეორე გვერდზე ოთხ-სტრიქონად აწერია ქრისტიანებრივი ლოცვა, ბოლო სტრიქონში ქართული ასოს Ⴃ-ს წინ ჰზის ჯვარი. მაგ.:

სახელითა მამისათა
და ძისათა და სულისა
წმიდისათა, ღვთისა
მხოლოჲსათა ✝ Ⴃ.

იპოება მეორე ფულიც მონგოლთა, რომლის პირველ გვერდზე აწერია:

ყაანისა
არღუნ ხანისა
მოადგილისა
ფული (ანუ სიქა)

ამ ფულის მეორე გვერდზე აწერია ისეთივე ლოცვა, როგორიც იყო ზემორე ხსენებულ ფულზე, ხოლო ჯვრის შემდეგ არ მოიპოების ასო Ⴃ.

## რამდენიმე სიტყვა ამ ფულებზედ.

ამ წყობის ფულების ზედ-წარწერიდამ სჩანს, რომ ქართველნი აღწერილს დროს სრულიად გამოსულან ბიზანტიის იმპერატორით დამოკიდებულებიდამ. არც ფულის მოჭრილობა ემსგავსება ბერძნული ფულების საქმეს და არც მათ ზედ-წარწერაში არის რამე მსგავსება «ვიზანტიურისა». მაგრამ არა თუ დიმიტრი I-დამ,—საიდანაც იწყობა მესამე წყობა ფულებისა,—ქართველნი იქნენ დამოუკიდებლობას ბერძენთაგან, არამედ დავით მესამიდამ. ამ დიდებულმა მეფემ საქართველო სრულიად განათავისუფლა გარეშე დამოკიდებულობიდამ, შეაერთა ამერეთი, იმერეთი, აფხაზეთი, რანი, ტაო და შეიქმნა კესაროსი ორთავ ზღვათა შუა მდებარე ქვეყნისა — საქართველოსი. ამას მოგვითხრობს, როგორც ჩვენი მატიანე, აგრეთვე ფულნი, მოჭრილნი დავითისაგან (იხ. ზედ-წარწერა ფულის № 5, მეორე წყობაში),

სხვა მეფეთა ფულების წარწერა (მაგ. თამარისა, გიორგი IV და რუსუდანისა) მკითხველს აფიქრებინებს, რომ, რადგან მათ ფულებზედ მოიპოვება არაბული წარწერანი, ამიტომ მაშინ ქართველნი ჩაცვივნულნი ყოფილან არაბთა გავლენასა და უფლების ქვეშე. ეს ერთის შეხედვით, თითქო, ასრე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა იყო. ხსენებულ დროს საქართველო ისე ძლიერი და ვრცელი იყო, რომ გარდა ქართველთა ქვეყნებისა, შეიცავდა მრავალს სხვა მხარეს, საცა სცხოვრობდნენ არაბნი და მაჰმადიანნი. ამიტომ ხსენებულ მეფეთა ფულებს ქართულ-არაბულის ზედ-ნაწერით უფრო მეტი გასავალი ექმნებოდა, მინამ მარტო ქართულის ზედ-წარწერით, რომ მხოლოდ ამ მიზეზით ამ ნაირად უჭრიათ ფულები, ჩვენის

ფიქრით, მტკიცდება იმითაც, რომ თვით ძლიერნი მონღოლთ ყაენნი საქართველოს აოხრების შემდეგაც სჭრიან ფულებს, რომლებზედაც არა თუ მარტო ქართულ-არაბული წარწერაა, არამედ ქრისტიანული ლოცვაც და ჯვარის გამოსახულობაც. შემდეგში კი, გიორგი IV-დამ და რუსუდანიდამ საქართველო რომ სრულიად დასუსტდა—გაიყო რამდენსამე სამეფოდ და რამდენსამე სამთავროდ,—მაშინ ქართველთ მეფეებმაც სრულიად დაჰკარგეს უფლება ეჭრათ ფული. საქართველოში დიმიტრი თავ-დადებულიდამ (1289 წ.), ვიდრე მეფის ძე ბაქარამდე (1716—1719) იხმარებოდა ან სპარსეთიდამ შემოსული ფული, ან სტამბოლიდამ, ან თვით მფლობელნი შიგ საქართველოშივე სჭრიდენ ფულსა ქართველთათვის. აი მიზეზი, რომ 1289—1716 წლამდე მოჭრილ ფულებზედ ვერა ვპოვებთ ვერც ქართულ ასოებსა და ვერც ქართველთ მეფეთ სახელებსა. მეფეთა უფლება ამ დროს სრულიად დათრგუნვილიყო განაწილებულ საქართველოსთან ერთად და მეფენი ითვლებოდენ არა ფაქტიურ მეფეებად, არამედ ვასალებად სულთანთა, ან და სპარსეთის შაჰთა, გარდა ამისა საქართველოს ნაწილები—ამერეთი და იმერეთი ითვლებოდენ სპარსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფობის ნაწილებად, რომლებშიაც, როგორც პროვინციებში, სახელმწიფო ფული თავისუფლად სადებოდა.

ამ აღნიშნულ დროს საქართველოში ფულის ჭრის ხელოვნება ისე მაღლა მდგარა, რომ «ქართულნი ფულნი თავის სიმშვენიერით სჯობიან მაშინდელი დროის ბიზანტიურსა და მუსულმანთ ფულებსაცა. რუსუდანის ფულებს «სიკეთით და სიმშვენიერით ვერ შეედრებიან ვერც ერთი ქართულნი ფულნი, სხვა მეფეთა და დიდებულთაგან მოჭრილნი», ამბობს მ. ბარათაშვილი.

## წყობა მეოთხე.

ამ წყობაში აღწერილნია ფულნი: 4 მეფის მის ბაქარისა, 4 თეიმურაზ II-სა, 4 თეიმურაზისა და ერეკლე I-სა; 10 მეფის ერეკლე II-სა და 4 გიორგი XIII-სა.

### ბაქარის *) ფულნი.

ბაქარის ფულთაგან ბარათაშვილს უპოვნია მხოლოდ 4 სპილენძის ფული. ყოველ ფულის პირველ გვერდზე გამოსახულია ფარშავანგი, მხოლოდ ზოგზე ფარშავანგი გაშლილის კუდით მიდის მარჯვნივ, ზოგზე კი მარცხნივ. ფარშავანგის გარეშემო აწერია ასონი ბ, ქ, რ, რომელნიც ხმოვანი ასოების დამატებით გამოსახვენ «ბაქარს.» ფულების მეორე პირზე არის შემდეგი წარწერა არაბულის ასოებით: «ფული იჭედა ტფილისს.» ფულები (№ 3 და 4) სხვაობენ ფულებისაგან (№ 1 და 2) მით, რომ მათზე აწერია თათრული ქრონიკა— 1131 წ. (1718 წელი).

---

*) ბაქარი იყო ძე ვახტანგ VI-სა, სჯულ-მდებელისა. როდესაც ვახტანგი დიდს უარზედ იდგა და არ მაჰმადიანდებოდა, მაშინ სპარსეთის შაჰმა მას ჩამოართო მეფობა და მისცა მის პირ-მშო შვილს გამაჰმადიანებულს ბაქარს, რომელსაც სუსტად უმეფნია საქართველოში 1616 წ. 1719 წ. ამ წელს ვახტანგი იღებს მაჰმადიანობას და მით ისევ უბრუნდება მას ტახტი. ბაქარ მიდის რუსეთში და ეძლევა მას გენერალ-ლეიტენანტობა. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ, როდესაც სპარსთ გაათხრეს მამისაგან ტფილისში დაარსებული სტამბა, ბაქარმა ამისთანავე სტამბა დააარსა მოსკოვში და დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. სხვათა შორის ალბეჭდა: დაბადება, რომელიც ეხლაც იხმარება საქართველოს ეკლესიებში.

## ფულნი თეიმურაზ II-სანი.

თეიმურაზის სპილენძის ფულებზედ გამოსახულია ოთხ-ფეხი ცხოველი, მსგავსი ლომისა, რომლის გარეშემო დასმულ-ნია მხედრულნი ასონი: თ, მ, რ, ზ. ხმოვანი ასოების და-მატებით გამოვა «თეიმურაზ». მეორე გვერდზე არაბული ოთხ-სტრიქონიანი წარწერაა:

და.
იჭრ-
ფული
ტფილისში

ჭ. ი. ფული იჭრ-
და ტფილისში.

მეორე №-ის ფული სხვაოს სხვათაგან მხოლოდ მით, რომ მას მცირე გვერდზე ხსენებული წარწერის გარდა აწერია არაბული ქრონიკა: 1160 გიჯრისა ანუ 1747 წელი.

## ფულნი თეიმურაზ და ერეკლესნი.

№№ 1 და 2 ფულების პირველ გვერდზე გამოხატულია ორნი ფრინველნი, რომელნიც უყურებენ ერთმანეთსა. მეორე გვერდზე ხუთ სტრიქონიანი არაბული წარწერაა, მეორე და მესამე სტრიქონების თავ ბოლოში ქართულნი ასონია, აღსა-ნიშნავად მეფეთ სახელებისა. შიგ შუა გულში არაბულნი ციფირნია, აღსანიშნავად წლისა. მაგ.

ღვთის
მონანი
თე. 1166. ერ.
ტფილისს
იჭედა.

ესე იგი: ღვთის მონანი: თეიმურაზ და ერეკლე. იჭედა ტფილისს, 1166 წ. (1752).

ფულების №№ 3 და 4 პირველ გვერდზე გამოსახულია ფრინველი, რომელიც ჰზის ხეზედ, მას დაჰფრინებია სხვა ფრინველი. მეორე გვერდზე თუმცა წარწერა მსგავსია პირველ-თა №№ ფულებისა, მაგრამ ამათზე წლიწადი ჰზის სხვა, ესე იგი 1167 ანუ 1753.

## ერეკლე II ფულნი.

№ 1. პირველი გვერდი. ნიშანი ხელმწიფეთა (ბურთი ჯვრით და გვირგვინით) ამის მარჯვნივ იხილვება სკიპტრა და მარცხნივ ხმალი და სასწორი.

მეორე გვერდი განიყოფება საზით. ზედეთ ნაწილში ფულისა ფარის შუა-გულში ჰზიან სამნი ასო-მთავრულნი ასონი: ႤႰ Ⴋ, ႫႴ, რომელთაც აქვთ ქარაგმა. ფარის აქეთ-იქით ვარსკვლავნი, მარჯვენა მხარეს რომ ვარსკვლავია მის ზეით მოჭრილია ზედ სიქანავრავე და მას ზედა წარიკითხება სახელი მეფისა ერეკლესი ჩართულის ხელით. საზის ქვეშ იხილება არაბული ზედ-ნაწერი და წელი, რომლისაც უკანასკნელი ციფრა არა ჰსჩანს. წარწერანი წარიკითხვიან: ერეკლე; ტფი-ლისს იჭედა 116. წელს.

ერეკლეს სხვა ფულების პირველ გვერდზე გამოსახულია: ზოგზე თევზი, ზოგზე ერთ-თავიანი და ზოგზე ორ-თავიანი არწივი. მეორე გვერდზე აწერია: № 4—1160 წ. გიჯრისა ანუ 1776 წ., № 5 — 1202 (1787 წ.), № 6—1207 (1786).

## ფულნი გიორგი XIII-ისანი.

პირველი გვერდი. ფულის შუა-გულში თევზი იყურება მარჯვნივ, გარეშე ამისა იხილება სამი წერტილი.

მეორე გვერდი განიყოფება ხაზით არაბულის ასოებით ორ-ნაწილად: ზეით ჰზიან ასო-მთავრულნი ასონი, დამნიშნველ-ნი სახელისა გიორგი და ქვეით არაბული ზედ-ნაწერი: იჭედა ტფილისს, 1113 (1798 წ.).

---

გიორგი მეფით თავდება ქართული ფულის ჭრა. ამის შემდეგ ფული იჭრებოდა რუსეთის მმართველობისაგან. ტფი-ლისში დაარსდა ზარაფხანა, რომელშიაც პირველად მოიჭრა მენდალი. ამ მენდლის პირველ გვერდზე გამოსახულია ორ-თა-ვიანი, მფრინავი არწივი, რომლის გულზედ ჩართულის ხელით გამოჭრილია სახელი იმპერატორის: ႠႪႤႵႱႠႬႣႰႤ Ⴀ. არწივი, ღლანჭებში მჭირავი ოქროს მატყლოსნის ვერძისა, დაუშვებია ქვეყნის სფეროსაკენ, რომელზედაც გამოსახულია ივერია—კოლხიდა; ზეით იხილება თანა-ვარსკვლავები დიდის დათვისა და გარს ზედ-ნაწერი.

«წარტაცებულსა უკუმოიღებს.»

მეორე გვერდზე მენდლისა ხუთ-სტრიქონად აწერია:

ტფილისის

ზარაფხანა

გაიხსნა

**15** ენკენისთვეს

**1804 წ.**

მოსე ჯანაშვილი.

---

## განცხადებანი.

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრო-
ბითი გაზეთი.

# «თეატრი»

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირდაპირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრის (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, თეატრი თვალს ადევნებს კიდევ ჩვენ ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით თეატრში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ „თეატრს“ აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი „თეატრი“-სა: წლით, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანათი, ნახევარის წლით—სამი (3) მანათი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელისმოწერისათანავე 3 მანათი, მაისში 1 მან. და მარიამობის თვეშიაც 1 მ. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრის» რედაქციაში და გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ძმ. ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ редакція „Театръ“.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

გამოვიდა ახალი სახელმძღვანელო წიგნი ქართული

# ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის

შედგენილი

მიხეილ ნასიძისაგან.

შინაარსი: 1. პატარ-პატარა სტატიები, ლექსები და იგავები, 2) ზღაპრები. 3) საქართველოს ბუნებიდამ და ცხოვრებიდამ (ნიმუშები სამშობლო მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ). 4) საქართველოს ისტორიიდამ.

ფასი 75 კ.

წიგნი ისყიდება თბილისში ყველა წიგნის მაღაზიებში, წიგნების დაბარება შეიძლება **მხოლოდ** «ცენტრალური წიგნის მაღაზიიდამ», რომელიც 15% (მანათზე 15 შაურს) დაუთმობს, ვინც არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას გამოიწერს. ერთი წიგნის დამბარებელმა ორი შაური გასაგზავნი უნდა დაუმატოს.

«ცენტრალური წიგნის მაღაზიის ადრესი: г. Тифлисъ, Центральная Книжная торговля.

---

გრ. ჩარკვიანის

# ქართული წიგნის მაღაზია

გადავიდა ამავე ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემინარიის პირდაპირ ზუბალოვის სახლებში.

## ჟურნალი «ნობათი»-ს გამოცემა 1885 წელში.

(წლიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნობათი“

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორადაც 1884 წ.

ჟურნალზე ხელის-მოწერა. წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც—მაისში; რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა სურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ჟურნალ «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7. და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—მგ. ფურცელაძესთან და თელავში—იგ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала «Нобати».

რედაქტორი-გამომცემელი ა. ხ. ღულაძე.

დიდს არხს შეხვდა, რომელზედაც ცხენმა გადახტომა ვერ შეიძლო და არხში ჩავარდა. და ავღანმა თოფიუზი თავში სცა და შუბით დახვრიტეს და ამის სიკვდილის შემდეგ ომი დასცხრა»...

## 1865 წ. დეკემბრის 20 უთარგმნია მდივანოვს «არაქელის» ისტორიიდამ

გვ. 72. «ჯალალ-ოღლიმ რა იხილა იმისთანა დიდი შემუსვრა შაჰ-აბაზისაგან თვისის მხედრობისა, მოუწოდა თვისთან აზრუმის გარემო მთავართა, გერმო ქართველთა და უბრძანა მათ—თავ-თავიანთი მხედრობით აღკაზმულიყვნენ იარაღით და მზა ყოფილიყვნენ საომრათ, და ყველანი კანის ქალაქში დახვედროდნენ», რომ ერთად წასულიყვნენ სპარსებზედ.... თავრიზზე რომ მივიდნენ, სპარსებისგან დამარცხდნენ ოსმალნი და მათი მხლებელნი»...

გვ. 79. «წარვიდნენ ზოგნი ჯალალეთაგანნი პოვანავანქსა (იოანეს მონასტერში) და ყოველნი მუნ მყოფნი განიკლტნენ და შეიპყრეს ერთი ავად-მყოფი იღუმენი, რომელიც დიდათ სტანჯეს დ[illegible]ის გამო მან უჩვენა მათ ქვაბი და მათ გაცარცვეს ყოველივე, რაც კი იქ იპოვებოდა და ის იღუმენიც მოჰკლეს; წაიღეს ურჯულოთა მრავალი სიმდიდრე, წიგნნი, აგრეთვე ფარშმანგი ქრისტეს პირისა და ნაწილი რაიმე ეკლისა გვირგვინისა (ქრისტესი) და მარჯვენა წმიდის სტეფანე პირველ მოწამისა და სხ.»...

გვ. 93. «ვიდრე აქამომდე თავისთან ჰყვანდა შაჰსა შვილის-შვილი ალექსანდრე კახეთის მეფისა, თეიმურაზი, და ახლა განუტევა იგი წასასვლელათ თვისსა მამულს ქვეყანაში, მისცა

ბრძანება უფლებისა და მფლობელობისა, რათა იმოქმედოს საქმესა შინა თავის მეფობისასა, მარამ „იყავით ერთობასა და მორჩილებასა ქვეშე მეფეთა სპარსთაო“, და თეიმურაზი წავიდა კახეთს და მამულსა შინა თვისსა მოქმედობდა მეფობის უფლობითა და იყო მორჩილი სპარსთა»...

გვ. 94. «შემდგომად ამისა შაჰ-აბაზი ყოვლითა ბანაკითა თვისითა აიყარა ქვეყანისაგან ინჯისა და წარვიდა ქალაქს თბილისსა, მშვიდობით შევიდა და მშვიდობით გამოვიდა, რამდგან ერთობა იყო შორის სპარსთა და ქართველთა და წარვიდა თემსა გელაქნურისასა და დაებანაკა მუნ ბანაკითა თვისითა»....

## სვიმონის დროს ვითარის მიზეზით მოუწოდა შაჰ-აბაზმა ქართველთ მეფესა და ვითარის მოხერხებით დაიმორჩილა იგინი, 1604 ან 1605 წ.

თავი თ, გვ. 95.

«დროსა შაჰთამაზისა განძლიერდნენ სპარსნი სხვათა ნათესავთა ზედა და მეტათ ემტერებოდნენ ქართველთა და შაჰთამაზმა გამოართო მეფესა მათსა მზევალნი, სიმონ-ხანსა—ძმა და ასული და ეგრეთვე კახეთის მეფესა ალექსანდრეს ძე კონსტანტინე და ჰყვანდნენ ალექსანდრეს, სხვანიცა ორნი ძენი—დავით და გიორგი, რომელნიც მამასთან იმყოფებოდნენ. ხოლო კონსტანტინე აღიზარდა შაჰის კარზედ, გამოაცვლევინეს სარწმუნოება, ანუ აგმობინეს ქრისტიანობა და გამოჩენილი კაცი შეიქნა შაჰის კარზედ». მოკვდა შაჰთამაზ და გამეფდა ძე მისი შაჰისმაილ $1^1/_2$ წელს, და შემდგომად მოჰკლეს იგი და შემდგომად მისა იქმნა მეფედ ძმა მისი შაჰხუდაბანდა 9 წელსა

და შემდგომად ამისა იქმნა მეფედ ძე მისი, ქვეყნის მაოხრებელი შაჰ-აბაზი, რომლის დრომდე კოსტანტინე იქ იმყოფებოდა. როცა შაჰ-აბაზი თავრიზს, ნახჩევანს და ერევანს მოვიდა და მოიმძლავრა თავის უფლებასა ქვეშ, მაშინ კოსტანტინე თან ჰყვანდა.

გვ. 96. «ერთსა დღესა სანადიროთ იყო შაჰი ერევანს და ებრძოდა ოსმანთა, რომელნიც ერევნის ციხეში იყვნენ; იგი იყო მდიდარი განძრახვასა შინა ბოროტისასა და განიძრახა შაჰ-აბასმა, რათა მეფენი ქართველთანი შეიპყრას, რომლისათვისაც წარგზავნა მათთან მომწოდებელი, ე. ი. მათი მოცემული მზევალი კოსტანტინე ძე ალექსანდრესი და სიმამრი თამაზოღლისა, ათაბეგის ძმისა, და მოუწოდა გიორგი მეფესა ტფილისისასა და გიორგი მეფე იყო ძე დიდის სიმონისა, რომელიც შემდეგ სიმონ-ხანის შეპყრობისა ეს გიორგი დაადგინეს მეფედ, და შაჰმა როცა წარგზავნა მომწოდებელნი ქართველთ მეფეთა, მოიხსენა და უთხრა მათ რომ მტკიცეთ იყვნენ პირველს პირობაზედა, რომელიც ჩვენთა წინაპართ დაამტკიცეს, თანამდებ ხართ იშრომოთ და მოხვიდეთ შესაწევნელად ჩვენდა, რადგანაც ვართ ბრძოლასა შინა მტერთასა»...

მეფენი ქართველთა ამ მოქმედებაზედ დაბრკოლდნენ, რამეთუ არ ენებათ მოსვლა და შემდეგ მრავლის განზრახვისა და რჩევისა, თავს იდვეს წარსვლა, არა თუ თავიანთის ნებით, ანუ უცოდინრობით, არამედ უღონობით, რამეთუ არ იყვნენ თვით მპყრობელნი, რომ შესძლებოდათ უკუდგომა ოსმალთა და სპარსთაგან, არამედ იყვნენ უღონონი და უძალონი, რომელთათვისაც საჭირო იყო, ამა ორთაგან რომ ერთის ხელში დაშთენილიყვნენ, რამეთუ პირველად იყვნენ ხელთა შინა სპარ-

სთა დროსა შაჰთამაზისა, გარნა ლალა-ფაშა—ოსმანთა სარ-დალი—მოვიდა და დაიპყრა ქალაქნი ქართველთა და აღაშენა მუნ ციხენი და დაადგინა ინგიჩარნი, და განსდევნა იგინი სამონ-ხანმა და შემდეგ სხვა მხედართ-მთავარი ოსმანთა ჯაფარ-ფაშა მოვიდა და შეიპყრა სიმონ-ხანი და წარგზავნა ხონთქარ-თან და იქ მოკლეს სიმონ-ხანი და შვილის-შვილი მისი და ამისთანა მიზეზისათვის განსდგნენ ქართველნი ნათესავთაგან ოსმანთა, და აწ შაჰი თხოულობს მათს მოსვლასა და მორჩი-ლობასა და იმიზეზებს უწინდელს პირობასა, რომელიც მათ წინა-პართ დროსა უთქვამთ და ამათ არა თუ პირობისათვის, ან უცოდინრობით, არც თუ ნებითა, არამედ უღონობისა გამო, ვინიცობა არის შაჰმა დაასრულოს ბრძოლა ოსმანთათანა და უკუიქცეს ქართველთა ზედა და ამისთვის განიძრახეს აღსრუ-ლება ნებისა მისისა, რათა მით უკუ-აქციონ იგი თავიანთ მხა-რეს, რომ დარჩნენ მშვიდობასა შინა და ის არ იცოდნენ, თუ მომავალი მისის ხელით იქნების წარწყმედა და მიმძლავრება თავისთა და თავიანთის ნათესავისა.

გვ. 98. ორნი მეფენი ქართველთა—ალექსანდრე და გიორგი მოვიდნენ ერევანს შაჰის სანახავათ და შაჰსა, ვითარ-ცა ბუნებით აქვსთ ნათესავთა მათთა გულარძნილობა—პირვე-ლათ სიყვარულით და დიდებით მიიღო იგინი და პატივსცა, რათა ესათნოოს მათს გულებსა და მხილველთა თვისთა; მშვი-დობით მიიღო, ვიდრე ერევნის ციხეს აღიღებდა. და შემდეგ გრძნეულობითა და ეშმაკობისა ხელოვნებითა თვისითა სასმელი რაიმე სასიკვდილო მოამზადა გიორგი მეფისათვის, რათა შემ-დეგ მოკლეს დროსა მოაკვდინოს იგი და გიორგი მეფემ მას დროს არ უწყოდა ამ გვარი მისი ხელოვნება, რომელიც მის-თვის განემზადებინა შაჰსა და ამისთანა მოქმედებისა გამო სი-

ყვარულით და საბოძვრით განუტევა გიორგი ადგილსა თვის-სა და იგი წარვიდა ერევნიდამ და მცირე დღეთა შემდეგ მო-ვიდა ქალაქსა თვისსა ტფილისს, წადილისა და მოქმედებისა-მებრ შაჰისა. ნათესავთა და თავადთა ჰყვეს მეფედ ძე მისი ლუარსაბ. ჰასაკითა ყრმა.

და ალექსანდრე მეფე დაუტევა თვისთან შაჰმა და არა მტევა წასასვლელად და თვისთან წარიყვანა და ატარებდა აქა-იქ და ითხოვდა მისგან მზევალსა. ამაზედ ალექსანდრე უღო-ნობასა შინა იყო შთავარდნილი და ნებივ-უნებლივ მოაყვანი-ნა თავის შვილის-შვილი—თეიმურაზ—ჰასაკითა ყრმა და მის-ცა მზევლად შაჰსა და შემდეგ შაჰმა მისცა ბრძანება წარსას-ვლელად და შაჰისაგან განტევებული ალექსანდრე წარვიდა თავის ადგილს, და თეიმურაზი იყო ალექსანდრეს ძის დავითის ძე.

თავი, ი, გვ. 99. მეორე მოთხრობს შაჰ-აბასის გულარძნილობისა, რომელიც მეორეთ ჰქმნა ქართველთ მეფეთა ზედა. კახეთის მეფე ალექსანდრემ თავის ნებით მისცა მეფო-ბა თავის შვილს დავითს, რომელიც მოქმედობდა მეფობის უფ-ლებითა და მეორე ძე ალექსანდრესი გიორგი შეორგულდა მასთან და მოკლა ძმა თვისი დავითი, რათა თვით იყოს მე-ფე, და მამა მათი ალექსანდრე ცოცხალი იყო და არ მისცა მეფობა გიორგის, არამედ თვით მიიღო მეფობა ალექსანდრემ.

და ამასა დროსა ღრმა მანკიერმა შაჰაბაზმა, ბოროტების ხელოვნების მომპოებელმა, განიძრახა ახალი რაიმე ხელოვნე-ბით დათურგნვა და ორთ განხეთქილების ჩამოგდება შორის ქრისტიანე მეფეთა და სწრაფათ მოუწოდა წინაშე თვისსა წი-ნათ თქმულს ქრისტიანობის დამტევებელს კოსტანტინეს, ალექსანდრეს ძეს. იუბნა გულსა თანა მისის ნების სურვილისა და სათნოებისამებრ მისისა, და უთხრა მას—ამიიღე შენ მხედ-

რობა საკმაო ჩვენის მხედრობათაგან, რომელსაც მოგცემ შენ და წადი ქვეყანასა შენსა მამეულთასა; მოასხერხე და მოკალ მამა შენი ალექსანდრე და ძმა შენი გიორგი და შენ იქმენ მეფედ ადგილსა მამისა შენისასა»...

გვ. **100.** «და აწ თუ აქ ჩვენ ნათესავთა შორის, თუ მუნ ქართველთა შორის ნუ განაცხადებ წარსვლისათვის შენისა, თუ რომე არა მიხვალ ქვეყანასა შენსა მუნ სამყოფელად, და აჩვენე შენ გამოჩენილ მიზეზად და ყოველს უთხარ ესრეთ რომ —წარმგზავნა მე შაჰმა ამ მხედრობითა, რათა წარვიდე შამა-ხიის დასაპყრობლად, და მისვლის დროს შენს ქვეყანაში, როგორც მოიმარჯვო, ისრეთ ჰქმენ, თუ სიკვდილისათვის მა-მისა შენისა, თუ ძმისა შენისა, თუ ალებისათვის შამახიისა»...

რა მიიღო ესრეთი დარიგება გველმან მალვით ხვრელში მძვრელმა, წარვიდა მხედრობით კახეთს და მას დროს ვერ შე-ძლო აღსრულება წადილისა თვისისა, რადგანაც ეჭვი შეუვიდათ ქართველთ და იხილეს მის შორის არა წრფელი მოქმედება და რა იხილა მან, რომ სცნეს მომატყუებელი განზრახვა გულისა მისისა, ამისთვის იწყო თავისა თვისისა წრფელად და სის-წორეს ქცევით ჩვენება სათნოდ ყოვლისათვის ქართველთა, და მამისა თვისისა ქართველთ მხედრობისაგან შეკრიბა დიდი მხედ-რობა და ეგრეთვე სპარსთა ჯარითა წარვიდა შამახიაზე და ნათესავთა ქართველთა დიდად უნდოდათ წარწყმენდა მისი, რომელნიც დროსა ბრძოლისასა უკან დგებოდნენ და ერთგუ-ლად არ იბრძოდნენ, რათა იმ ომში ოსმალთაგან იქმნას სი-კვდილი მისი, გარნა ბოროტმა კოსტანტინემ სცნო და ესეც იცოდა, რომ ჯარსა სპარსეთისასა არ ძალუცდა ძლევა ოსმალ-თა და, ვიდრე რომ ებრძოდნენ ოსმანთა, დაუტევა საქმე ომისა და განივლტო პირდაპირ სპარსეთში და მივიდა შაჰთან, და

ოსმალთა აღხოცეს დანაშთენი მხედრობა სპარსთა და აღიღეს ნადავლი მათი»...

გვ. 101. «შაჰმა გვალადვე მოსცა კოსტანტინეს მხედრობა ვიდრე 30,000 და გამოგზავნა თვისსა ქვეყანაზე იმავე განძრახვითა, და იგი კოსტანტინე აჩვენებდა თავსა თვისსა, ვითარცა შენანებული ქრისტიანობის სარწმუნოების გმობისათვის, და ნებავს რომ გვალადვე უკუ-იქცეს ქრისტიანობაზე და, როგორც კეთილ-მორწმუნე ვინმე, იმ სახეთ ინება გულით მოვლა ქართველთ ეკლესიებისა და მონასტრებისა. და ამ მოხერხებით შეკრიბა სიმრავლე ეკლესიების ნივთებისა: ჯვარი, ზარძიმი, სასაკმევლე და სხვ. რაც ინება, და ყოველი ნივთეული დაჩეჩქვა და აჩუქა როჭიკად ჯარსა სპარსეთისასა, რომელნიც თან მოეყვანა, და რა ეს იხილეს ქართველთა, ეგმირათ გულსა და სულსა, და მაშინვე ინებეს სიცოცხლისაგან მოკლება მისი და ძრახვა ჰყვეს მის მამა ალექსანდრესთან, რათა მოკლან იგი, გარნა ალექსანდრე აბრკოლებდა ამ მოქმედებასა, და სცდილობდა საქმის ამის დასასრულისათვის. და ვიდრე ალექსანდრე იყო ამ განძრახვაში, განცხადდა ეს საიდუმლო კოსტანტინესთან და ესე აუშურა ადრევე და მოკლა მამა თვისი ალექსანდრე და ძმა თვისი გიორგი. დაიპყრო ხელსა თვისსა უფლება და მძლავრობა მათს ქვეყანაზე. შემდეგ ამისა კოსტანტინემ შეკრიბა ჯარი თვისი, და ეგრეთვე ქართველთაგან და წარვიდა შამახიაზედ და წარვიდა რა ერთი დღის გზას, მას დროს შეითქვნენ მხედრობანი ქართველთა, ოდეს გზას ვლიდნენ, აღსდგნენ კოსტანტინეზე და აკუწეს ნაჭერ-ნაჭრათ და მოსპეს ბოროტი თვისთაგან. და სპარსთა ჯარი, კოსტანტინესთან მოსული—სასტიკათ განრისხდნენ ქართველთა ზედა და ინებეს ომი ქართველ-ჯართან; ხოლო მათ აჩვენეს რამე ქა-

ღალდი, ვითომ იყოს შაჰისაგან მოწერილი მათთან ქმნად ამისა; მიუგეს ქართველთ პასუხად სპარსთა—რამეთუ ბრძანებითა შაჰისათა ვქმენით ისრედ და ამით დასცხრა გერძო-სპარსთა და არღა იბრძოლეს, განშორდნენ ურთი-ერთსა და წარვიდნენ თავ-თავიანთს ადგილს. ამით მეორეთ იქმნა მოსვლა კოსტანტინესი და სიკვდილი მისი. 1054 წ. სომხთა=551 წ. +1054=1605 წ.

გვ. 103. უფლება და ბრძანება კახეთის მეფობისა მიიღო ალექსანდრეს რძალმა, დავითის ქვრივმა ორი მიზეზისა გამო—1, რადგან კახეთის თავადთ ისე ისურვეს, რადგან იგი იყო ცოლი დავითისა, რომლისთვისაც ალექსანდრეს მიეცა მეფობა; 2, რადგან იგი იყო დედა ერთად-ერთი მემკვიდრის თეიმურაზისა. ვითარცა ჩვეულებისამებრ დასაცველათ მემკვიდრის მეფობისათვის თეიმურაზისა—იყო მძევლათ შაჰთან, რომელიც შემდეგ განჯის ციხის დაპყრობისა წარმოგზავნა შაჰმა და მოვიდა იგი კახეთს და იქმნა მეფედ სანაცვლოდ წინა-პართა თვისთა.

თეიმურაზის კახეთში გამოგზავნის მიზეზი ის იყო, რომ რაკი შაჰმა თავის მოსერხებით თეიმურაზის პაპა სამი შვილით ამოხოცა, მარტო თეიმურაზი-ღა დარჩა მემკვიდრეთ და იცოდა, რომ თეიმურაზის მეტს კახეთის თავადნი არავის მიიღებდნენ მეფედ, მეტადრე სპარსს.

## გვ. 103. მოთხრობა და მიზეზი საქართველოს აოხრებისა და ლუარსაბ მეფის სიკვდილისა შაჰ-აბაზ I მიერ. თავი, ია.

როდესაც ქართველთ მეფე გიორგი ერეკნიდამ უკუ-იქცა

და მივიდა თბილისს, გრძლად არ დაშთა ცოცხალი, არამედ მალე მოკვდა, რადგან შაჰს მოეწამლა,—და ქართველთ თავადთ მის მაგიერ დაადგინეს მეფედ ძე მისი ლუარსაბ, ჯერ ისევ ყმა; და ბრძანებითა ლუარსაბ მეფისა განწესდა რომელიმე კაცი თბილისის ქალაქზედ მოურავად, რომელსაც ეხლა ტარიღას (პოლიცმეისტერი) ეტყვიან და იყო კაცი ესე სრული საქმითა და ძლიერი განძრახვითა და გონიერი საქმესა შინა თვისსა და იყო წამოსადეგი და ძლიერ ტანადი, დიდი მებრძოლი და უძლეველი ახოვანი. და რომელსა მხარესაც იგი ყოფილიყო, ის მხარე მეორე წინააღმდეგ მხარეს სძლევდა და პირის-პირ მხედრობათა ვითარცა მხალთა აღხოცდა და გაჰკვეთდა დედა-მიწაზედ, რომლის კაც-კაცობას შემდეგ მრავალს ადგილს მოვიხსენიებთ, რომლისაც ნამდვილს სცნობთ.

კაცი ესე მოურავი არ იყო თვით აზნაურის-შვილი, თავადისა და არცა გამოჩენილის გვარისაგან, არამედ იყო დაბალის გლეხის გვარისაგან. და ჰყვანდა ერთი ახალ ასაკოვანი ქალწული მშვენიერი და ჩინებული კეთილ-სანახავი დაი კეთილჰაეროვანი სხეულითა და ჰასაკითა.»

გვ. **104.** «მეფე ლუარსაბ, რა მოიზარდა და მოვიდა ჰასაკსა 15 წ. ანუ 16 წ. მეტი, ან ნაკლები შეიქნა, რომლის დროს სურვილებითი ტრფიალების ნაწილი განძლიერდების კაცთა შორის, რომელიც თვისის უფლებით მიიზიდავს და შეიპყრობს კაცსა, ამა დროსა ლუარსაბს მოეწონა მოურავის და შეცდომილების ტრფიალებით და დიდათ უყვარდა იგი და თამაშობდა მასთან და შექცეოდა ფარულად, მარამ არ იყვნენ შეხებულნი, არამედ იყვნენ ორნივე ქალწულნი. ეს მოქმედება თუმცა რამდენსამე ხანს დარჩა ფარულად, გარნა შემდეგ გამოცხადდა ბრძანებისამებრ უფლისა და შეესმა მოურავსა და

ვინაცა იყვნენ მეშურნენი და ჯავრის შემნახავნი მოურავისა, ე. ი. ძენი ბოროტებისანი და წრფელობის აღმშფოთებელნი, მოიხსენეს ეს ამბავი წინაშე მოურავისა, აყვედრეს და პირს შესდეს, ამ მიზეზით მოურავი სულითა და გულით შეწუხდა და სიკვდილსა თვისსა ემიებდა, და ვერ ჰპოებდა, შემდეგ მრავლის შეწუხებისა და დრტვინვისა, რომელიც პირველად იყო ფარულად და შემდგომ ყოველთათანა განცხადდა; იტყოდა მოურავი , რომ «მოვჰკლავ ლუარსაბ მეფესა, ვინაიდგან არ ძალ-მიძს ესოდენის შერცხვენის ტვირთვა, რომელსაც პირის-პირ ჩემსა ამბობენ, რამეთუ შესარცხვენი არაკი შევიქენ შორის ქვეყნისა; დიდებულთა და ერთგულთა მეფისათა, ოდეს ესმოდათ ესე სიტყვანი მოურავისა, ეშიშვოდათ და ერიდებოდათ მოურავისაგან, რადგანაც იცოდნენ რომ შეეძლო თვით საქმით ასრულება, ევედრებოდნენ და ეხვეწებოდნენ ლუარსაბს, რომ მათის ვედრებით განშორდეს იმასთანა მოქმედებისაგან, რომელიც არაოდეს არ შვენის მეფობის სახელს და აგრეთვე ეუბნებოდნენ მუქარებასა მოურავისასა და ნუმც თუ საქმით აღასრულოს და მრავლის ვედრების შემდგომად თვისთა კეთილ-მყოფთაგან, მიუგო ლუარსაბმა — «არ ძალ-მიძს იმ ქალწულისაგან განშორება, რამეთუ სულის ოდენ მიყვარს იგი და რადგანაც ეგრე მეუბნებით, იცოდეთ, რომ, ვიდრე ცოცხალ ვარ, თვინიერ მისა, არც მე ძალ-მიძს ცოლის შერთვა და არც მას ქალწულსა ქმრისა; აწ იუბნეთ მასთან სჯულიერის რიგით ჩემთვის საცოლეთ და მიეცით ნიშანი, რომ ქორწილი ვქნათ და აღიხოცოს თქვენგან დრტვინვა».

თქმა ლუარსაბისა მოიწონეს ყოველთა თავადთა და დიდებულთა და აგრეთვე მოურავმაც ინება, უხაროდათ და დიდებას შესწირვიდენ ღმერთსა, რამეთუ აღიხოცა შფოთი მათ

შორის, და მისცეს ნიშანი ქალსა მას საცოლეთ ლუარსაბისა და ძმამა მის ქალისამა მოურავმა ძლიერ გაიხარა ამ საქმეზედ და ჰმადლობდა ლუარსაბსა; იტყოდა «მე ვარ მონა და მოსამსახური მისი, თავსა და საცოცხლესა ჩემსა დავსდებ მის ბრძანებისა გზასა ზედა, ვინაიდგან არა შეურაცხ-ჰყო არა დიდ-გვაროვნება ჩემი, რადგანაც მე ძესა გლეხისას მეტყოდნენ—რამეთუ იქმომდე სათნო იქმნა ჩემზე, ვიდრე რომ და ჩემი მიიღო ცოლად და დედოფლად თვისად».

გვ. 105. «გვარნა კოარტი (?) და ამპარტავანი და თავის მომწონნი გვარი ქართველთა, რომელნიც გვაროვნობას და წინა-პართ ჩამომავლობას ეძიებენ და მისდევენ, იგინი არა სათნო ექმნენ ამ საქმესა ზედა, რამეთუ ცოლნი დიდებულთა და თავად-აზნაურთა, რომელნიც იყვნენ დიდის გვარისანი და ასულნი პირველთ თავადთა, აღსთქნენ ცოლნი და დედანი და ეგრეთვე ქმარნი, შვილნი და ძმანი მათნი და არაოდეს არ მოიწონეს და არც თანხმა შეიქნენ ამ საქმეზედ, რამეთუ გამოჩენილნი მდედრნი ეტყოდნენ ქმართა და შვილთა თვისთა, თუ «ვითარ შესაძლო არს, რომ ჩვენ ვართ ასულნი დიდთა თავადთა და აზნაურთა და წავიდეთ და ვიახლოთ და თაყვანი ვსცეთ ქალსა მას, რომელიც არს ასული ერთის უბრალოს გლეხის კაცისა და უკეთუ მოაწონებთ მეფესა, რომ უკუ-იქცეს მაგ განძრახვიდამ და მიიღოს ცოლად ასულთაგანი მეფეთა—კეთილ არს, და თუ არა,—ჩვენ არაოდეს არ გვნებამს ხლება, თაყვანის-ცემა და მოკითხვა გლეხის კაცის ასულისა, რამეთუ მძიმე არს ეგ საქმე ჩვენთვის და, უკეთუ გნებამსთ, განგვიტევეთ ჩვენ თქვენის ცოლობიდამ და სხვა ცოლნი შეირთევით.» და ამაზედ იქმნა შფოთი, აღრეულება და დრტვინვა დიდი და შეიქმნა გრძლად განუკურნელი სენი მთელს ქართველთ გვარში, და

რაოდენსაც ცდილობდნენ მომწონი გერმონი, რომ მოეწონებინათ მოუწონარის გერმოსთვის, გარნა შეუძლებელ იქმნა მშვიდობიანად დაებოლოებინათ ეს საქმე; ხოლო თვით მეფე დაშთა უღონოთ ამ საქმეში და უთხრა მათ—«თქვენ იცით.» და თავადთა და დიდებულთა წარგზავნეს კაცი დადიანის ქვეყანაში და ასული დადიანისა დანიშნეს საცოლეთ ლუარსაბისათვის და ამის მიზეზით უკუდგა ლუარსაბი მოურავს დისაგან.

გვ. 106. «მოურავსა ამას, რომელსაც პირველში ჰქონდა დამკვიდრებული თვის შორის მხედრობა ბოროტი ეშმაკისა და ამან პირველმა შვიდი სხვაცა უბოროტესი თვისსა თანა მოასხა, მოვიდა და დაემკვიდრა ამ მოურავსა შორის და იქმნა მისგან უკანასკნელი უბოროტეს პირველისა, რამეთუ ფრშვინვიდა, ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახებდა, ვითარცა ლომი და აღმოიფშვინებდა ლუარსაბზედა, ვითარცა გეენიის მშვინავი ვეშაპი და ეძიებდა სასიკვდილოდ მას ორი მიზეზის გამო: 1, უწინარეს შერცხვენისათვის დისა თვისისა, და 2, უკანასკნელის შეურაცხ-ყოფისათვის და ეძიებდა, თუ ოდეს ჰპოვოს მარჯვე დრო, რომ მოჰკლას ლუარსაბი.

ერთგულნი დიდებულნი და გულ-მტკივარნი კეთილ-მყოფელნი ფრთხილობდნენ და იფარავდნენ ლუარსაბს და აფრთხილებდნენ რომ დაეცვა თავის თავი მოურავისაგან; თან არიგებდნენ მას—მოურავი მოჰკლავთო. ამ განზრახვით ერთ დღეს მეჯლისში და ღვინის სმაში მოურავს მრავალი ღვინო ასვეს, რომ მცირე რამ მოასუსტოს ძლიერებისაგან ღვინომ მოურავი, რომ ადვილათ შეიძლონ მოკვლა მისი, და როცა მოაწივა ჟამმა, მეფე გავიდა გარეთ და თავადთაგანთა ვინაც უწყოდნენ, ისინიც გარეთ გავიდნენ თითო-თითოთ და მოუწოდეს რომელსამე ჯალათს ლუარსაბთან, რომლისთვისაც

უნდა ებრძანებინა ლუარსაბს—შესულიყო იგი ჯალათი და მოეკლა მოურავი. ვიდრე ლუარსაბი ამას უბრძანებდა ჯალათს, მოურავის ერთმა მსახურმა მოჰკრა ყური, რომელიც მისა წინ მსვლელი—შათირი იყო; შევარდა იგი მსახური და უთხრა მოურავს: «აჰა მოდიან მოკვლად შენდა, რამეთუ ესრეთ ბრძანა მეფემ.» მოურავმა რა მოისმინა ესე სასტიკი შიშისაგან, ესრედ დაუტევა მან ღვინის სიმთვრალე (ესრე არსად დამთვრალიყო) და იმ დროს წელ-ღია—უქამროდ იყო და თავ-ღია, ფეხ-შიშველი. წამოხტა და შევარდა მეფის საჯინიბოში, სადაც მეფის ცხენები ებნენ, და, რომელიც საუკეთესო მრბენი ცხენი იყო, ამოსდო აღვირი და იქვე საჯინიბოში ჩულიან ცხენზედ შეჯდა შეუკაზმავზედ შიშისა გამო—არ მომკლანო. და ისე ცხენ და ცხენ გამოვიდა საჯინიბოდამ, გაუშვა ცხენი და სცა მათრახი, რათა თვით განივლტოს და ჰკარში მფრინავი იგი ცხენი სწრაფათ ივლტოდა. მრავალნი ლუარსაბის მხედართაგანნი მოასხდნენ ცხენებს და გამოუდგნენ, მარამ ორის მეტი ვერავინ მოეწია, რომელნიც მოურავმა შეაყენა ცოტა ხანს და დაუწყო მოურავმა ვედრება—«ნუ დამიჭერთო, გამიშვით, ჩემთვის წავიდეო». იმდენი შეაბრალა თავი, რომ მათ უსმინეს და არ შეიპყრეს, არამედ განუტევეს. და მოურავმან განვლო თბილისი. ღამე შევიდა და ღამევე განვიდა, და წარიყვანა თან რომელიმე მოენე, რადგან თვითონ სხვა ენა არა იცოდა-რა და წარვიდა იგი თემსა ალსტეფისასა, ყაზახის სულთანთან—იმ თემის პატრონთან, და აცნობა მას ყოველი გარდასავალი თავისა და ითხოვა მათგან—«შაჰაბაზთან წარმგზავნეთო», რომელიც იმ დროს ყაზლ-აღაჯს—შამახიის მხარეს იყო.

გვ. **109**. «ყაზახელთა მხედართ წარიყვანეს მოურავი ფირის-ფირ შაჰ-აბაზთან, შაჰმა დაუწყო გამოკითხვა მოურავსა

და ჰკითხვიდა—ვინაობასა, სადაობასა და რაისა გამო მოსვლასა. და მოურავი ყოველ კითხვაზედ რიგიანს პასუხს უგებდა და ეტყოდა:—«უკეთუ მფარველობასა ქვეშე თქვენის უფლებისა მიმიღებთ და შემიწყნარებთ, მე მრავალ საქმეში ვიქნები გამოსადეგი სამსახურსა შინა თქვენსაო». და დაშთა მუნ შაჰი თვისითა ბანაკითა რაოდენსამე დროს და შემდგომად აიყარა და წარვიდა ისპაანს და წარიყვანა თან მოურავი და დღითი-დღე წინ წარდგა მოურავი და დაწყნარებით წარვიდნენ, სანამ ისპაანს მივიდოდნენ. ყოველ შესაბამ შემთხვევაში შაჰი ელაპარაკებოდა მოურავს და სცნობდა მისგან ყოველსავე ქართველთ ქვეყნისა და გვარის ვითარებისა. გამოკითხვიდა სიმაგრესა ქვეყნისასა, სიბრძნესა მეფეთასა და თავადთა, სიმრავლესა ნათესავისასა და კაჟ-კაცობასა მხედრობისასა და სხვა რაიცა ენება და დაშთნენ მუნ ისპაანს. განვლო იმ წელმა და შევიდნენ მეორე წელსა შინა. ეტყოდა შაჰი მოურავს: «აჰა განვლეს დღეთა მრავალთა და ვითარის სახით დავიწყოთ მიზეზი, რამეთუ იმ მიზეზით შევჰკრიბოთ მხედრობა და წარვიდეთ ქართველთ ნათესავსა ზედა. გარნა მოურავს ენება ყოვლითურთ ლუარსაბის ჯავრის ამოყრა, რომლისაგანაც იყო ცუდი სახელი და შეურაცხ ყოფა თავის დაზე, რომლისთვისაც მოსულიყო მოურავი და იმ გზის სახით იყო ოზნობა და მისცა სახლი მისი შაჰ-აბაზსა და უთხრა: «ჰყავს ლუარსაბს ერთი და, სახელმწიფო შესაფერი ახალ ჰასაკოვანი ქალწული; ჩინებული სახისა და მშვენიერ სახილველი და ყოვლისფერით შესაშვენი, რომელიც არის შვენის, მხოლოდ უფალსა ჩემსა ხელმწიფეს, ითხოვე იგი მისგან შენთვის საცოლეთ და შემდგომ იმ ქალწულის მოყვანისა, დედა მისი მოითხოვე მის ქალის მიზეზობით და დაატყვევე აქ მის ქალწულის მიზეზობით და მით

ადვილ იქმნების მონადირება ლუარსაბისა და წარწყმედა და უკეთუ ამ განზრახვამ ასრეთ მიიღოს სისრულე—კეთილ არს, რამეთუ ადვილ არს და მალე იქმნების წარწყმედა მისი, და თუ არ შეისმენენ და არ მოგცემენ ქალსა მას, მაშინ მოუცემლობა მათგან იქმნება შენთვის მიზეზი წასასვლელათ მათ ზედა.“

მოუკლებელმა ეშმაკის ნებისამა მეორე საბივოროსმა შაჰ-აბაზმა შემდგომ ამ დარიგების მიღებისა მოურავისაგან, მისწერა ლუარსაბს და დედასა მისსა ლუარსაბის დის გამო, წერილი სიყვარულისა და სიმრთელისა, რომელზედაც გარეგანი აქვნდა ვითარცა სიტყვა ცხოვრებისა და შინაგან აქვნდა დუმილით მიწვევა სიკვდილსა ზედა და არსება მის მიწერილის საქმისა იყო ამის მაგალითისა, «გვნებამს ჭეშმარიტებით მტკიცე და შეურყეველი იყოს ხელმწიფობა ჩვენი და თქვენი, და სიყვარულით იყოს ერთობა ორის ნათესავისა—სპარსთა და ქართველთა და ჩვენ ყოველთავე მაგ მხრის თავადთა და ქვეყნის ზედამხედველობას მოგანდობთ თქვენ და თქვენ იზრუნეთ და აღასრულეთ ხელმწიფობის ყოვლება ჩრდილოეთის მხარეს, და ჩვენც სხვა მხრივ ვიზრუნებთ და ამის ერთობის ნიშანი და მიზეზი იყოს ეს, რომ ქალწული ასული თქვენი მოიყვანეთ ჩვენთან, რამეთუ იყოს პირველად სისრულე მოქმედებისა ამის და ნიშანი და კავშირი ერთობისა ორის ნათესავისა; მეორედ დედოფალი და ხელმწიფა იყოს ყოვლის ნათესავის მამაცთა»... ამ მაგალითით დაწერილი ქაღალდი წარგზავნა ქართველთ ქვეყანაში ქ. თბილისს ლუარსაბ და მის დედასთან. და რა წაიკითხეს წიგნი იგი, სცნეს რომ მოურავის შეგონებით და მტრობით იყო, რამეთუ ბოროტ ხელოვნებით იყო ყოველი სიტყვა იმ წიგნისა და არც თავაანთი წასვლა ინებეს, არც ასულის მიცემა,—სთქვა ლუარსაბის დედამ: «დროსა ოდესცა იყავ ერ-

კანს სამრად, მიგვიწოდე შენთან ჩვენ კეთილ-მყოფობის პი-ფყზობით, და ჩვენ წრფელის გულით, ვითარცა ჭეშმარიტი კეთილ-მყოფელნი და ხელმწიფენი მოვედით თქვენთან, და შენ მოქმედება მტერობისა მოიქმედე ჩვენთან, რამეთუ მოწამლვითა ქმარი ჩემი მოჰკალ და მე შემარცხვინე(?) და ჩვენ რომ ამის-თანა საქმე ვისილეთ შენგან, რაისათვის-ღა გავბედოთ კვალად მოსვლა შენთან. და უკეთუ ნამდვილად და დამტკიცებით მო-სვენებს ჩვენი გნებამს, როგორათაც სთქვი, ნუ შეგვავიწროებ და განრისხებით ნუ არევ მშვიდობასა ჩვენსა, არამედ დაგვი-ტევე ჩვენ—ვიყვნეთ დაწყნარებულნი, რამეთუ ესე მცირე უფ-ლება კმა არს ჩვენდა ჩვენის საჭიროებისათვის და იყავნ სი-მრთელით.“ და ესე პასუხი მიუვიდა შაჰ-აბაზს, ვიდრე რომ იყო ისპაანს, სადაც თვით და მოურავით ჰფიქრობდნენ და იყვნენ განძრახვაში ყოველ-დღე აოხრებისათვის საქართველოი-სა და დაცემისათვის ქართველთ მეფობისა და, რაც შაჰ-აბაზმა პირველ მისწერა, იგივე მეორეთ და მესამეთ მისწერა და წარ-გზავნა ლუარსაბთან და მის დედასთან, აგების ან ლუარსაბი, ან დედა და ან და მისი მოიწოდოს და ხელთ იგდოს, მაგ-რამ ვერ შეიძლო.

შემდეგ სამჯერ მიწერისა და მოწერისა, რადგანაც არ მოვიდნენ, შაჰმა აქცივა პირი თვისი საქართველოსკენ, შეჰკრიბა მხედრობა თვისი, აიყარა ისპაჰანიდამ და თან გამოი-ყოლა დამრიგებელი ბოროტისა და ქვეყნის აღმაოხრებელი მო-ურავი, ისპაჰანიდამ ნებით და წყნარად სვლით მოვიდნენ ყარა-ბაღში განჯას და დაიბანაკეს ზაფხულში. ეტყოდა შაჰი მოუ-რავს: „აჰა განვლო მრავალმა დრომ, როდისღა იქნების ერთი მიგვიყვანო საქართველოში.“ მოურავი უპასუხებდა: „ცოტა დროებაც მოითმინეთ, ჯერ დრო არ არის; როცა დრო იქნება,

მე თვით აგაჩქარებთ მჷნ წასასვლელადაო.» ამას იმიტომ ეუბნებოდა მოურავი, რომ ზამთრის პირზედ უფრო ადვილად შევიდოდა ქართლში სპარსის ჯარი და იმოქმედებდა, ტყეს ფოთოლი გაცვივნული ექნებოდა და ცხენით სიარული ადვილი იქმნებოდა; ამასთან ვინც ქართველნი გაქცეულნი და დამალულნი იყვნენ ტყეში და მთებში და მიუდგომელ ადგილებში, თოვლის მოსვლის გამო, ანუ აცივების გამო ჩამოვიდოდნენ ბარათსოფლებში, სადაც ცხენოსანი ჯარი სპარსთა მარჯვედ იმოქმედებდა—დაწვით, აკლებით და ხალხის ხოცვით. ასეც მოხდა.

გვ. 112. «ქართველებს რა ესმათ მოსვლა შაჰისა, იწყეს განძრახვა მომავალი საქმისათვის და იფიქრეს ერთობის ქმნა ორთავე მეფეთა—ლუარსაბმა და თეიმურაზმა (კახეთისა და გრემისა), რათა ერთმანეთის შეწევნით ძალიდგან წინააღდგომა სპარსთა და ამ მიზეზისათვის ლუარსაბმა და დიდებულთა გაგზავნეს კაცი კახეთს და მოუწოდეს თეიმურაზს თბილისში ერთობისათვის, რამეთუ თეიმურაზს ურთი-ერთის განყოფილებისაგან მრავალგზის მიელო შევიწროება და მტერობა სპარსთაგან; ამის გამო სულით და გულით ეწადა თეიმურაზს ერთობა. ამისათვის მალე მოვიდა ტფილისს, სადაც იქმნა დიდი სიხარული; აქ მეფენი და დიდებულნი შეჰფიცეს ერთმანეთს ერთობაზედ და ერთ-პირზედ მტკიცედ დგომისათვის, რომ ერთმანეთისთვის თავ-დადებულნი ვიყვნეთო და ქრისტიანობის გულისთვის მოვსწყდეთო.

გვ. 113. «დღესა მას, როდესაც მოვიდა თეიმურაზი ტფილისს, შაჰის ჯაშუშთა რაც ჰსცნეს და იხილეს, წავიდნენ და ყოველივე უამბეს შაჰსა და ნებისამებრ სურვილის მნებებელმა და შთამოვარდნილმა ცთომილმა, შაჰ-აბასმა, მიიღო მისგან ნიშანი ახალ პოვნილი ხელოვნებისა წარწყმედისა და ორგულობისა, რომ ჰყოს ორთა ქრისტიანე მეფეთა შორის, რა-

მეთუ ვიდრე იგი იყო განჯას თვისითა ბანაკითა, იწყო მოწერა განხეთქილებისა და მოტყუებისა, ვითარცა უწინარეს ისპაანადამ და გურჯთვე ახლა, რომელსაცა გარეგან ჰქონდა მოკითხვა სიყვარულისა და მშვიდობისა, ხოლო შინაგან-განხეთქილება, მოტყუება და მზაკვრობა, რათა სამისაგან ერთი შთაავდოს საყვარხესა შინა თვისსა — ლუარსაბი, ანუ დედა, ანუ და მისი, მაგრამ ვერ შეიძლო.

და სხვა ახალის ხელოვნების მოპოვება ეს იყო: რომელ წიგნსაც ცხადათ ჰგზავნიდა, მასთანვე სხვა წიგნსაც გზავნიდა ფარულად, დაფარულის განძრახვისას და მოტყუებისას სწერდა ლუარსაბთან, ურთიერთის დაფარვით. ლუარსაბს სწერდა — «თეიმურაზს ნუ ენდობი, რადგან შენი მტერიაო, ნუ შეერთდებიო, ნებამს მეგობრობით მოგატყუოს, მოგკლას და გამეფდეს შენს სამეფოზედაცაო, მე ესე ნამდვილ შევიტყეო, რომ იმას ეს განძრახვა აქვსო, გირჩევ სანამ თავისას შეასრულებს, შენ დაასწარ და მოჰკალიო, რომ შენ იყო მფლობელი შენის მამულისაც; მე შენი შემწე ვარ; და თუ ჯარი დაგჭირდეს და ან ხაზინა, მიიღე ჩემგან, რადგან მაქვს სურვილი რომ კახეთსაც შენ დაუპატრონოო»... ამასვე სწერდა თეიმურაზს ლუარსაბის ჩუმათ: «შენ მოჰკალ ლუარსაბი და ორივ სამეფოს შენ დაუპატრონეო.» სამჯერ გაუგზავნა ამისთანა წერილები ერთათ — ცხადათ და დაფარულათ, მაგრამ ლუარსაბი და დედა მისი არც თვით წავიდნენ, არც ქალი გაუგზავნეს.

გარნა დაფარული ქაღალდები, რომელიც შაჰისაგან მიეღოთ ლუარსაბს და თეიმურაზს, შენახული ჰქონდათ და ჰსურდათ — შეეტყოთ ჭეშმარიტება და სიმტყუნე მისი, და ღვთის შემწეობით მათ ორთ მეფეთ განუცხადეს ურთიერთს ეს განძრახვა მისი და აჩვენეს ერთმანეთს შაჰის ის მოწერილები,

სცნეს ნამდვილად მტერობა შაჰისა მათ შორის და ნაცვლად მტერობისა, სიყვარული დაურღვეველი და კეთილ-მეგობრობა მოუშლელი დაამტკიცეს თვისთა შორის, რამეთუ და ლუარსაბისა, რომელსა სთხოვდა შაჰი, მისცა თეიმურაზსა, რადგან პირველი ცოლი თეიმურაზისა გარდაცვლილიყო და ჰყვეს ქორწილი თეიმურაზისა და ლუარსაბის დისა, რომლის სახელი იყო ფარი, და შემდეგ ქორწინებისა, თეიმურაზ და ლუარსაბ წარვიდნენ მცხეთას, რომელ არს ტასტი და საპატრიარქო, და კვალადვე შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ იყვნენ ერთ თანხმანი და ერთ განმზრახველნი ბრძოლისათვის სპარსთა და ასრულებისათვის ამის ყოვლისა; იყვნენ ქაღალდის მომტანნი სპარსნი, რომელნიც ცხადათ მოსულიყვნენ და ეგრეთვე იყვნენ ჯაშუშნი მალვით, რომელნიც წარვიდნენ და უამბეს შაჰსა, და ის იყო ღრმათ გულ-დაწყლულებული გულსა და სულსა შინა თვისსა, რამეთუ რამდენ გზის სთხოვა ქალი და იმოდენის მხედრობით მის გამო მოვიდა და მას არ მისცეს, არამედ თეიმურაზს.

მოუწოდა შაჰმა მოურავსა და უთხრა: «ამ მხედრობით მოგვიყვანე ჩვენ აქამომდე და ქალი იგი რომლისათვისაც ამბობდი, აჰა, ნახე, მე არ მომცეს, არამედ მისცეს მტერსა ჩემსა, რომელიც ჩემთა მსახურთაგანთა ძლივ თუ არს თანასწორი და ახლა სასაცილოთ და საკიცხველათ ვყევარ მე ქვეყანას, და უკეთუ არ წამიყვან და არ შემიყვან საქართველოში და ხელში არ მომცემ მას ქვეყანას, იცოდეს თავმან შენმან, რომ არ დაშთები ცოცხალი და ყოველსავე სხეულსა შენსა ნაჭერ-ნაჭერ ვაქცევ.» უპასუხა მოურავმა: «უკეთუ არ შეგვიყვანო, ეგრეთ ჰქმენ, და უკეთუ შეგვიყვანო. რას იქ?» უთხრა შაჰმა: «ყოველის მესაიდუმლეთ მეინახეთა შორის ჩემთა ნამდვილი

თავი და პირველ პატივსაცემი და უმაღლესი ყოველთა ზედა შენ იქმნები.» და დარიგებითა მოურავისა მოითმინეს ვიდრე დეკემბრის თვემდინ, ვიდრე პირველის დღესასწაულამდის, როდესაც მოვიდა და მოასწია ზამთრის დრომ და იქმნა სასტიკი სიცივე და მოვიდა თოვლი და დაჰფარა მთები და დახშოგზები განლტოლვისა და სიმაგრეში შესულნი ერნი შეწუხდნენ სიცივისაგან და ჩამოვიდნენ შენობაში და სოფლებში და ფოთოლნი ხისანი შთამოცვივდნენ და ყოველი ადგილი თვალით სახილველი შეიქმნა. და უთხრა მოურავმა შაჰს, რომ «ახლა წარვიდეთ საქართველოში, რაითა აწ არს ჟამი; აიყარნენ განჯიდამ და მოვიდნენ კახეთის სამზღვარზედ, სამეფოსა თეიმურაზისსა.

და გზა კახეთისა იყო შემავალი ხევებთა შორის, რომელიც უნდა გაევლოთ და შესულიყვნენ კახეთში, და იყო გზა იგი ვიწრო, კლდე და ხევ-ხევი და ძნელად შესასვლელი და გარ-მოთ ხევისა იყო მაღალი კლდიანი მთა და ტყე, სადაც არ შეეძლო სიარული არც ცხენს, არც კაცს: ლუარსაბ და თეიმურაზ მოვიდნენ მრავლის მხედრობით, დაიპყრეს შემავალი გზა ხევისა და გააკეთეს ციხე მაგარი ქვისა და ხისა და შიგნიდამ გაუკეთეს ადგილი სათოფარი, თვით დასხდნენ შიგნიდამ და ებრძოდნენ მტერთა მათ გარე-მდგომელთა. ბანაკი სპარსთა იყო გაშლილს ადგილს პირის-პირ ხევისა და, რა იხილეს ქართველთ მიერ დაპყრობა შესავალის გზისა, უღონო იქმნენ და დარჩნენ დაღონებულნი და შაჰმა კვალად მოუწოდა მოურავს და განრისხდა მასზედ სასიკვდილოდ და თვითონ მოურავიც დაღონებული დარჩა. და შემდგომ ორისა თვისა, უთხრა მოურავმან შაჰს, მიფიქრია და ვპოვე სხვა მხარეს გზა, მარამ აქედამ ორის დღის სავალი შორს არის და საჭირო არის ცუ-

ლიანი და ბარიანი და წერაქვიანი კაცი, რომ ტყე გააკაფონ და მძნელათ მისასვლელი გზა გაასწორონ, და რა შეისმინა შაჰმა, დიდათ გამხიარულდა და უბრძანა მხედრობასა თვისსა, რომ აიღონ მრავალი ცული, ბარი და, რაც საჭირო იყოს, წარვიდნენ იქ და გახსნან გზა. ისინი წარვიდნენ და გააკაფეს ტყე და გაასწორეს მძნელად მისასვლელი გზანი, გახსნეს გზა, მოვიდნენ და მოახსენეს შაჰსა: «იქმნა; რაიცა ჰბრძანეთ.»

შაჰმა უბრძანა ბანაკსა თვისსა, რომ როგორათაც აქამომდინ იყო გამართული კარვები, აქლემები, და ასატვირთავად პირუტყვნი, ეგრეთვე ურდო და ბაზარი და ყოველივე, რაიც პირველად იყო, ისრევ დაშთნენ თავ-თავის ადგილსა, რომ ქართველთ ასრეთ ეგონოთ—კიდევ აქ არიანო. და ეგრეთვე მხედრობანი სპარსთა, მხოლოდ მებრძოლნი მხედრობანი სპარსთა თავიანთის საომარის იარაღით და ცხენით, არ ვისგან უცნობელათ, მალვით წარვიდნენ მას ახლოს გახსნილს გზაზედ და შევიდნენ კახეთში, თეიმურაზის სამეფოში და მიაწივეს შენობას და სოფლებსა და იწყეს შეუბრალებლად ხოცვა ქართველებისა. თეიმურაზ და ლუარსაბი კი ჯარით იდგნენ ხევის პირზედ და არა იცოდნენ-რა, სანამ ერთი სისხლში მოსვრილი კაცი არ მივარდა და ყველაფერი არ უამბო. «სპარსები შემოესივნენ ჩვენს მხარეს და სოფლებს იკლებენო.» ამ ამბავზედ თეიმურაზ და ლუარსაბი შეკრთნენ და გაშტერებულნი, სახტად დარჩნენ. გასწიეს და თავის კერძოობით ტფილისს ჩავიდნენ იმედ-გადაწყვეტილნი, სპარსებმა ჩვენც არ დაგვიჭირონო. ტფილისიდამ გორს ავიდნენ; ვერც აქ შეიძლეს ყოფნა, და კოლბის გზით განვლეს მთა კავკასიისა, რომელ არს იალბუზი და მივიდნენ იმერეთს, რადგან დიდედა ლუარსაბისა იყო ასული იმერთ მეფისა და ამისათვის თეიმურაზი, ცოლით

თვისით, ლუარსაბი დედით და სხვა ქართველობით განივლტნენ და იმერეთში შეეფარნენ; ამ ნაირად გადარჩნენ ტყვეობას. სპარსთა ჯარი დაბრუნდა. გახსნეს ქართველთ მიერ შეკრული ხევა, გააგანიერეს გზა, აჰყარეს ბანაკი და კახეთში შემოვიდნენ, სადაც დაიბანაკეს და დაჰყვეს 50 დღე. ამ ხნის განმავლობაში კახეთში რა ჩაიდინეს და რა არა, პირს არ ძალ-უძს თქმა და ენას მოთხრობა, თუ რამდენი დაჰკაფეს, რამდენი მახვილით დაჰკოდეს, ანუ თუ მოჰკლეს და თავი მოჰკვეთეს და რამდენი უბრალონი ტყვეთ წაასხეს და არცხვინეს, ქონება და სარჩო წარიტაცეს, შენობანი დაწვეს და დააქციეს, და ეკლესიები დაწვეს და დააქციეს, წმინდა ტრაპეზი და ნიშანი წმინდის ჯვარისა დასთრგუნეს, ტყვეთა ინახავდენ ურდოში თავის საჭიროებისათვის და ამ ნაირად შეავიწროვეს მთელი მხარე სიცივით, შიშველობით, შიმშილით, სიმწუხარებით და სხვ. მრავალ გვარად.

კახეთში შესვლამ რომ გაიგო თეიმურაზის და ლუარსაბის გაქცევა და რომ ქვეყანა და ერი მის ხელთ იყო, მას ყამს გამოუთქმელმა განზრახვასა შინა ბოროტისასა, სხვა ახალი ქვეყნის ხელოვნება მოიგონა, რა ებრძანა ყოველსავე კახეთის თემებსა და სოფლებსა, რომ ჯარი ჩემი (გზირი) დაატარონ და უქადაგონ ერსა მაღალის ხმით ყოველ-დღე და უთხრან, რომ ბრძანება არის ძლიერისა და მშვიდობის მოყვარისა და ქვეყნის მაშენებლის ხელმწიფის შაჰ-აბაზისაგან, რომ ყოველნი მცხოვრებნი კახეთისანი, თავადნი, თუ მხედრობანი, თუ ხელოსანნი, თუ გლეხნი კაცნი და ყოველივენი, რომელნიც აყრილან და გამაგრებულ არიან მთებში, ტყეებში, ციხეებში და ყოველსავე სიმაგრეში, უკუ-იქცნენ და მოვიდნენ თავ-თავიანთს სამკვიდრებელზე და დაშთენ მშვიდობით, შიში და ძრწოლა არა

რაიმე ექნებათ სპარსთ-მხედრობისაგან, რათა ნაბრძანები არის ხელმწიფისაგან — არა ვინ შეაწუხონ და არავის შეეხონ ამ ქვეყნის ერსა, რომელნიც მოვლენ მორჩილებასა შინა შაჰისასა, და იქმნებიან შაჰისევანნი (შაჰის საყვარელი), არა იქნების მათთვის ვნება არა ოდეს, არამედ დაშთნენ მშვიდობასა შინა და ვინაც შემაგრებულნი წინააღმდეგ იქმნებიან ხელმწიფის ბრძანებისა, მათზედ წარგზავნის ხელმწიფე მრავალს მხედრობას და სიმაგრესა მათსა აიღებენ და მათ დახოცვენ და ცოლ-შვილთა ტყვედ წაიყვანენ და მათს ქონებას წარიტაცებენ. აწ გამოდით სიმაგრიდგან და მოდით მორჩილებაში და იყავით შაჰისევენად და იმყოფეთ მშვიდობით. თავადნი და გამოჩენილნი კაცნი, რომელნიც უწინარეს მოვა, მას მისცემს ხელმწიფე დიდებასა და პატივსა და საჩუქარსა მრავალსა და მისცემს დიდობასა.

კახეთის მცხოვრებთა, რომელსაც ესმათ ეს ამბავი ჯართაგან, ზოგნი მოტყუვდნენ შეცდომით და ირწმუნეს, მოვიდნენ და იქმნენ შაჰისევენად, ზოგნი შიშისაგამო სიკვდილისა და ტყვეობისა, მოვიდნენ და იქმნენ შაჰისევენად, და ზოგნი უღონო იქმნენ გრძლად დაშთომის გამო სპარსთა მათს ქვეყანაში, მოვიდნენ და იქმნენ შაჰისევენად და ზოგთ იხილეს რომ სხვა-და-სხვა სიმაგრე აიღეს სპარსთა, დახოცეს სიმაგრეში მყოფნი და დაატყვევეს, შეშინდნენ, შეძრწუნდნენ, ნუმ-ცა თუ მათაც ის შეემთხვესთ, რომელიც გამოვიდნენ სიმაგრეებიდგან და იქმნან შაჰისევენად. სხვაც კიდევ ბრძანა შაჰმა, შაჰისევენად მეფეთათვის, რომ დაამკვიდრონ იგი თავთავის სამკვიდრებელზედ, შენობაზედ და ადგილზე, სცენ მათ ნუგეში და იმედი და განამხნევონ იგინი ჩემგან კეთილისათვის დიდისა და სახელი მათი — კაცთა, დედაკაცთა, ყაყთა და ქალთა და ყოვლის სახლობისა აღწერონ ქარტაში,

და თვით სპარსთ შეინახონ აღწერილი და მათზედ დაადგინონ ყარაულად მხედრობათაგან სპარსთა ყოველსავე ადგილს, რათა მათგანნი არსად გაიქცნენ; და ატყუებდნენ და ეუბნებოდნენ, ამისთვის დავადგინეთ თქვენზე მცველნი, რომ სპარსთა მხედრობათაგან არა გევნოთ-რა და არ გაგცარცვონო. ვინც მოვიდნენ და იქმნენ შაჰისევენად, ყოველნი ესრედ ჰყვეს, ვითარცა გიამბეთ თქვენ.

რომელნიც არ მოვიდნენ და თავიანთ სიმაგრეში დარჩნენ, მოვიდნენ სპარსნი მათ სიმაგრეზედ და მრავალთა დღეთა შინა სხვა-და-სხვა ღონისძიებით ებრძოლეს მათს სიმაგრესა, ვიდრე რომ სძლიეს და შეიპყრეს და იხადეს მათზედ მახვილი და შეუბრალებლად აღხოცეს, ვითარცა კეთილ-მსახურების შეწირვად ღვთისადმი ისრედ რაცხდნენ, მოწმობისამებრ უფლისა, ქონებასა და ყოველსა სარჩოსა სცარცვიდნენ და დავლად მიჰქონდათ და დანაშთენნი მდედრნი და ყრმანი მათნი ტყვედ მიჰყავდათ. როგორც ვსთქვი, 50 დღე დაშთნენ მუნ, და არ დარჩა სიმაგრე რომ არ აიღეს და ანუ ადგილი რომ არ ააოხრეს, ერთობ თანასწორ ააოხრეს და გახრწნეს, და არა რაიმედ გარდააქციეს ყოვლით აღვსილი კაზიანი და მრავალი ხალხით აღვსილი კახეთი და გრემი.

ეკლესიების ნივთნი და სიწმიდისა ჯვარი-ბარძიმი, სახარება-სასაკმევლე, ფილონი და სხვა ნივთნი და სიწმიდენი, რომელნიც იყო მძიმე და დიდ-დიდის ფასისა, სხვა-და-სხვა სახით შემკობილნი თვლეულითა და მარგალიტითა, გამშვენიერებულნი ბრძანა შაჰმა არ დაამტვრიონ ის ნივთნი, არამედ წაიღონ ქალაქს ისპაანს და დასდონ სახელმწიფო ხაზინაში, ვიდრე აქამომდე *), რომელიც მრავალთ ჩვენს ნათესავს-სომ-

---

*) გალუსტ შერმაზანოვს 1860 წ. თავრიზში უნახავს შაჰა-

ხებს უმოწმავს—თვალით უხილავთ ის წმიდა ნივთნი და ეგრეთვე უკერავი შესამოსი—კვართი ქრისტესი სხვა წმინდა ნივთთა შორის, რომელიც მუნ წაეღოთ და აწცა არს მუნ ისპაანს ხაზინაში, რომელიც აწცა სანთელს უნთებენ წინაშე მისსა, და ამის მომთხრობი თვით თავიანთი თავით უხილავთ, რომელნიც არიან კაცნი სარწმუნონი.

შემდგომად ამისთანა აოხრებისა, შაჰი აიყარა კახეთიდამ და ქართლის სამზღვარზედ დაიბანაკა; შაჰმა უბრძანა თავის მხედრობას—«ქართლის მცხოვრებელნი არავინ შეაწუხოთო, რაც საჭირო იყოს კაცთათვის, ან პირუტყვთათვის ფასით შეისყიდეთ თემის მცხოვრებთაგანაო, იმათ ნებაზედ ანუ როგორც დააფასონ თავიანთი საქონელი, ის ფასი მიეცითო». ამასთან ბრძანა შაჰმა მთელი ქართლი მოუვლოთ ჯარჩით (გზირთა) ამ ქადაგებით: «ბრძანება არს დიდის და ქვეყნის მაშენებლის შაჰის შაჰაბაზისაგან, რომ ქართლი ყოველი თემით—თავადნი თავის გლეხებით დასხდენ მშვიდობაში და დაწყნარდნენ, ვინც წასულნი არიან სპარსთ მხედრობისაგან შიშისა გამო ციხეებში და მაგარს ადგილებში,—დღეის შემდგომ ნუღარავისი ეშინიანთ, არამედ მოვიდნენ თავის სამკვიდრებელზედ და იცხოვრონ კეთილად და იქმნეს სიყვარული და მშვიდობა და მისვლა-მოსვლა სპარსთა და ქართველთა შორის, რათა ქვეყანასა ქართლისასა ჩემად ვრაცხ და არ წავახდენ

---

დის რძლის ხელში ერთი ყალიონი, რომელიც გარეშემო ვერცხლით, ოქროთი და ძვირფასის თვლებით და მარგალიტით მოჭედილი და დახატული მშვენივრად, ჩინებულის ხელოვნებით გაკეთებული, რომელიც შაჰს თავის რძლისთვის უჩუქებია და იმა დრომდე ხაზინაში დებულა.

ჩემდა და ლუარსაბის გამო, რადგან იგი არის შვილი ჩემი და ვცნობ მას ძმად და მეგობრად. და რომელსაც იგი მოჰყვა, მას მივანდობ ქართლს და მე წავალ სპარსეთში. თუ ინებებს ლუარსაბ და მოჰყვა, ესრედ ვჰყოთ, და უკეთუ არ მოჰყვა, აჰა მოურავი რომ არის ქართლელი და ქართველთაგანი, რომელიც აწ ჩვენთან არს, მას მივსცემ ქართლსა და მე წავალ ქვეყანასა ჩემსაო. შაჰმა უბრძანა მოურავს გაეგზავნა თავის მსახურთაგანნი თავ-თავის სოფლებში და ექადაგნათ ყოველსათვის ესევე და ყოველნი დაარწმუნონ; ეგრეთვე ამაო და განხეთქილების იმედით მოატყუა მოურავი და უთხრა—ლუარსაბი მოვა თუ არა, ქართლზედ უფლებას შენ მოგცემო. მოურავის მსახურთ ეს ამბავი მოფინეს ქართლში. ამისთანა მაგალითით, სიცრუით მომტყუებლობისა და განხეთქილების სიტყვებით მოატყუეს ყოველნი ქართლის მცხოვრებნი და არც ომით, არც აღრეულობით, არამედ სიყვარულით და მშვიდობიანობით მოატყუილეს და მოიყვანეს თემთა მცხოვრებნი და სიმაგრეებიდამ გამოიყვანეს და თავ-თავიანთ სოფლებში დაამკვიდრეს; ამისათვის აივსო ბანაკი სპარსთა ყოვლითა საჭიროებითა, კაცითა და პირ-უტყვითა და აღარა უჭირდა-რა, ყოვლისმხრით მშვიდობიანად და დაწყნარებით იყო.

გარნა ქართლელნი იყვნენ შიშსა და მრწოლაში, ნუმც თუ არ მოვიდეს ლუარსაბი და ამის შურისა მიზეზისა გამო გაჯავრებულმა შაჰმა არ უბრძანოს თავის მხედრობას ჩვენი ტყვეთ წასხმა და აკლება და ესრედვე ეტყოდნენ მხედრობანი სპარსთა, და სხვასაც ეტყოდნენ სპარსნი: იმედით და დაეწერენით შაჰისევნად, რომ თქვენც ტყვეობაში არ ჩაცვივდეთო, როგორც გასულები, რათა ვინც დაეწერა შაჰისევნად, ისინი ტყვეობას გადარჩენო. ამისგამო მრავალნი მოვიდნენ და

შაჯისევნად დააწერინეს, და ვინც მოვიდოდა შაჯისევნობისათვის, ყველას დიდის და პატარას სახელს სწერდნენ ქარტაში. და სპარსნი თვით ინახავდნენ იმ აღწერილობასა. და შაჯისევნად ჩაწერილი თავ-თავის ბინაზედ ამკვიდრებდნენ დიდის კეთილ-მშვიდობიანობის იმედის დაპირებით. და ვიდრე შაჯი ქართლ-კახეთის საზღვარზედ იყო დაბანაკებული, ჰქონა სხვაცა ახალი ბოროტ ხელოვნების მოპოება, რათა ერთი რომელიმე თვისის მესაიდუმლოთაგანი—დიდი მთავარი და დიდებული მეანახე, სახელით სარუხოჯა, განაწესა იგი ანგელოსად მშვიდობისა და სიყვარულის წერილით წარგზავნა იმერეთის ლუარსაბთან;

წიგნი იყო ამ სახედ:

«ამხნეთა ხელმწიფე შაჯაბაზი მრავლის სიყვარულით და სიმრთელით მოიკითხავს ქართველთა მეფესა ლუარსაბს. მრა-ვალ ჟამის მოგწერეთ თქვენ სიყვარულით და გაჩვენეთ თქვენ ჩვენი გულის კეთილმყოფლობა (მეგობრობა), გარნა თქვენ არ მიიღეთ და არ ირწმუნეთ სიტყვანი ჩვენნი, აჯა აწ მოქმედე-ბისაგან გულის ხმა ჰყავ და ირწმუნე ვითარცა ხედავთ, რათა ქვეყანა თეიმურაზისა აღვაოხრე, გარნა ქართლი აწვე აშენებული არს და მრთელად ვიცავ თქვენთვის და მოველოდები მოსვლა-სა თქვენსა და ნუ დაიზარებთ და ნუ უსმენთ უგონოთა, უჭკუო დამრიგებელთა და თავსა თქვენსა თქვენის ხელმწიფობი-სამ ნუ დასჩაგრავ, რათა არა მაქვს შური და მზაკვრობა გულ-სა შინა ჩემსა თქვენ კერძოდ, ვითარცა შენ, რომელიც თქვენ არა რაიმე ავნება არა მოგიყენებიათ რა ჩემზედ, არამედ შენს მოსვლას ამისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩვენ წინაპართაგან იყო ერთობა ქართველთა და სპარსთა შორის, მეც ეგრეთ მნებავს, რომ ჩვენშიაც ერთობა იყოს, ჩვენ ყოველსავე კერ-ძოსა ჩრდილოეთისასა, რომელიც ამ მხარეს არის არეზის

მდინარის აქეთი, თქვენ მოგანდობთ და თქვენ იქმნებით ზედამდგომი და მბრძანებელი ყოველთა უფლებათა (თავადთა) კერძოსა მათსა ზედა, რათა თქვენ აქეთ მხრისთვის იზრუნოთ და ჩვენ უზრუნველ ვიყვნეთ და სხვა მხარეთათვის ვიზრუნო, და ჩვენ ორთავე მტერთ წინააღუდგეთ, დაშთეთ მშვიდობით». ეს წერილი მისცა სარუხოჯას, და სხვანიცა მრავალნი სიტყვანი მლიქვნელობისა და მოტყუებისა ხელოვნებული, რომელიც აქვნდა ამბრად შეგროვებული გულსა შინა თვისსა. ყოველი სიტყვით დი საქმით ამხილა და ამცნო მას, რათა რომლისმე ხელოვნებითაც შესაძლო იყოს, მოაწონოს ლუარსაბს, რომ მოვიდეს მასთან. სარუხოჯა წარვიდა იმერეთს და მივიდა ლუარსაბთან, მისცა სალამი და ქაღალდი, და რომელსაც წარიკითხეს წერილი, სცნეს, რათა ყოველივე სიტყვა არს მზაკვარობა და არ მოიწონეს, არც ლუარსაბმა, არც დედამ, და დამა ლუარსაბისმა და არც თეიმურაზმა. თუმცა სარუხოჯა სხვა-და-სხვა სახით აწონებდა ლუარსაბს, მაგრამ არ ერწმუნნენ.

შემდგომად რამდენიმე დღისა, პასუხი მისწერეს შაჰს ამ სახედ: «რათა ჭეშმარიტ არიან სიტყვანნი შენნი, და ნამდვილად გნებავსთ რომ ჩვენში მეგობრობა იყოს, და ესე ნიშანი სიყვარულისა და მშვიდობისა შენისა ეს იყოს, რომ შენ მრთლად შენობით დაუტეო ქვეყანა ჩვენი და ერი ჩვენი, რათა დაშთენ თავ-თავის ადგილსა და შენ ნაცვლად შენდა, შენთა მთავართაგანი ერთი დაუტევო მანდ, რათამცა ყოველივე სიყვარული და ერთობა და პირობა, რომელიც შენ გნებავს, მისის შუამდგომლობით ახლად დავამტკიცოთ თქვენთან, და თქვენ გახვიდეთ ჩვენის ქვეყნიდამ და ჩვენ მოვიდეთ და ვფლოთ ჩვენს ქვეყანასა, და დავშთეთ თქვენთან სიყვარულით და ერთობით, დაშთეთ მრთლად». შემდგომად მრავლის ხელოვნებით უბნო-

მდინარის აქეთი, თქვენ მოგანდობთ და თქვენ იქმნებით ზედა-მდგომი და მბრძანებელი ყოველთა უფლებათა (თავადთა) გერ-მოსა მათსა ზედა, რათა თქვენ აქეთ მხრისთვის იზრუნოთ და ჩვენ უზრუნველ ვიყვნეთ და სხვა მხარეთათვის ვიზრუნო, და ჩვენ ორთავე მტერთ წინააღუდგეთ, დაშთეთ მშვიდობით». ეს წერილი მისცა სარუხოჯას, და სხვანიცა მრავალნი სიტყვანი მლიქვნელობისა და მოტყუებისა ხელოვნებული, რომელიც აქვნდა ამბრად შეგროვებული გულსა შინა თვისსა. ყოველი სიტყვით დი საქმით ამხილა და ამცნო მას, რათა რომელისმე ხელოვნებითაც შესაძლო იყოს, მოაწონოს ლუარსაბს, რომ მოვიდეს მასთან. სარუხოჯა წარვიდა იმერეთს და მივიდა ლუარსაბთან, მისცა სალამი და ქაღალდი, და როდესაც წარიკითხეს წერილი, სცნეს, რათა ყოველივე სიტყვა არს მზაკვარობა და არ მოიწონეს, არც ლუარსაბმა, არც დედამ, და დამა ლუარსაბისმა და არც თეიმურაზმა. თუმცა სარუხოჯა სხვა-და-სხვა სახით აწონებდა ლუარსაბს, მაგრამ არ ერწმუნნენ.

შემდგომად რამდენიმე დღისა, პასუხი მისწერეს შაჰს ამ სახედ: «რათა ჭეშმარიტ არიან სიტყვანნი შენნი, და ნამდვილად გნებამსთ რომ ჩვენში მეგობრობა იყოს, და ჴა ნიშანი სიყვარულისა და მშვიდობისა შენისა ეს იყოს, რომ შენ მართლად შენობით დაუტეო ქვეყანა ჩვენი და ერი ჩვენი, რათა დაშთენ თავ-თავის ადგილსა და შენ ნაცვლად შენდა, შენთა მთავართაგანი ერთი დაუტეო მანდ, რათამცა ყოველივე სიყვარული და ერთობა და პირობა, რომელიც შენ გნებავს, მისის შუამდგომლობით ახლად დავამტკიცოთ თქვენთან, და თქვენ გახვიდეთ ჩვენის ქვეყნიდამ და ჩვენ მოვიდეთ და ვფლოთ ჩვენს ქვეყანასა, და დავშთეთ თქვენთან სიყვარულით და ერთობით, დავშთეთ მართლად». შემდგომად მრავლის ხელოვნებით უზნო-

ბისა, სარუხოჯამ რა იხილა, რომ არ ერწმუნნენ, მიიღო ქაღალ-დი ლუარსაბისაგან, მოვიდა შაჰთან და აცნობა მას ყოველივე საქმე და მტკიცე განძრახვა მათი.

რა მოისმინა შაჰაბაზმა მათი პასუხი, აიყარა ყოველითა ბანაკითა თვისითა და წარვიდა უმეტეს გორს ზემოთ, და დასდგა გზაზედ, რომელიც გადადის იმერეთს, და დაიბანაკა. აქ დაბანა-კების მიზეზი ის იყო, რომ ქართლიდგან არავინ გაქცეული-ყო იმერეთს—თავადი, აზნაური, თუ გლეხი. აქედამაც კიდევ გაგზავნა შაჰმა სარუხოჯა ლუარსაბთან სიტყვით და წერილით —გეგებ შესცდეს და მოვიდესო, მაგრამ არ მოვიდა. მესამეთაც დაუმატა და გაგზავნა სარუხოჯა, მაგრამ არც ეხლა მოვიდა.

ბევრის წასვლით და მოსვლით მობეზრდა ლუარსაბ და ვინცა იყვნენ მისნი და ამ ბოლოს მოსვლის დროს ჰქმნეს მოქმედება შეურაცხსაყოფელი სარუხოჯასთან, რათა შემდგო-მად აღარ წარმოგზავნოს მათთან შაჰმა ელჩად. აი რა საქმე უყვეს სარუხოჯას: ყოველივე ქონება წაართვეს და სრულიად გააშიშვლეს, შეკაზმულობიდამ და იარაღიდამ, ტანისამოსიდამ და ცხენიდამ, ვიდრე რომ ჯორიც წაართვეს, რომელზედაც სარუხოჯა იჯდა და თვით ქვეითი განუტევეს წასასვლელად და ამცნეს დიდი დამუქრებით, რომ კვალად აღარ მოვიდეს. და ესევითარის შეურაცხებით მოვიდა სარუს ხოჯა შაჰთან და შა-ჰი სულგრძელებაში შევიდა და ითმენდა იმავე ადგილსა და ღონების გამოცდილებით ჰფიქრობდა განძრახვასა ბოროტსა და მოტყუებისათვის ლუარსაბისა და თეიმურაზისა. ვიდრე შაჰი ესრედ განძრახვაში იყო და ვერ ჰპოვებდა გზასა საქმისა-სა, მას დღეს ერთი რომელიმე იბაღისიდამ კაცი საქმიანი ბოროტებისა და მე წყევისა, აღძრული ეშმაკისაგან, ძალისა მტერ სატანისა, მოვიდა ბანაკსა და აცნობა შაჰსა, რათა არს

თხოვნა თქვენის უფლებისა მოყვანისათვის ლუარსაბისა და უკეთუ ნამდვილად ცნობამსთ და არა რაიმეს ავნებთ, მე წარვალ და მოვიყვან თქვენთან. ამით დიდად განაკვირვა შაჰი იმ კაცმა. ჰკითხა, თუ შენ ვითარ მალგიმს მოყვანა მისი?— მიუგო მან კაცმა: ჩვენ ნათესავნი ვართ ლუარსაბისა, რათა იგი არს ნათლიმამა ჩემი და ნათლიაობის მხრით ჩვენში დიდი რწმუნება არის ურთიერთისადმი, ამისათვის უწყი, რომ იგი ერწმუნება სიტყვასა ჩემსაჲ. შაჰი აღივსო მოუთხრობელის სიხარულით, და საქმესა ხედა, რომელიც მრავალითა შრომით მეცადინეობდა და არ უსრულდებოდა, რომლისთვისაც მრავალს ჟამს სურობდა და ვერ უწიეა, და სთქვა: აწ დიახ ადვილად იქმნების, რომლისთვისაც აღუთქვა მას კაცსა მრავალი განძი და საჩუქარი და დიდის დიდების მიხწევა, თუ რომ მოიყვანს ლუარსაბსა.

კაცი იგი ბოროტ ბედნიერი და ავის მომქმედი რომ მიზეზი შეიქმნა ქრისტიანთ მეფობის წარწყმენდისა, წარვიდა იმერეთს ლუარსაბთან და თეიმურაზთან და დღეთა მრავალთა შინა ეუბნა ლუარსაბს მოსაწონითა და წყნარითა სიტყვებითა, ვიდრე რომ მოასუსტა სიმაგრისაგან გონება მისი, გარნა თეიმურაზ, დედასა და დასა ლუარსაბისასა და ყოველთა ერთგულთა მისთა არ მოსწონდათ სიტყვანი იმ კაცისა და უშლიდნენ, ვინაიდგან იცოდნენ ნამდვილად, რათა ეშმაკობით მოპოებული საქმე არს შაჰისაგან და კაცმან მან ეშმაკ დამკვიდრებულმან, ვითარცა გველმან ევას მძლევმან, უკუ აქციეა გონება ლუარსაბისა წარსასვლელად შაჰთან, გარნა დედა და დაი ლუარსაბისა, თეიმურაზ, თავადნი და ყველანი კეთილ-მყოფელნი სტიროდნენ ცხარის ცრემლით და ჰგოდებდენ და ეტყოდნენ: ანუ განსცემ თავსა შენსა ხელსა შინა მტრისასა, რათა

იგი არს მტერი შენი და არა კეთილის-მყოფელი და მცდელი წარწყმედისა შენისა“. თეიმურაზ ეტყოდა: ნუ ერწმუნები ურწმუნოსა მას და გულარძნილსა მხეცსა, რათა იგი წარწყმედასა ჩვენსა ცდილობსა. გარნა გონებას ლუარსაბისასა ბოროტის მსახურის სიტყვა იმ კაცისა უკეთესად მოსწონდა, ვიდრე რჩევა თავისთა კეთილმყოფელთა. და ყველას უგებდა პასუხსად: „აჯა შაჰი მოსული არს და ზის ჩვენს ქვეყანაში და მოხოვს მე მშვიდობის მოხდენას და, უკეთუ არ წავალ, ყოველსავე ჩვენს ქვეყანას აოხრებს და განხრწნის, ეკლესიებს დაჰქცევს, ქრისტიანთ აღხოცამს და დაატყვევებს და ესე ყოველი იქმნების ჩემის მიზეზით, არს მცირე რამ დრო ცხოვრება ჩემი სვინიდისით. ვიდრე რომ იმდენის ერის თანამდები შევიქნა და უმჯობეს არს ჩემი წარსვლა შაჰთან, რომ ყოველი ქვეყანა დავიხსნა ჩემის მიზეზით აოხრებისაგან ღვთის სასოებით და მერე რაიცა შემემთხვას, სიკვდილი, გინა სიცოცხლე, იქმნეს ნება უფლისა კურთხეულ.

ამისთანა შეშლილი ჭკვიან ლუარსაბმა არ შეისმინა კეთილმყოფელთ რჩევა, არამედ ერწმუნა სიტყვასა და ფიცსა შაჰისასა, წარმოვიდა იმერეთიდამ მისვლად შაჰთან და რა მივიდა მახარებელი შაჰთან ლუარსაბის მისვლისთვის, არ უწყოდა შაჰმა, თუ ვითარ ასაროს გულსა თვისსა. და როდესაც ლუარსაბ მოვიდა სპარსთა ბანაკის მახლობლად და მხედრობითა თვისითა და რა იხილეს ერთმანერთი, მიილოსიყვარულით და პატივით, მოიკითხეს და უსალამეს ურთიერთს. შაჰისთვის ეს დღე ყოველ დღეზე უაღრესი იყო მის მთელ სიცოცხლეში, რათა აღუსრულდა ბოროტი ნება თვისი, რომლისათვის დიდად დაშვრა. ვითარცა ჩვეულება არს გულარძნისა და ბეელებრ მქცეველის სპარსით ნათესავისა, და უმე-

ტესად შაჰისა, მრავალხელოვანის ვეშაპისა, პირველად მრავა-
ლის სიყვარულით და პატივით მიიღო იგი და მარადის ტყუ-
ილის და ამაო განხეთქილების სიტყვებით სათნოდ ნებისა მი-
სისა ეუბნებოდა მასთან, ვიდრე რომ ანბავი ესრედ განიფინა
მთელ საქართველოში—რომ შაჰი ლუარსაბს სიყვარულისა და
ერთობისთვის იბარებდაო და სხვა მიზეზი არა ჰქონდათრაო.
აიყარა შაჰი თავისის ბანაკით და წარვიდა ტფილისს, წარი-
ყვანა თვისთანა ლუარსაბი და დიდის დიდებით ინახავდა და
უბნობთა მასთან მარადის სურვილისამებრ გუნებისა მისისა და
თვით ეჩვენებოდა სარწმუნოდ.

ლუარსაბის მეფედ დაჯდომის დროდგან, ვიდრე ოთხისა
და ანუ ხუთისა წლის წინედ, მინამ შაჰის მოსვლამდე, იქმნა
ოდესმე რიგი ლაპარაკისა წინაშე ლუარსაბისა მისა პაპის მო-
თხრობის ამბავი სვიმონ ხანისა, რომელიც ოსმანთ შეიპყრეს
და წარიყვანეს სტამბოლს და მუნ მოკლეს და იქავ დაფლეს,
რომლისათვისაც ადუღდა გული ლუარსაბისა და მოიწადინა
მოტანა გვამისა პაპისა თვისისა სვიმონ ხანისა თავის მამულთ
წინაპართ სასაფლაოში დასასაფლავებლად მისსა და ოდესაც
სცნო, და ჰპოვა ადგილი მისის დასაფლავებისა, ქ. სტამბოლ-
ში, მაშინვე მცოდნენი კაცნი იმის საფლავისა წარგზავნა სტამ-
ბოლში, და იგინი წარვიდნენ, აღმოიღეს გვამი სვიმონ ხანისა
და მოიტანეს ტფილისს და მოტანა სვიმონ ხანის გვამისა
შეემთხვა ამ დროს, როდესაც შაჰი ტფილისს იმყოფებოდა.
და რა სცნო შაჰმა, რომ გვამი სვიმონ პირველისა მოიტანეს,
აღვსილმა განზრახვითა ეშმაკის მლიქვნელობითა, რომელიც
ესოდენ მტერ არს ქრისტიანეთა, ვიდრე რომ სისხლისა მათი-
სა არს მწყურვალი, ესრედ რომ სიკვდილითა და ცოცხალთ
ტყვეობათა არა კმა იქმნა, და აწცა მკვდართ ძვალთაც იწყო

მტერობა, რომლისათვისაც სასტიკის ბრძანებით ბრძანა მყისვე მის წინაშე მოტანა. და რა აღსრულდა ბრძანება მისი, სთქვა: მე ამას უმეტესად პატივს ვსცემ და ვადიდებ, ვიდრე რომ თქვენ, რამეთუ თქვენ არ უწყით ღირსებით პატივი მეფეთა და მნებამს წარგზავნა ამისი ჯიმამრზას(?), რათა წინა-პართა ჩვენთა მეფეთა და მთავართა თანა იყოს დიდებული. ქსრეთის ეშმაკეულის საქმით წარგზავნა მკალნი სიმონ ხანისა სპარსეთს და არა უტევა დასასათვალავებლად ქართველთ მიწაში და არც ვინმემ სცნა, თუ რა უყვეს, ანუ სად წარიღეს. და ქსრეთ უწინარ ჯუყეს და დაკარგეს, ქსოდენს დროს რომ დაშთა შაჯი საქართველოში, მიიმძლავრა მთელი საქართველო თავის უფლე-ბასა ქვეშე. და სამეფო თეიმურაზისა ერთობ ცხადათ ჰქმნა, რათა იყვეს უფლებისა ქვეშე სპარსთა, ვითომც თუ ხმლითა თვისითა დაიპყრა იგი, რომლისათვისაც წარგზავნა მხედრობა სპარსთა, რომელთაც აღაშენეს კახეთში ციხეები და დაადგინა მუნ მხედრობანი სპარსთანი, სელიმ-ხანი, ფეიქარხანი და ბეგ-დამხანი განაწესა მუნ უფლად და მთავრად მხედრობათა ზედა, რათა დაიცვან იგი ქვეყანა უფლებასა ქვეშე სპარსთასა და მცხოვრებნი კახეთისა და გრემისა დასრულდნენ, ზოგნი სი-კვდილით, ზოგნი ტყვეობით და, რომელნიც დაშთნენ, და-წერნენ შაჯისვენათ, ბრძანა მათთვის, რომ ყოველნი სამძღვარს გაიყვანონ და წარიყვანონ სპარსეთში და განაწესა უფლად ამ საქმეზედ მთავარნი და მხედრობანი და, რომელნიც პირველის აწერილობით და ქაღალდით იყვნენ დაწერილი—მათი სახელნი ჰქონდათ თავიანთთანა და იმ წიგნით დაიწყეს გამოძიება ყოვ-ლისა სახლობითა მათითა და ქონებითა. და ყოველნი აჰყარეს თავ-თავიანთის ადგილიდამ და რომელსაც აჰყრიდნენ, მოჰყვან-დათ და დააყენებდნენ მტკვრის მდინარის პირს, იმ ადგილს,

რომელსაც უწოდებენ ლაზრი, რამეთუ მუნ დაადგინეს ზანავი. ესრეთ ჰყვეს, ვიდრე რომ ყოველი აღწერილი შაჰისევანი აჰყარეს. და როდესაც აღსრულდა მძლავრობით ყურა მათი, იმ წერილით აჰყარეს იქიდამ და წაასხეს სპარსეთში და მიიყვანეს ვიდრე ქალაქ ყაზმინამდინ და იქიდამ წაასხეს ქალაქს ფარაბათს. და როდესაც მიაღწევინეს ფარაბათს, მათგანი ზოგი ფარაბათს დაასახლეს ქართველნი თუ სომეხნი, თუ მაჰმადიანნი, თუ ურიანი და სხვანი მრავალნი მათგანი დაასახლეს სოფლებში და მისცეს მათ ყოველთა ადგილი სასახლისა, და საბალე და სახნავი და ამ სახით ააოხრეს ქვეყანა ქართველთა—კახეთისა და გრემისა და წაასხეს ელი ქვეყანასა ფარაბათისა.

ეს წარყვანილნი ერნი არ გამრავლდნენ მას ქვეყანაში, ამისათვის, რომ არ იყვნენ შეჩვეულნი ნედლსა და ცუდს ფშვინვას (სუნთქვას) დამაბრკოლებელს მძიმე სუნიანს ჰაერსა იმ ქვეყნისასა და აგრეთვე არც სასმელსა და არც საჭმელსა, და არც ცხოვრებასა იმ ქვეყნისასა, რომელთ იწყეს გაწყვეტა და დახოცვა; მცირეს დროს ესოდენი დაიხოცნენ და გაწყდნენ, რომ სახლში ათიდამ ერთი ძლივ დარჩა. და, ვინც გადარჩნენ, შემდგომ დროების ავათ-მყოფობისა და სატკივრისაგან შეიწროებულ, განცვეთილ და სნეულ იქმნენ, ესრედ რომ არ მალ-ედვათ ხორციელათ მოქმედება საქმისა სასარგებლოთ თავიანთ ცხოვრებისათვის და უმეტესად უცხოებისა და სიღარიბისა გამო, შეიქმნენ გლახაკნი და უქონელნი, და რაიც აქვნდათ. განჰყიდეს და ჰსჭამეს და უქონლობისა გამო იწყეს საჩივარი ქართველთა ნათესავმა შაჰთან, იმ დროს ფარაბათს მყოფთან, რასაც უქონლობას და შიმშილს ითმენდნენ. შაჰმა უპასუხა: ოღონდ დაუტევეთ თქვენი სარწმუნოება და იქმენით მაჰმადის სჯულისა და მე მოგცემთ თქვენ მრავალს ქონებას, რომლი-

თაც იცხოვროთ და სჭამოთ; და იგინი, ძლეულნი საჭიროე-
ბისათვის სიმშილისა, იძულებულ იქმნენ და აღასრულეს ბრძა-
ნება შაჰისა და იქმნენ მაჰმადიანნი; ხოლო შაჰმა არ მისცა მათ
აღთქმული მრავალი ქონება, არამედ მოატყუა იგინი, მხოლოდ
თვითოეულს სულს დიდსა თუ მცირესა მისცა თვითო-თვითო
დავკანი(?) და განუტევა თვის-თვის სახლებში. და თუმცა რო-
მელნიმენი აქებდნენ ამ შაჰსა, რომ ქრისტიანთ მოყვარული,
და ქვეყნის მაშენებელი და მშვიდობის-მყოფელი ხელმწიფე
იყო, მაგრამ აი ეს არის იმისი ქრისტიანთ მოყვარულობა,
რომ ყოველი ქრისტიანეთ ქვეყანა—სომხეთა და ქართველთა—
აოხრა და მრავალი მახვილით მოსწყვიდა, შიმშილით და ტყვე-
ობით და დანაშთენი წაასხა ფარაბათს და ისპაანს, სადაც იგი-
ნიც დღე და დღე გაწყდენ სხვა-და-სხვა სახით. და ვისაც ქება
ჰნებამს მისი, ჯერ განიხილოს და მიხედოს მის ნამოქმედარს
საქმეს, რაც ქრისტიანეთ უყო, და შემდეგ აქოს იგი. რაც
გიამბეთ, თუ შაჰი როგორ მოეპყრო კახელებს, რომელნიც
შაჰისევნათ დაეწერნენ, ესევე უნდა გიამბოთ ქართლელების შე-
სახებაც—შაჰისევნათ დაწერილებისა, რომელთა ზედა შაჰმა დაა-
ყენა მხედრობა და მხედართ-მთავარნი, რომელიც პირველის
აღწერილობის ქაღალდით აღსწერეს თავ-თავის ადგილიდამ და
წარასხეს სპარსეთში, გარნა ამ ერისაგან ქართლელებისაგანი
არავინ წაიყვანეს ფარაბათს, არამედ ისპაანს წაასხეს და დაა-
მკვიდრეს ისპანიის ცივ-სოფლებში, სადაც სომხებიც იყვნენ
დასახლებულნი და აწინდელს დროს, სომეხთ მრიცხველობით
1107 წ. ხოლო ქრისტესით 1659 წ., როდესაც ეს მო-
თხრობა დავსწერეთ, ის ქართველნი ყოველნივე უკუ-იქცნენ თა-
ვიანთის სარწმუნოებისაგან და მიიქცნენ მაჰმადის სჯულსა ზე-
და და ესოდენ მტარვალნი შეიქნენ ქრისტიანეთა ზედა, რომ

ოდეს შეგვემთხვეოდნენ ჩვენ სადამე გზასა ზედა, ჩვენს გამარჯვების თქმას მშვიდობისასა არ მიიღებდნენ ხოლმე, არამედ გმობით და შეურაცხ-ყოფით იხსენიებდნენ მამათა და წინაპართა თვისთა, რამეთუ იგინი—ურწმუნონი იყვნენო და ურწმუნოებაში დაიხოცნენო. ხოლო თავიანთს ახალს სარწმუნოებაზედ ღმერთს მადლობდნენ, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტი სარწმუნოებაო, რომელიც აწ მივიღეთო. ამ ქართველთაგან, რა დროსაც ახლად მოიყვანეს ისპაანში, მაშინვე გაყვეს და რაოდენიმე ნაწილი ბარაზისაკენ წაასხეს, იმ ადგილს ეწოდებ ასუფთას; და ზოგნიც დაიხოცნენ სხვა და სხვა სნით და დანაშთენი ყოველნივე ერთობ მიიქცნენ სჯულსა ზედა მაჰმადისასა.

შაჰი ტფილისს რომ იყო, ლუარსაბიც თან ჰყვანდა, რომელსაც ალტაცებით შეჰხაროდა, როგორც დიდი ხნის სასურველ ტყვეს; მაგრამ თეიმურაზისათვის კი სწუხდა და ფიქრობდა—რატომ ის კი ვერ შევიპყარიო. ამისათვის მუდამ ფიქრობდა, თუ როგორ შეეპყრო თეიმურაზი.

რა ვერა გააწყო·რა, ეს ხელოვნება იხმარა: შეაგულიანა ერთი ვინმე კაცი და წარგზავნა იმერეთს, და აჩვენა მას ყოველივე გზა, მოიპოვა და ამცნო მტკიცედ: რა გზითაც შეიძლო, თეიმურაზი უთუოთ მოჰკალიო, ცხადლივ იყოს, თუ მალვითაო. ეს კაცი რომ წარვიდა მალვით, მოსაკლავად თეიმურაზისა, დიდი დაფარული საიდუმლო იყო, თვით შაჰის დაახლოებულ მეინახეთაც არ იცოდნენ. კაცი იგი მივიდა იმერეთს და დღესა ერთსა შევიდა და გამოვიდა იქ, სადაც იმყოფებოდა თეიმურაზი, სცნო და განიხილა ყოველი, გზა და ადგილი, სადაც ღამე იძინებდა თეიმურაზი, რომელიც იყო ზემოდამ სახლი და კიბე ასასვლელი და ჩამოსასვლელი იყო ხისა. და ერთსა დღესა კაცი იგი მალვით და უცნობელად არვისგან

უდარაჯებდა ღამე, რათა ჰპოვებს აწ ჟამის მარჯვე დრო თეიმურაზის მოსაკვლელად და ჟამსა შესაძლებელსა, სცნო რომ ყოველთა სძინავთ, და ეგრეთვე ღამის მხმილავთ (ქეშიკნი, ყარაულნი), მოვიდა კაცი იგი უცნობელის და დაფარულის ადგილიდამ და მას ხის ასასვლელ კიბეზე ავიდა მაღლა სახლში, სადაც თეიმურაზს ეძინა და იხილა, რომ იმავე სახლში ერთ მხარეს სძინავთ სხვათა ორთა ერთს ლოგინში, და მეორეს მხრითაც სძინავთ ორთა ერთს ლოგინში. ერთს ლოგინში იყვნენ ორნი მსგავსნი, რომელთაც მათის სამსახურისთვის ეძინათ მახლობლად. ერთს მხარეს თეიმურაზი ცნობით; ხოლო მან კაცმა ვერ შეიძლო ნამდვილი ცნობა და ვერ გაარჩია, თუ რომელი მათგან თეიმურაზი; ამისათვის ვერ გაბედა სიკვდილი—ვაი თუ სხვა მოკლა ვინმე თეიმურაზის მაგივრათა. ამის გამო დაუტევა იმ ღამეს იგი განზრახვა მკვლელობისა და წარვიდა, რათა, პირველს დღეს შეიტყოს და ნამდვილად სცნოს, თუ მათგანნი რომელია თეიმურაზ, და შემდგომად მოვიდეს და მოჰკლას უეჭველად და ეს განზრახვა ღმერთმა შთაუნერგა გულსა შინა მის კაცისასა და უკუ-აქცია, რომ არ მოკლას ქრისტიანეთა მეფე, და გამოცხადდა გულარძნილობითა ბოროტი მაჯისა შესაროცხვენათ მისსა. ამ განზრახვით კაცი იგი უკუ-იქცა იმ ზემო სახლიდამ და იწყო ჩამოსვლა მას ხის კიბეზე, რომელზედაც ასულიყო, და ხმალი თვისი, რომელიც წელს ერტყა, მოხვდა ბოლო ხმლისა კიბეს და ხმა გამოსცა და იმისის ხმისაგან გამოიღვიძა ძაღლმა ქეშიკებისმა და დაუწყო მას კაცსა ყეფა. და ძაღლის ყეფაზე გაიღვიძეს მხმილავთა და ნახეს კაცი იგი, შემოესხვივნენ გარს და შეიპყრეს იგი და, იხილეს რა, განკრთნენ და გაშტერებული დარჩნენ ყოველნივე. დილისავე თეიმურაზმა და სხვათა დიდებულთა თავადთა მოუ-

წოდეს კაცსა მას წინაშე თვისთა და კითხვით სცნობდნენ ყოველსავე და მან კაცმან ყოველივე ნამდვილათ აღვიარა, რამეთუ შაჰმა წარმომგზავნა მე რომ—წადი და მოჰკალ თეიმურაზიო.

მას დროს თეიმურაზმა ღრმა გულისგან ამოხვრით სთქვა —აჰა, იხილეთ ძმანო ჩემნო, რამეთუ შაჰმა ორივე ძენი ჩემნი ჩემგან წარიყვანა თვისთან, და ჰყო საჭურისად, და დედაჩემი წარიყვანა და გადაჰკარგა შინაგან სპარსეთში, და აწ ქვეყანა ჩემი სრულიად აღაოხრა და ყოველი ერი ჩემი და ნათესავი ჩემი ტყვეთ წაასხა, და მხოლოთ თავი ამიღია განლტოლვილოსა და გარ უცხოებასა შინა, და იგი ყოვლითურთ არა კმა არს და აწცა მეცადინეობს შორიდგან სიკვდილისა ჩემისა და მე რომლის სასოებით გავბედე და წარვიდე მასთან.» და ყოველთა, ვინაც იხილეს იგი საქმე და შეისმინეს თეიმურაზისაგან, ამართლებდნენ მის უზნობასა; და თეიმურაზმა შეიწყალა კაცი იგი და არ მოჰკლა, არამედ განუტევა და წარვიდა თავის გზასა და თვითონ ვედარ გაბედა იმერეთში ყოფნა, ნუმც თუ სხვაცა საფრხე მოიპოვოს შაჰმა მისთვის, არამედ გამოვიდა მუნით და წარვიდა ქვეყანასა დადიანისასა და განშორდა შაჰსა. აჰა, ყოველი ვითარი ბოროტის მოქმედების ხელოვნება მოიპოვა შაჰმა და ჰქმნა საქართველოზედ, არა შესაძლო იყო ჩვენდა მოთხრობად, ვინადგან უმაღლეს არს მოთხრობის სიტყვაერებასა ზედა, რამეთუ მრთელ ერთს წელს დაჰყო ყოვლითა ბანაკითა სპარსითა მუნ საქართველოში და შემდეგ განიძრახა წასვლა სპარსეთად. იყო შაჰი შთავარდნილი დიდს ფიქრში და განძრახვაში, თუ ვითარ ძალ იდვას წარწყმედა ლუარსაბისა და ამის გამო ამხილა დიდებულთა თვისთა, რომ უთხრან ლუარსაბს—რადგანაც კეთილათ მოხვედ ღვთის შეწევნით შაჰის სანახავად და იქმნა თქვენ შორის სიყვარული და ერთო-

ბა და აწ აღთქმული პირობის სამტკიცებისათვის და შესაშვენის მიზეზისათვის გშვენის შენ, რომ შენის ქვეყნიდგან მიმავალი შაჰი სამი, ანუ ოთხი დღის სავალს გააცილო და იახლო შენის ქვეყნის სამძღვრამდე და შემდგომად უგუ-იმეც შენსავე ტახტზედ; და ამისთანა სიტყვები თვით შაჰმაც უთხრა ლუარსაბს; რადგანაც ლუარსაბს არ აქვნდა მლიქნელობითი გულარძნილობა გულსა შინა თვისსა, რომელიცა არს საკუთრება ქრისტიანეთა სიწრფელებისა, ამისთვის სათნო იქმნა აღსრულებისათვის მათის ნათქვამისა. როდესაც შაჰი აიყარა ტფილისიდამ, ლუარსაბი თან წაიყვანა პირველადვე გარიგებულის პაემანისათვის. სამი ოთხი დღის სავალი გზა რომ გაიარეს, ახალი რაიმე ამცნო შაჰმა დიდებულთა თვისთა სათქმელად ლუარსაბისათვის: რადგანაც ესოდენ დღის სავალს გზას მოხველ და ძლიერ კეთილად ჰქმენ და გთხოვთ, რომ მძიმეთ არ შერაცხოთ, არამედ ინებოთ განჯამდისაც გაგვაცილოთ, შაჰსა მოაუდგას გულსა შინა თვისსა, მოწოდება წინაშე თვისსა ყოველთა მთავართა შამახიის კერძოისათა, ერევნისა და ყოვლისავე ნებამს გარიგება, რომ დაშთნენ უფლებასა ქვეშე თქვენსა და შენ დაგადგინოს ზედა მხედვლად და მბრძანებლად ყოველთა ზედა, რათა ყოველივე ჰქმნან თქვენის ბრძანებით, რაც ენებოს შაჰსა საქმნელად». ამაზედაც დათანხმდა ლუარსაბი და გაჰყვა განჯამდინ, და მუნ განჯას ოდეს განვლეს დღეთა მრავალთა და აღმოჩნდა ნიშანი შაჰისა და დიდებულთა თქმულის სიტყვებისა და არც მისის დათხოვნის ნიშანი, — მაშინ სცნო ლუარსაბმა სული თვისი. რამეთუ ხელოვნებით გამოიყვანეს იგი ქართლიდგან და არღა უტევებენ თვისსა ქვეყანასა წარსვლად, რის გამო შთავარდა იგი დიდსა დაღონებასა და ფიქრსა შინა, და

თუმცა განიძრახვიდა მრავალსა, გარნა არღა რაიმე შეუძლო-ქმნად ხსნისა თვისისა.

და სხვა მრავალ-ბოროტ ხელოვნებით შემძლებლობის მომქმედი შაჰ-აბაზი, მზაკვრობითისა იჭვსა შინა თვისსა განი-ძრახვიდა, ნუმცა თუ ღამე, ანუ დღე მარჯვე ჟამი ჰპოვოს და მოსერხებით განივლტოს ლუარსაბი. და ამ იჭვისათვის ჰქმნა გვარადვე ხელოვნება ამ მაგალითისა, რამეთუ შაჰმა მიანიჭა ლუარსაბს ერთი ცალი ჯიღა, რომელსაც მთავარნი მისნი თავ-ს დაიდგმენ, და იყო ძლიერ ჩინებული და პატიოსანი მშვე-ნიერი და დიდის ფასისა, და ოდეს მიანიჭა ჯიღა, ამცნო სი-ყვარულით ლუარსაბს—რამეთუ ოდეს ბედნიერებოდეს მოსვლა ჩემთან, გაიქადეს ესე ჯიღა თავზედ და ლუარსაბიც ეგრეთ ყოფ-და მარადის შაჰთან მოსვლის დროს. შემდგომად დღეთა რაო-დენთამე უბრძანა შაჰმა ქურდთა თვისთა, რომელთაც მრავალ-თა ინახვიდა თვისთან და იყვნენ იგინი მრავალ-ხელოვანნი ქურდნი,—რომ მალვით შესულიყვნენ ღამე ლუარსაბის კარავ-ში და მოეპარათ ის ჯიღა და სხვა ძვირფასი ნივთნიცა. ქურ-დებმა წმინდათ შეასრულეს შაჰის ბრძანება: მოჰპარეს ლუარ-საბს ის ჯიღაც და სხვა მრავალი ნივთიც. ერთ დღეს შაჰმა დაიბარა ლუარსაბი. მოვიდა ლუარსაბი და დასჯდა უჯიღოთ. შაჰმა რა იხილა ესე, ჰკითხა ჯიღისათვის, ვითარცა საქმის უცნობელმა: რატომ თავზე ჯიღა აღარ გინებებიათ.» და რა შეისმინა რომ—მოუპარავთ, მას ჟამს შაჰი ვითომც შეწუხდა და შეიბრალა, ვითარცა სარწმუნო კეთილ-მყოფელმა და მის-თვის გულ-მტკივნეულად გამოაჩინა თავი თვისი. შემდგომად გაურისხდა დიდებულთა მის მყოფთა, შეურაცხ-ყოფდა და სიკვდილს ექადოდა: რატომ კეთილ-მზრუნველობით და მო-ჩილებით არ ემსახურებოდით, რომ ქურდებს იმოდენა ნივთი

მოუპარავთ ამის კარავიდან, მერე ის პატიოსანი ჯილდო როგორ გაატანინეთ?» მერე უთხრა; «რომ მერე ვეღარ ვინ გაბედოს ამისთანა ოინი და სხვა აღარა დაიკარგოს-რა ამის ქონებისაგან, თქვენის უზრუნველობისა გამო, და ეს სირცხვილი აღარ მოგივიდეს, აჰა, განამზადეთ თქვენ კაცნი მამაცნი და ფრთხილნი, რათა ყოველ-ღამ ღამის მცველად იყვნენ გარემოს ამის კარავისა, რომ აღარა რაიმე ვნება აღარ შეემთხვეს; და თუ კიდევ მოხდა რამე სამირკველიანათ აღმოგიჩხვრამით, დიდებულთ თავს იდვეს ამ ბრძანების შესრულება და მაშინვე დაადგინეს მცველნი გარემო ლუარსაბისა, რომელნიც დღე-ღამ იცვადნენ მას სიფრთხილით.

შემდგომ მრავლის წლისა მოვიდნენ დესპანნი რუსთ-ხელმწიფისა სიყვარულისა და მრავლის საქმისა გამო და დღეთა მათ შინა წარსულიყო შაჰი თემსა ისპაჰანისასა და იმყოფებოდა მუნ მდინარის კიდესა ზედა, რომელსაც უწოდებენ ავიშურან და ენება წყალი მის მდინარისა მოეტანა და აერთვა ისპაჰანის მდინარეში, რამეთუ ისპაჰანში წყალი მცირეთ იყო და მრავალნი ხელოსანნი და მომქმედნი აკეთებდნენ წყლის გზას. და თვით შაჰი ამ მიზეზის გამო მუნ იმყოფებოდა, და დესპანნი რუსთა მოვიდნენ ამ ადგილს შაჰის სანახავად და მრავალთა სათხოვართა შორის ლუარსაბისთვისაც სთხოვეს, რათა უკუ-იქცეს თვისსა ადგილსა და ბრძანებასა ქვეშე შაჰისასა იყოს მორჩილი. განძრახვით გულარძნილმა სიხარულით მიიღო საქმე იგი, ნების სურვილით და თვალ-ლებით თავს იდვა აღსასრულებლათ თხოვნა იგი, რომ წარგზავნოს ლუარსაბი თავის ქვეყანაში და ამ სახით სათნო ექმნათ დესპანთ მათ და გაამგზავრა იგინი თვისსა ქვეყანასა.

შემდგომად ამისა მოუწოდა შაჰმა წინაშე თვისსა დიდე-

ბუდესა მას, რომლის ხელსა შინა იყო ლუარსაბი და უთხრა: «ხარ ღირსი სიკვდილისა და წარწყმედისა, რომ აქამდის ცოცხალი გყავს ლუარსაბი და აწ იგინი მოვიდნენ და მთხოვეს მისი განტევება, და უკეთუ სწრაფად არ მოიტან მისის წარწყმედის ამბავსა, შენ ყოვლითა გვრძობითა შენითა აღმოიფხვრებით». ამ ბრძანების მიღების უმალვე მივიდა დიდებული იგი შირაზს და თვით სიყვარულით ეჩვენებოდა ლუარსაბს, ვითომც მშვიდობიანობის გამო კარ მოსულიყო.

დღესა ერთსა გამოვიდნენ ერთად ლუარსაბ და დიდებული იგი მდინარის პირს თვისით სანადიროთ. პირველად სპარსთ დიდებულმა აიღო ბადე წყალში სასროლად და დაუწყო ხელში გრეხვა და განგებ გარეგათ არ ესროლა ბადე და მრუდეთ ესროლა და ისე აწყნა—ვითომ ბადის სროლა არ სცოდნოდეს. ლუარსაბს კი იქვე არა ჰქონდა-რა გულში; გამოართვა მას დიდებულს ბადე—ვითომც თვით უკეთ სცოდნოდეს ბადის სროლა და ოდეს მოიხარა თავი და ბადეს ამზადებდა ხელში, მდინარეში სასროლად, უკანა გვრძოთ სპარსმან განდიდებულმან აღმოაღო ხმალი წელს-რტყმული, დასჭრა უცებ კისერში ლუარსაბს და იმ ერთი დაკვრით თავი გააგდებინა. მაშინვე აიღო თავი ლუარსაბისა და მოიტანა საჩქაროთ ავიქურანს შაჰის ბანაკში და მიართვა შაჰსა. შაჰმა რა იხილა თავი ლუარსაბისა და სინამდვილე მისი, აღიძრა თავის გულის შეუბრალებლობისაგან, განრისხდა თავსა მას ზედა, შეურაცხ-ჰყოფდა, ჰგმობდა და ყვედრებით აქა-იქ აგდებდა და მრავალს ჟამს ეგრეთ განატარა მას თავზე განრისხებისაგან გულისა, და შემდგომად შეიპყრა ყურით და გადააგდო და თავი იგი დაგორებით წარვიდა თავ-დაღმა, რადგან ადგილი იგი იყო თავ-დაღმართი. ესრეთ იქმნა ლუარსაბ ტფილისის მეფის სიცოცხლისა, რამეთუ

ბოროტ-ხელოვანმა შაჰ-აბასმა ამის მაგალითის სახით წარწყმი-და იგი და ქვეყანა მისი თვით მიიმძლავრა თვისსა უფლებასა ქვეშე.»

---

## «არაქელის» ისტორიიდგან.

### მოთხრობა წამებისა, კახეთის მეფის თეიმურაზის დედის ქეთევანისა იმავე შაჰ-აბაზისაგან.

### თავი იბ, გვერ. 142.

«ვიდრე იყო თეიმურაზ მეფე ქვეყანასა თვისსა კახეთს და მშვიდობით მეფობდა და მორჩილებდა სპარსთა, და ჯერ შაჰი არ მოსულიყო საქართველოში, განდგომილეთ მეფეთა და აოხრებისათვის მათის ქვეყნისა, რაიც წარსულს მოთხრობაში ვიამბეთ; თეიმურაზ იყო ქვეყანასა თვისსა და შაჰი სპარსეთსა შინა; წარმოგზავნა შაჰმა კაცი და ჰსთხოვა თეიმურაზს მძევალი და მან წარგზავნა თვისთა შვილთაგან ერთი ძე და შაჰმა დაუმატა და მეორეთ სთხოვა მძევალი და თეიმურაზმა წარგზავნა დედა-თვისი. *) შაჰმა ორნი ძენი თეიმურაზისა ჰყო საჭურისად, რათა არ მოუცესთ მათ ძენი, ნუმც თუ შეიქმნენ მემკვიდრენი მეფობისა მათისა და დედა თეიმურაზისა შინაგან სპარსეთს წარგზავნა, ქალაქსა შირაზს, იმამ-ყული-ხანთან, რათა ჰყვანდეს შეპყრობილი. ამ ბრძანების ძალით ქეთევანი იმ-

---

*) იხ. 1879 წ. «ივერია» № 3, სტატია: «დელლავალეს მოხსენება საქართველოზედ.»

ყოფებოდა შირაზს, სადაც იწამა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ქეთევანს თან ახლდნენ დიდის გვარისაგანნი მდედრნი—ქართველნი, დატყვევებულნი სპარსთაგან და შვილნიცა მათი იყვნენ ტყვეთ და იყვნენ განწესებულნი სამეფოსა სამსახურსა შინა და დიდის გვაროვნობისა გამო მათისა, მარადის იყვნენ სამსახურსა შინა და იყვნენ მდგომარენი წინაშე ხელმწიფისა.

დღესა ერთსა შაჰმა რაღაც საქმისა გამო დაუწყო ლაპარაკი, რათა გამოეცადნა, მის წინაშე მყოფთ ქართველთა: «თქვენს დედებს რათ უტევებთ ქრისტიანობაში, რომ დასასრული წარწყმედისა არს, და არა ჰყოფთ მაჰმადის სარწმუნოებით და სჯულით, რომლისა დასასრული არს შვენიერება სასუფეველისა.» მსახურთა მათ მოახსენეს: «მრავალ-გზით გვითქვამს და არა უკუ იქცევიან».—რატომ, რა მიზეზით არ უკუ-იქცევიან?» და მსახურნი შიშისაგან ულონო დაშთნენ და არ იცოდნენ—რა მიზეზი მოაწყონ, ან რა პასუხი მიეცათ. ერთმა მათგანმა მოახსენა, არა თუ ცოდნით, არამედ უმეცრებით: «როდესაც ვეუბნებით დედათ ჩვენთა—მიიღონ მაჰმადის სჯული, მაშინ იგინი გვეუბნებიან—დედა თეიმურაზისა ქრისტიანე არის და ჩვენ აბა როგორ გავთათრდეთო». *)

მას ჟამს ღრმა მანკიერმა შაჰ-აბაზმა ესე სიტყვა გულსა თვისსა შთაიდვა, და შემდგომად დღეთა რაოდენისამე, რომელიმე დიდებულთაგანი თვისი წარგზავნა, ანუ უკუ-აქციოს დედოფალი ქრისტიანობიდამ სჯულსა ზედა მაჰმადისსა, ანუ ბოროტების ტანჯვის სიკვდილით წარწყმიდოს. დიდებული იგი

---

*) იხ. იმავე სტატიაში მოურავის რჩევა შაჰ-აბასისადმი, რომ «ვიდრე ლუარსაბი ცოცხალია, ქართველებს შენკენ გული არა აქვთო.» სწორეთ ამ აზრისაა ეს პასუხიც.

წავიდა შირაზის ქალაქს, და მიახლოვდა დედოფლის კარსა და მოუწოდა მას და პირისპირ უხილველათ, უკან კრძოით კარისა დაუწყო უბნობა და უთხრა: «ბრძანება ხელმწიფისა ქურდეთ არს, რამეთუ თანამდებ ხართ თქვენ გათათრდეთ და, უკეთუ თანახმა ხართ, ძლიერ კეთილ არს და უკეთუ არ ინებებთ, ენით სთქვი, და გულით დაიცევ შენი სარწმუნოება, კაცთ თვალისა წინაშე გამოხატეთ, ვითომც თუ იქმენ სჯულით მაჰმადიანნი და მალვით ემსახურე სარწმუნოებასა შენსა, რათა ჩვენც დავშთეთ თავისუფლათ ჩვენს სვინიდისთან, რომელიც არს შენ კრძოთ». ამისთანა სიტყვებს ეტყოდა დიდებული იგი და სტიროდა მსგავსად ჰეროდის მტარვალისა, რომელიცა წარვიდა თავის მოსაკვეთლად იოანე ნათლის-მცემლისა. მიუგო დედოფალმა (სომხურში «დედოფალი» სწერია) შიგნიდგან, შენ ჩემო ძმაო და შვილო ჩემო, რაისათვის მალვით უბნობ ჩემთან, მოვედ და პირდაპირ მითხარ, რამეთუ მე ასული ვარ ხელმწიფისა და ცოლი ხელმწიფისა, ხელმწიფის დედა ვარ და მე თვით თავით ჩემით ხელმწიფობა მიქნია შემდგომად ჩემის ქმრისა, ვიდრე შვილი ჩემი მოიზრდებოდა, მაგრამ წარმავალი და ამაო არს დიდება სოფლისა, უკეთუ ხელმწიფე შენი სრულის ქვეყნის უფალი იყოს და ყოველი სახელმწიფო თვისი მე მომცეს, მე არა ვგმობ ქრისტესა ღმერთსა ჩემსა და არ განვსცვლი სიყვარულსა მისსა, რომელიც მაქვს მასთან, და შენ რაიცა გაქვს საქმნელად, შენ იცი.»

იყვნენ დედოფალთან ორი ქართველი მღვდელი და სხვანიცა მსახურნი და მხევალნი. უკუ-იქცა დედოფალი და უთხრა მათ, უკეთუ მე ასო-ასო დამკუწონ, მე არ მოვსტყუვდები ქრისტეს სიყვარულისაგან და არ მივიქცევი მათს სარწმუნოებაზედ და თქვენი სასარგებლო თქვენ აღარჩიეთ, და იგინი

ერთობ საზოგადოთ მაღალის ხმით სტიროდნენ და ჰგოდებდნენ თავიანთ თავის მოკლებისათვის კეთილ-დიდებულის ქალბატონისაგან. და შემდგომად მრავლის უბნობისა, შეგონებისა და შერისხვისა რა იხილა მოსულმან დიდებულმა სიმტკიცე გონებისა მისისა, ბრძანა რკინის ჩანგლით დასერვა გვამისა მისისა და რა ძლიერ იქმნა წყლულება მისი, იგი მადლობდა ღმერთსა და ცრემლით ითხოვდა უფლისაგან მოთმინებასა.

შემდგომად ამისა განახურეს მიტრა რვალისა (სპილენძისა) და დაადგეს თავსა ზედა, და ვერც მით ძალ-იდვეს, რომ მოუწონებინათ მისთვის. შემდგომად მოიტანეს რკინის ბარი—მიწის სათხრელი და სასტიკათ განახურეს და დაადვეს ძუძუებ შუა დედოფალსა და გულსა ზედა და მან მით განუტევა საამო სუნოვანი სული თვისი ღვთისა მიმართ.

და ერთი იმა მღვდელთაგანი შეიქნა წამებული მუნ მასთან და სხვანი განიბნივნენ.

დედოფალმა წინათვე ამცნო, რამეთუ ოდეს მომკლან მე, გვამსა ჩემსა ნუ გარდააგდებთ გარეთ სანახავათ გლეხთა, და შემდგომად შეინანა და სთქვა: «მე რომ ქრისტეს სარწმუნოებისათვის წამებული შევიქნები, გვამსა ჩემსა რაიც ჰნებამთ, ის უყონ.» და ოდეს მოჰკლეს, პატიოსანი ნაწილი გვამისა მისისა გადააგდეს გარეთ საჭმელათ ძაღლთა და მხეცთა, გარნა ღმერთმან ადიდა იგი ზეციერის სასწაულით, რომლისთვისაც ფრანგთ პატრთა, რომელნიც იყვნენ იმ ქალაქში, მოიპარეს პატიოსანი გვამი მისი, ნახევარი შეხვიეს წმიდა ხამით, საკმელით და მურით და წარგზავნეს საფრანგეთში, რომელიცა მუნ პატივ-ცემულ არს დიდის დიდებით და ეგრეთვე სხვაცა ნახევარი შეხვიეს წმიდა ხამით, საკმელით და მურით და წარიდეს მის შვილის თეიმურაზთან საქართველოში, და იგი

მოუთხრობელის სიხარულით აღმსილი, მადლობითა დიდითა ადიდებდა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რომ ღირს-ჰყო დედა თვისი წამებულის სიკვდილით და სთქვა: ამის შუამდგომლობით ჩვენ ხელმწიფობას ღმერთი მტკიცეთ დაიცავსო», და დასდვა პატივით ეკლესიასა თვისსა, რომლის სახსოვარი კურთხევით იყოს და ლოცვითა მისითა იყოს წყალობა უფლისა ყოველთა ქრისტიანეთა ზედა და იქმნა წამება დედოფლისა ჩვენს წელთ მრიცხველობაში 1074 წ., დიდება ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, ქრისტესით 1625 წელსა.

---

## წელთ მრიცხველობისაგან გადმოუთარგმნია, რაოდენიც საჭიროთ დაუნახავს.

## თავი ნე.

სომხთა წელსა 10: ქრისტესით — 541 წ. განწესდა ხუთასიანი მრიცხველობა, რომლითაც გასწორდა აღდგომა სომეხ—60 წ. ქრისტეს—611 წ. გამოჩნდა მაჰმადი, სომეხ—62 წელსა, ქრისტ. 613 წ. განიყვნენ ქართველნი ერთობისაგან სომხთა *) სომხთ 60 წ., ქრისტეს 611 წელსა. და-

*) მიზეზი ამ განყოფისა შეიქმნენ სასულიერო პირნი ბერძენთა ბერძენთა, ქართველთა და სომეხთა; ვინაიდგან ბერძენნი ძველადგანვე მტერნი იყვნენ ქართველთა და სომეხთა. როგორც სჩანს ვრცელს ისტორიასა შინა—სომეხნი და ქართველნი არიან ძმათა შვილნი—ჰაოსისაგან და ქართლოსისაგან; წარიკითხე ისტორია და სცან ერთობა მათი. ნებროთიდამ დაწყობილი, ასურისტანელთ და სპარსთ შთაიდვეს შური სომეხთა და ქართველთა, რადგან ნებროთი

იპყრეს აბუებაქრმა, ომარმა და ოსმანმა წელი 38. სომეხთ 68, ქრისტ. 619 წ. მოჰმართნენ თათარნი სომხითზე; სომეხთა 414, ქრისტ. 965 წ. აღშენდა ახაპატი და სანაინი.

სომხ. 465, ქრისტ. 1016 წ. განიღვიძა ღვთის სასტიკმა მრისხანებამ და მოჰმართნენ თათარნი ნათესავნი ქრის-

---

ჰაოსმა მოჰკლა. თუმც ძველათვე წარმართობის დროს ეცადნენ ქართველთ და სომეხთ განყოფას, რომ ორ ძმათ შთამომავალთ შუა შური შთამოაგდონ, როგორც ბერძნებმა შთათესეს ღვარძლი შურისა ამ ორ ძმათ შუა ქრისტიანობის დროს, მარამ სპარსთა და სხვა ნათესავთ ვერ შეიძლეს განყოფა მათი, და სომეხ-ქართველნი, ანუ კავკასიელნი ერთ-ბამათ წინააღუდგებოდნენ სპარსთა, ყოველთვის სძლევდნენ, რადგან კავკასიელნიც ძმათა შვილნი არიან. ე. ი. კავკასოსისა, ბარდოსისა, მოვაკანისა, ლეკოსისა, ჰეროსისა, ეგროსისა, ჰაოსისა და ქართლოსისა. განყოფა ერთობისაგან იქმნა ბერძენთ შეგონებისაგან, დროსა კვირიკე ქართველთ წინამძღვრისაგან, რადგანაც ქართველთ არხი-ეპისკოპოსნი მარჯვნივ დაუდგებოდნენ ეჩმიაწინში საზოგადო სომეხთ ქათალიკოზ პატრიარქსა, რომლის ხელქვეითნი იყვნენ 4 ნათესავნი: ქართველნი, სომეხნი, ალვანნი და სპარსეთის ქრისტიანენი. რა ღირსეული აღმოჩნდა ალვანთ გრიგოლ არხი-ეპისკოპოსი, ამისთვის ეჩმიაწინის კრებამ საჭიროდ დაინახა ქათალიკოზის მარჯვნივ მისი დადგომა და კვირიკე ქართველთა იმას ქვემოთ. ეს ძალიან იწყინა კვირიკემ და ქართველთ მეფემ, იმ დროს სომეხთ მეფობა ძალიან დაცემული იყო; ამისთვის ბერძენთ მარჯვე დრო ჰპოვეს და შეიერთეს თავიანთ ეკლესიასთან—იმ დროს ძლიერი იყო მათი კეისრობა. ბერძენთ არ შერჩათ ქართველ-სომეხთ შური—ოსმალთ ცხვირიდამ ადინეს, სპარსთაც არ შერჩებათ, რადგან ნაწიბური აართვეს ქრისტიანებმა—ზანდარუშის მხრით ანგლიელთ და კავკასიის მხრით რუსებმა; არც ოსმალთ შერჩებათ, როგორც ნიშანი ჩანს, რადგან ევროპიელნი ძალიან გაძლიერდნენ. და თუ სომეხთ და ქართველთ ერთობა ჰქონოდათ, ვითარცა ძველათ, იქნება მათი მეფობა ესე არ დაცემულიყო.

ტიანეთა ზედა და აღსწყვიტეს შეუბრალებლად ქვეყანა ვასპურაკანისა დროსა სენექერიმისა, და სენექერიმ ხელმწიფემ, შეიწროებულმა უცხო ნათესავთაგან, მისცა ქვეყანა თვისი ვასილ კეისარსა.

1029 წ. განტევებულ იქმნა ეშმაკი, ათასი წელი შემისრო და საშინელი ნიშანი იქმნა მრავალი, რამეთუ ცა განიპო აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდინ და ნათელი ძარს შთამოვარდა და იქმნა ბნელი და გამოჩნდნენ ვარსკვლავნი და ხმა იყო საშინელი.

1096 წ. ფრანგთ აიღეს იერუსალიმი.

1096 წ. ბერძენთ ჰქმნეს მრუდე აღდგომა.

1121 წ. დავით მეფემ აიღო ტფილისი.

1123 წ. დავით მეფემ აიღო ანის ქალაქი თათართაგან და გარდაიცვალა და გამეფდა ძე მისი დიმიტრი.

1158 წ. გარდაიცვალა მეფე დიმიტრი, და დასჯდა მეფედ ძე მისი დავით.

1161 წ. გამეფდა დიდი გიორგი და აიღო შაჰი ერმანი სასტივის ომით.

1187 წ. მისირის სულთანმა სალადინმა აიღო იერუსალიმი ფრანგთაგან.

1200 წ. შეეშალათ აღდგომა ბერძენთ და ქართველთ.

1203 წ. ფრანგმა დაიპყრო მეფობა ურუმთა (ბერძენთა).

1210 წ. ივანე ათაბაგი შეიპყრეს ხალათიაში.

1211 წ. თათართ ხორასმელნი აღხოცნეს და აიღეს განჯა.

1216 წ. თათართ აიღეს ანის ქალაქი და ყოველი ქვეყანა დაიპყრეს.

1228 წ. აიღო ხელმწიფემ ლორე და ანის ქალაქი. (ვინ?)

1251 წ. მანგუს ხანი გახელმწიფდა.

1254 წ. დასჯდა ხელმწიფედ არღუხანი; აღრიცხა ქვეყანა და ყოველ სულს ხარჯი დაადო.

1259 წ. დავით მეფე აფხაზეთში შევიდა.

1361 წ. მოკლულ იქმნა ზაქარია მხარ-გრძელი.

1386 წ. თემურაზხანი წარვიდა ვიდრე დიმიშხამდინ, მოვიდა და მოაწია და დაშთა 17 წელი, წარვიდა და სამარღანდს მოკვდა.

1292 წ. იყო სულთან აჰმადის შვილი, სულთან ტაჰირი ალინჯის ციხეში და ქართველთ მეფე მოვიდა, აიღო ციხე და წარიყვანა ტყვედ სულთანი ტფილისს. რა სცნო ეს თემურლენგმა, გვალად მოვიდა ქართველთა ზედა და წარიყვანა მრავალი ტყვე და წარვიდა თავის ქვეყანაში და იქ ჩამაღლდა 1404 წ.

1423 წ. მოვიდა ალექსანდრე (?)

1429 წ. ჯანშენმა სამშვილდის ციხე აიღო.

1430 წ. გვალად მოვიდა შაჰრუხი და დემეტრე წინ მიეგება ყარაბაღს.

1450 წ. მოვიდა ღული და სამშვილდე აიღო და 3,000 კაცი დახოცა და 9,000 კაცი ტყვეთ წაიყვანა.

1453 წ. სულთან მაჰმედმა აიღო სტამბოლი მანუელ ბერძენთ ხელმწიფისაგან.

1467 წ. ჰასან ბეგი წარვიდა ქართველთა ზედა და დაატყვევნა.

1519 წ. სულთან სელიმი განრისხდა ქრისტიანებზედ და ყმაწვილები მოკრიბა.

1531 წ. შაჰთამაზი წარვიდა ქართველთა ზედა და აოხრა ტფილისი და ყოველი ქვეყანა ქართველთა და ურიცხვი ერი ტყვე ჰყო.

**1568** წ. სიმონი მოვიდა შაჰთამაზის ყეენ-ქვეშა.

**1581** წ. შეწყდა სულთან მურად ურიების გადნიერებისაგან და თავ-სასხური მოხადა (იარახჩინი) ურიათა და ქრისტიანთა, განსაზღვრა ქუდის დასხურვა.

**1613** წ. პირველი შაჰაბაზ წარვიდა საქართველოზედ და დაატყვევა.

**1616** წ. რუსმა დასთრგუნა ტრაპიზონი.

**1625** წ. რუსი მოვიდა, ტრაპიზონს ქვემოთ ციხე აიღო, აპრილის 23 კვირა დღე იყო, 4 დღე დადგა და შემდეგ წარვიდა 240 ლაიხით (ნავებით). **1500** რუსი დაიხოცა.

**1625** წ. მოურავი ეომა ყიზილბაშებს, დახოცა მრავალი. ლარჩისხანი, უსუფ-ხანი და ყაზახ-ხანი მოკლა; კვალად ყიზილბაშნი შემდგომად ორის თვისა შეიკრიბნენ ქართველთა ზედა, და თავი ქართველთა იყო იგივე მოურავი; ამათზედაც გაიმარჯვა მოურავმა და მოკლა ამირგუნახანი, შაჰბანტახანი.

**1628** წ. ხოსრო-ფაშა ვეზირი შეიქნა და მოვიდა აზრუმს აბაზაზე. ქართველ მოურავთან იყო 15 დღეს 1503 ზარბაზანი ესროლა. სამ მხარეს დააქცია ციხე, დაიჭირა აბაზა და წაიყვანა სტამბოლს:

**1648** წ. ტფილისს მყოფნი სპარსთა მხედრობანი შეიკრიბნენ და ბატონ თეიმურაზზე წავიდნენ; ამ ომში მოკლეს მეფის ძე დავით, ტახტის მემკვიდრე; მისი თავი სპარსთა ალილეს დროშიანათ, ანუ ჯარის ბაირაღი; დავითის თავი გრძელ ჯოხზე შემოაცვეს და ჯვარი თავ-დაღმა ბაირაღზედ ჩამოჰკიდეს და ესრე წაიღეს ტფილისიდამ ისპაჰანამდე—წინაშე მეორე შაჰ-აბაზისა და ყოველი ქალაქი სპარსთა დიდათ ხარობდნენ, ხოლო ქრისტიანენი იგლოვდნენ, ვინაიდგან დაეცა მეფობა მათი.

1658 წ. ღარღალ-ხანის უფალი დიდი ერისთავი, რომლის სახელი იყო ზაჰალ, წავიდა ისპაჰანს კარსა ზედა შაჰისასა და შემწეობით შაჰთან ეტიმალ დოვლათისა არ მოკლეს, არამედ ცოცხალი უკუ-იქცა ქვეყანასა თვისსა.

1660 წ. მარტის 1-ს იმერეთ მეფე ალექსანდრე მოკვდა, და მის ნაცვლად ძე მისი გამეფდა ბაგრატი: ამავე რიცხვს ამა ბაგრატს დედის-ნაცვალმა ორივ თვალები დასთხარა, რამეთუ წინააღმდეგობა ჩამოუვარდათ ურთი-ერთ შორის და სხვათა მთავართა და თავადთა ერთმანეთთან უგონო საქმე ჰქმნეს, ქვეყანა აოხრდა და მეფობა დაბრკოლდა; ამავე რიცხვსა უბრძანა შაჰმა, მეორე შაჰ-აბაზმა, რომ 1500 კომლი თათარი კახეთში დაასახლონ.

1661 წ. კავკასიის მთაში მცხოვრებნი ქართველნი ნათესავნი—თუშნი და ფშავნი მოვიდნენ ღამით და ეს ათასხუთასი კომლი თათარნი სულ აღწყვიტეს მოხუციდამ ვიდრე ძუძუთა უმაწვილით და ამავე რიცხვსა შაჰმა ეტიმალ დოვლათი შთამოაგდო უფლობისაგან, ერისთვის განტევებისათვის, რამეთუ ითქვა წინაშე შაჰისა და ხანებთან, რომ ერისთვის შეგონებით აღხოცეს ქართველთა ათას-ხუთასი კომლი თათარიო; და ამავე რიცხვსა ერისთვის ძმისწულთ მოსჭრეს თავი ერისთავსა და წარუღეს შაჰსა; ეს მოქმედება იქმნა ტფილისის შაჰნავაზ-ხანის შეგონებით, რომ ამით ეამებინა შაჰისათვის; შემდგომად ამავე რიცხვსა მეფე თეიმურაზ წამოვიდა საქართველოდამ ისპაანს მეორე შაჰ-აბასთან მორჩილებისათვის, და ვითარცა ჩვეულება არს მზაკვარის სპარსთ ნათესავისა—სიყვარულით და დიდებით მიიღო; და შემდგომად ქრისტიანობის სარწმუნოებისათვის სიტყვათა დიდებულთა, მოატყუა იგი შაჰმა და მოიმულა, და წარგზავნა ექსორიად ქვეყანასა ფარაბათს,

ქ. ასტრაბათსა და მუნ მოკვდა; და მრავალნი ამბობდნენ—შაჰის ნებით მოწამლეს და მოკლეს იგი; და

1663 წ. სხვანი, რომელნიც თეიმურაზთან იყვნენ, რჩეულნი დახოცეს, და გვამი თეიმურაზისა შაჰის ბრძანებით წარიღეს კახეთს მის შვილის-შვილთან.»

---

# განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» აგრეთვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მიხეილოვის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისავალი ეზოდამ), ხოლო მეორე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала* «*ИВЕРІЯ*» ანუ «*ДРОЭБА*»

მსურველთ შეუძლიან ერთის წერილით დაიბარონ გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» «დროების» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, გთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

---

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.